# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 283 (12 654) 2 დეკემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


## კრიზისიდან გამოსავალი?

# რეალი ჰუნტელაარი ხუთი წლით




მსოფლიო ფეხბურთი »»» 6-10



# ძიუდოისტები სიურპრიზებს გვპირდებიან

დღეს ეროვნული ჩემპიონატი იწყება

»»» 11



დაღესტანში სუფთა ქართული გუნდი იქმნება?

## მარცვალაძე და ალადაშვილიც ანჟიში?

»»» 3

## როგორ დავკარგე ძვირფასი წლები



ინტერვიუ მიხეილ აშვეთიასთან »»» 4



## აფეთქებები ესპანეთში

ლეგიონის ამბები »»» 12

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XIII ტურის მიმოხილვა

# ნავსიანის მაგივრად... ლოგიკური

| XIII ტური | |
|---|---|
| **29 ნოემბერი, შაბათი** | |
| ბორჯომი-მგლები | 2:2 |
| **30 ნოემბერი, კვირა** | |
| სპარტაკი-დინამო | 0:3 |
| ზესტაფონი-სიონი | 1:0 |
| ოლიმპი-მესხეთი | 4:0 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 3 | 1 | 23-8 | 27 |
| 2. დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 26-10 | 25 |
| 3. ზესტაფონი | 12 | 7 | 2 | 3 | 14-7 | 23 |
| 4. ლოკომოტივი | 11 | 6 | 0 | 5 | 15-12 | 18 |
| 5. ოლიმპი | 12 | 4 | 6 | 2 | 12-7 | 18 |
| 6. მესხეთი | 12 | 4 | 3 | 5 | 12-17 | 15 |
| 7. სიონი | 12 | 3 | 6 | 3 | 11-9 | 15 |
| 8. მგლები | 12 | 4 | 2 | 6 | 14-16 | 14 |
| 9. გაგრა | 12 | 3 | 2 | 4 | 10-22 | 11 |
| 10. ბორჯომი | 12 | 2 | 5 | 5 | 13-25 | 11 |
| 11. სპარტაკი | 11 | 1 | 0 | 10 | 6-23 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვაწაძე (დინამო) | 7 |
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 6 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 6 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 6 |
| გ. თოდუა (მგლები) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| ოდიკაძე (დინამო) | 5 |
| მერებაშვილი (დინამო) | 5 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 5 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 4 |

**XIV ტური**

**6 დეკემბერი, შაბათი**

მგლები-გაგრა
სიონი-ბორჯომი

**7 დეკემბერი, კვირა**

დინამო-ლოკომოტივი
მესხეთი-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-სპარტაკი

*ოლიმპი ისვენებს*



გაგრა-ვიტ ჯორჯია 0:4

დავით თავართქილაძის ფოტო




საიუბილეო ჩემპიონატმა ისე „მიგვაჩვია“ მოულოდნელობებს, რომ ყველა ტურში, სულ მცირე, ერთი ან ორი სენსაციის მოლოდინშიც ვართ. ჰოდა, უკვე ის გვიკვირს, ტურის ყველა მატჩი მეტ-ნაკლებად ლოგიკური შედეგით რომ სრულდება. ჩემპიონატის დასაწყისიდან ასეთი რამ ერთხელ მოხდა (XI ტურში) და თითქმის მსგავსი განმეორდა ახლაც. ანუ, ძლიერებმა შედარებით სუსტ მეტოქეებს მოუგეს, თანაბარი ძალის გუნდების შეხვედრა ფრედ დასრულდა, ხოლო ტურის ცენტრალურ მატჩში მასპინძლის გამარჯვებაც, ალბათ, ლოგიკური გახლდათ. მოკლედ, „ჩვეულებრივი“ გამოდგა XIII ტური; არადა, წინათქმაში რიტორიკული კითხვა დავსვით: „თარსრიცხვიან“ ტურში ვინ დაინავსებაო. ახლა კი, ალბათ სჯობია, რომ ცრურწმენას თავი დავანებოთ და თანმიმდევრულად მივყვეთ. ოღონდ, ამ შემთხვევაშიც დავარღვევთ „რიგითობას“ და, რაღა თქმა უნდა, უპირველესად ტურის ცენტრალურ მატჩზე ვისაუბრებთ. ჰო, ეს არ იყო ჩვეულებრივი მატჩი კონკრეტული პიროვნებისთვის: **თემურ მახარაძე** „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის რანგში უკანასკნელ მატჩს ატარებდა! ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე ფიქრობს გამოცდილი და დამსახურებული მწვრთნელი. თუმცა, შეხვედრას არანაკლები დატვირთვაც ჰქონდა: ჯერ ერთი, „ზესტაფონს“ წინა საშინაო მატჩი წაგებული ჰქონდა; ამას მეორე და არანაკლებ მტკივნეული სათასო მარცხი მოჰყვა. ხუთ დღეში ზედიზედ ორი მნიშვნელოვანი მატჩის წაგება თემურ მახარაძის ხანგრძლივ კარიერაში, ალბათ, იშვიათობა იყო და საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში, უდავოდ, ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტი „გასამებასაც“ არ დაუშვებდა. შეხვედრაც ისეთი გამოდგა, ცენტრალურ მატჩს რომ შეეფერებოდა და ამისთვის „ზესტაფონიც“ და „სიონიც“ ქებას იმსახურებენ. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, თუ როგორი საკადრო პრობლემები ჰქონდა **ოთარ კორღალიძეს** - „სიონის“ თავკაცმა ამ მატჩისთვის სხვადასხვა მიზეზის გამო ერთდროულად ოთხი ფეხბურთელი (**სანდრო იაშვილი, მინდია ბობღიაშვილი, არჩილ ალავიძე, ალექსანდრე კოშკაძე**) მოისაკლისა; სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა მანამდე მუდამ ძირითადში მოასპარეზე **ლევან შავგულიძე**; სამაგიეროდ, დიდი ხნის შესვენების მერე ძირითადში გამოჩნდნენ **მურმან ქურასბედიანი** და **სულიკო დავითაშვილი**. სამწუხაროდ, ბოლნისელებს შემადგენლობის ხშირი როტაციაც არ შველით და აშკარად დიდი პოტენციალის მქონე გუნდი სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილამდე დაეშვა. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ბევრ ფეხბურთელს... ყოფილი გუნდის წინააღმდეგ უწევდა თამაში: **ბოიომო ფრიდოლინი, ერიკ რომეო ჩასემი, როინ ონიანი** და **გიორგი ჭელიძე** სხვადასხვა დროს „სიონში“ თამაშობდნენ; ხოლო ბოლნისელთა ამჟამინდელ მეკარეს **ზურაბ ქვაჩახიას** „ზესტაფონის“ შემადგენლობაში არაერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაუტარებია. ქვაჩახიას ახლაც ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ სტუმართა გუნდში - ვეტერანმა მეკარემ, სანამდეც შეძლო, არაერთი რთული ბურთი მოიგერია და მხოლოდ მატჩის მიწურულს, **როინ ონიანის** დარტყმის მერე იყო უძლური.

აი, ასე მოგებით გააცილა გუნდმაც და სტადიონმაც თემურ მახარაძე. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ XIII ტურის საუკეთესო მწვრთნელად სწორედ მახარაძე ვცანით. თანაც, ამ შემთხვევაში არანაირ რევერანსთან საქმე არ გვაქვს; უბრალოდ, ტურის ცენტრალურ მატჩში გამარჯვებული გუნდის თავკაცი კოლეგებში გამოვარჩიეთ! ისე კი, ასეთი სპეციალისტები ყოველთვის გამარჯვებულები და თავაწეულნი უნდა მიდიოდნენ...

...კვლავ გრძელდება „ოლიმპის“ წარმატებული სვლა - **ვარლამ კილასონიას** გუნდმა მეშვიდე წაუგებელი მატჩი ჩაატარა და აქედან ბოლო ექვს შეხვედრაში საკუთარი კარი მშრალად შეინახა! ამას გარდა, როგორც იქნა, გუნდის შედეგიანობამაც მოიმატა: აქამდე ჩატარებულ თერთმეტ შეხვედრაში „ოლიმპს“ 8 გოლი ჰქონდა გატანილი, ახლა კი, ერთბაშად ოთხი მიუმატა. თანაც, ბოლოს და ბოლოს, „ოლიმპის“ ფორვარდებმაც გაიხსენეს „გოლის გემო“ - **გაგა ჩხეტიანმა** და **კოკა მიქუჩაძემ**. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს უკანასკნელი ორი წლის წინათ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ; მერე არცთუ წარმატებული საზღვარგარეთული კარიერა ჰქონდა და აი, დაბრუნების შემდეგ, მხოლოდ მეცამეტე ტურში შეძლო თავის გამოჩენა - თანაც „დუბლით“ გამოირჩა. ამ მოგებით „ოლიმპი“ მეხუთე ადგილამდე ალზევდა - ასე მაღლა კი ეს გუნდი ამ ჩემპიონატში არ ყოფილა! აი, მეტოქეზე კი ახალი რა უნდა ვთქვათ - „მესხეთი“, ფაქტობრივად, მატჩის წინ შეიკრიბა და რომელ შედეგზეა ლაპარაკი. ეგ კი არა, ახალციხელთა მთავარ მწვრთნელს **კობა თედიაშვილს**, მხოლოდ და მხოლოდ, უნდა თანავუგრძნოთ - „მესხეთის“ მომავალი კვლავაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის...

...დაგეგმილი სამ-სამი ქულა მოიპოვეს ცხრილის ლიდერებმაც, თანაც „ვიტ ჯორჯიამაც“ და „დინამომაც“, ორივემ სტუმრად დიდი ანგარიშით იმარჯვეს. **რამაზ მუმლაძის** გუნდს, ერთი შეხედვით, იოლი შეხვედრა არ უნდა ჰქონოდა - „გაგრამ“ ამ ჩემპიონატში არაერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე. თუმცა **ვლადიმერ ხაჩიძის** ახალგაზრდულმა „გაგრამ“ ვერაფერი გააწყო ამ ჩემპიონატის, უდავოდ, ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან. ჰო, 1-ელ ოქტომბერს „ლოკომოტივთან“ დრამატულ შეხვედრაში მარცხი ერთადერთია ამ სეზონში „ვეტერინარებისთვის“; მანამდეც და მერეც „ვიტ ჯორჯია“ შესაშური სტაბილურობით თამაშობს (თანაც, ორივე ფრონტზე) და ყველა წინა პირობაც არის შექმნილი იმისთვის, რომ ამ სეზონში რაიმე ტიტული მოიპოვოს. ერთი შეხედვით, რამაზ მუმლაძეს გუნდში გამოკვეთილი ლიდერი არა ჰყავს, მაგრამ სამაგიეროდ შესანიშნავად „დაყენებულ“ კოლექტიურ თამაშთან ერთად „ვეტერინართა“ ნებისმიერ ფეხბურთელს მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ მეტოქეთა კარში გატანილი 23 გოლი ათი ფეხბურთელის ანგარიშზეა; ანუ, თავის გამოჩენა მცველებსაც შეუძლიათ, ნახევარმცველებსაც და ფორვარდებსაც. ძალიან გვახარებს კონკრეტული ფეხბურთელის პროგრესიც: ახალგაზრდა **ვახტანგ კვარაცხელიამ** ჩემპიონატში მეექვსე გოლი გაიტანა.

„ვიტ ჯორჯია“ წარმატებით კი ასპარეზობს, მაგრამ ისეთი „საშიში“ მდევარი ჰყავს, მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. ხვდებით, ალბათ, რომ „დინამოზე“ ვსაუბრობთ: „დინამომ“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო (ამ ოთხ შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა და არც ერთი გაუშვა) და კვლავაც იმის მოლოდინშია, როდის დაუცდება ფეხი ერთპიროვნულ ლიდერს. **რაინერ ცობელის** გუნდმა ბოლო მატჩიც დიდი ანგარიშით მოიგო, მაგრამ ეს წარმატება მოქმედ ჩემპიონს ძვირად დაუჯდა: ჯერ იყო და მატჩის წინ, მოთელვაზე ტრავმა მიიღო **გიორგი ნერგაძემ**; მერე კი, შესაცვლელი გახდა „დინამოსა“ და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **მათე ვაწაძე**. ასეთი საკადრო დანაკლისის მიუხედავად, „დინამომ“ მაინც შეძლო გორიდან სამი ქულის წამოღება და ეს, უპირველესად, გუნდის ლიდერების - **გიორგი მერებაშვილისა** და **დავით ოდიკაძის** დიდი დამსახურება იყო. ცალკე უნდა აღვნიშნოთ შეცვლაზე შემოსული **ილია სპასოევიჩის** „დუბლიც“ - ჩერნოგორიელ ფორვარდს გოლის ალღო არ დაეწუნება, ოღონდ, სასურველი იქნებოდა, რომ ასეთი შედეგიანობა ძლიერ მეტოქეებთანაც გამოეჩინა...

ახლა კი, ტურის ერთადერთ საყაიმო ანგარიშზეც. წესითა და რიგით, „ბორჯომს“ შედარებით მცირე, მაგრამ მაინც უპირატესობას ვანიჭებდით „მგლებთან“ შეხვედრაში. საქმე ის არის, რომ **ბესიკ შეროზიას** გუნდს ამ შეხვედრაში ოთხი წამყვანი ფეხბურთელი (**ვალტერ გუჩუა, გრიგოლ თოდუა, გიორგი გულორდავა, ვლადიმერ ჯოჯუა**) აკლდა. ამის მიუხედავად, სტუმრები ორჯერ იგებდნენ შეხვედრას და მასპინძლებმაც მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში. **გიორგი სუხიაშვილის** გუნდში კვლავაც ჩინებულად გაისარჯა ახალგაზრდა **ირაკლი კიკნაძე**, ვინც პირველ გოლშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო და მერე, მატჩის მიწურულს ეფექტური დარტყმით საკუთარ გუნდს ქულა მოუტანა.

დაბოლოს, ტურის ყველაზე დასამახსოვრებელ მოვლენებზეც. თემურ მახარაძის უკანასკნელ მატჩზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა „ზესტაფონი“-“სიონის“ შეხვედრა სხვა მხრივაც გახლდათ საინტერესო. ფაქტობრივად, თამაშის წინადღეს მასპინძელთა კატეგორიული მოთხოვნით შეიცვალა ამ მატჩის... მთავარი მსაჯი! ჰო, ზესტაფონელებმა **ლევან კვარაცხელიას** უნდობლობა გამოუცხადეს და მის ნაცვლად ტურის ცენტრალური შეხვედრა **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** იმსაჯა. ჩვენი ინფორმაციით, „რემბო“ ამ არცთუ იოლ შეხვედრას დამაჯერებლად გაუძლვა...

**გია ტუხაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

თემურ მახარაძე

# არ მეგონა, ასეთი ძნელი თუ იქნებოდა წასვლა...



„ლელომ“ თემურ მახარაძე ტურის მწვრთნელად დაასახელა. „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელის რანგში გამოსამშვიდობებელი მატჩი გამარჯვებით აღნიშნა. ან უკვე მისმა ყოფილმა გუნდმა, ასევე ყოფილ გუნდ „სიონს“, როინ ონიანის გოლით სძლია და ლიდერთა ჯგუფში პოზიციები განიმტკიცა...

ახლა კი ჯერჯერობით პატარა ინტერვიუ მწვრთნელთან, რომელმაც კარიერა დაასრულა...

**- ბატონო თემურ, სამწვრთნელო კარიერა დაასრულეთ და ამაზე ცოტა მოგვიანებით, უფრო მშვიდ ვითარებაში სჯობს საუბარი. ახლა კი „სიონთან“ მატჩზე ვილაპარაკოთ...**

- ძალიან რთული თამაში გამოდგა, რადგან ჩვენ და „სიონი“ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. ასეთი შეხვედრის მოგება ყოველთვის ძალზე ძნელია. ბოლხისში გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ, მათ გასვლითი მატჩების შიში არ აქვთ და შებოჭილები არ არიან. პირველი ტაიმი ჩვენთვის სასურველი სცენარით დაიწყო, უპირატესობა გვქონდა, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა თამაში გაათანაბრეს და ვფიქრობდი, როგორ შემომეტრიალებინა მატჩი. საამისოდ, ტაქტიკური გადაადგილებები განვახორციელე.

**- კონკრეტულად?**

- მეორე ტაიმში განხორციელებული ყველა შეცვლა შუა ხაზის გაძლიერებას ემსახურებოდა, ამან კი შეტევების გამწვავების საშუალება მოგვცა. ვიცოდით, რომ სტუმართაგან განსაკუთრებით სახიფათო მოთამაშე იყო სულიკო დავითაშვილი. ის „სიონისთვის“ საკვანძო ფიგურაა, დიდ სამუშაოს ასრულებს და მთავარ ამოცანად სწორედ მისი განეიტრალება დავისახეთ. საბედნიეროდ, ეს მოვახერხეთ და თამაშიც ავაწყვეთ. გამოცდილი იონანიძე და ახალგაზრდა ბენაშვილიც კარგად ჩაერთვნენ თამაშში. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკური იყო.

**- წლეულს, „ზესტაფონი“, ფაქტობრივად, ახალი გუნდია. თქვენი აზრით, რომელი პოზიცია საჭიროებს გაძლიერებას?**

- ყველა პოზიციას სჭირდება გაძლიერება, განსაკუთრებით - დაცვას.

**- გავიგეთ, რომ უცხოეთში მოთამაშე ქართველების ჩამოყვანას აპირებთ...**

- მოდით, ამაზე გეგუჩაძეს ჰკითხეთ, ის გაგცემთ ზუსტ პასუხს.

**- თქვენ ხომ ერთ-ერთი საკვანძო პოსტი, სპორტული დირექტორის თანამდებობა ჩაიბარეთ...**

- სერიოზულ პოსტს რომ ჩავიბარებ, ეს კლუბის პრეზიდენტმა თქვა, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი, რა ერქმევა ჩემს თანამდებობას. მოვიცადოთ და ვნახოთ...

**- თქვენც და გია გეგუჩაძეც ამბიციური მწვრთნელები ბრძანდებით. სიმართლე გითხრათ, ბევრს ჰგონია, რომ ერთად მუშაობა გაგიჭირდებათ...**

- მესმის, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში პრეცედენტი მოხდა - ეს ორი ამბიციური სპეციალისტი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ერთად იმუშავებს. იცით, სწორედ ამ პრეცედენტის გამო ვარ გახარებული. ამან იმედი გამიჩინა, რომ ევროპულ ფეხბურთში დამკვიდრებული ურთიერთობის პრაქტიკა ჩვენთანაც დაინერგება. „ზესტაფონი“ ამით მაგალითს იძლევა. სხვათა შორის, 50 წელია, გერმანიაში კლუბების უმრავლესობა წინასწარი გეგმის მიხედვით მუშაობს. მართალია, ყველაფრის დაგეგმვა შეუძლებელია, მაგრამ მეტნაკლებად ცდილობენ, გარკვეული პერიოდის პროგნოზირებას, მიახლოებით მაინც იციან, ვთქვათ, ოთხი წლის მერე ვის დანიშნავენ მთავარ მწვრთნელად და ასე შემდეგ. სწორედ ამ მოდელით სურს „ზესტაფონის“ მართვა ილია კოკაიას. ძალიან კარგია, რომ მემკვიდრეობითობის პრეცედენტი საქართველოშიც გაჩნდა.

**- კი, მაგრამ გეგუჩაძემ ჯერ მხოლოდ ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა და რომელი ხანგრძლივი პერიოდის დაგეგმვაზეა ლაპარაკი?**

- დიახ, კონტრაქტი ჯერჯერობით ექვსთვიანია, მაგრამ „ზესტაფონი“ მას სერიოზულ გეგმებსა და იმედებს უკავშირებს.

**- გაცილების დროს თვალზე ცრემლიც ხომ არ მოგადგათ?**

- დიდი ხანი ვემზადებოდი ამ დღისთვის, მაგრამ ასეთი ემოციური და სენტიმენტური თუ იქნებოდა წასვლა, არ მეგონა. როცა მივხვდი, რომ მთავარი მწვრთნელი აღარ ვიყავი, ემოციები მომაწვა...

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელი

# გეგუჩაძის ახალი ასპარეზი

საქართველოს ჩემპიონატის 19-წლიან ისტორიაში, მართლაც თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევები გვახსოვს, წარმატებული გუნდის ასევე წარმატებული მწვრთნელი თანამდებობას... საკუთარი სურვილით რომ ტოვებდეს. მით უმეტეს, რომ არასდროს ვყოფილვართ განებივრებული მაღალი დონის სპეციალისტებით. კი, ყველას გული დაგვწყდა, **თემურ მახარაძემ** აქტიურ სამწვრთნელო კარიერაში პაუზის აღება რომ გადაწყვიტა; თუმცა, მეორე მხრივ, ისიც გაგვიხარდა, ფაქტობრივად, სამწელიწადნახევრიანი შესვენების მერე სამწვრთნელო ასპარეზზე კვლავაც რომ გამოჩნდა **გია გეგუჩაძე**! ახალგაზრდა მწვრთნელის სახელს უკავშირდება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი წარმატება - სწორედ გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოახერხა თბილისის „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის საგზურის მოპოვება. მახარაძესა და გეგუჩაძეზე ვერავინ იტყვის, ერთნაირი საფეხბურთო მსოფლმხედველობა აქვთო; გამოცდილ და ახალგაზრდა მწვრთნელებს ფეხბურთში განსხვავებული ხედვაც აქვთ და სათამაშო სტილსაც სხვადასხვას ანიჭებენ უპირატესობას; თუმცა, საერთოც ბევრი აქვთ და ამ შემთხვევაში, ალბათ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი - კვალიფიკაცია, სამწვრთნელო ინტელექტი და ფეხბურთისადმი სიყვარული!

...არ დავმალავთ, ძალიან დიდი ინტერესით ველოდებით გეგუჩაძის... „ზესტაფონის“ ხილვას; რა თქმა უნდა, მასზე უკეთ არავინ იცის, თუ რა ან ვინ უნდა შეიცვალოს გუნდში; ნურც რადიკალურ ცვლილებებს გამოვრიცხავთ (ოღონდ, ალბათ, უფრო იანვრის მერე). ისე, ბევრი მწვრთნელი ამ ეტაპზე „ზესტაფონში“ მისვლაზე თავსაც შეიკავებდა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ახალ პოსტზე დანიშვნიდან მესამე დღეს გუნდს ხომ სუპერთასის მატჩი ელოდება? თანაც, მეტოქესაც ხომ გააჩნია - თბილისის „დინამო“ გია გეგუჩაძისთვის ჩვეულებრივი მოწინააღმდეგე ვერასდროს იქნება. ამასთან, „ზესტაფონს“ ჩემპიონატშიც ერთობ რთული მატჩები დარჩა ზამთრის პაუზამდე. ანუ, გეგუჩაძეს შეეძლო ეს პერიოდი გუნდზე დასაკვირვებლად გამოეყენებინა და იანვრიდან უკვე საკუთარი იდეებით მოსულიყო. თუმცა, რახან ახლავე დათანხმდა ასეთ საპატიო და ამასთან, რთულ სამსახურს, ესე იგი, საკუთარ შესაძლებლობებშიც დარწმუნებულია. ისე, ვინც გია გეგუჩაძეს იცნობს, მისი ასეთი ნაბიჯი არავის უნდა გაჰკვირვებოდა; თანაც, მეტისმეტი ფუფუნება ხომ არ იყო ჩვენთვის, რომ პრო-კატეგორიის მწვრთნელი ამდენი ხნის განმავლობაში დაუსაქმებელი ყოფილიყო?

„ზესტაფონის“ ახალი თავკაცის უკანასკნელი სამსახური „გაგრა“ იყო, სადაც სპორტულ დირექტორად მუშაობდა. სხვათა შორის, გეგუჩაძის დიდი დამსახურებაც არის, რომ ამ გუნდის არაერთმა ნიჭიერმა ჭაბუკმა ფეხბურთელმა ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი.



გია გეგუჩაძე

...საყოველთაოდ ცნობილი თბილისის ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა და იმ დროისთვის ერთობ პერსპექტიულ ფეხბურთელად მიჩნეულმა გია გეგუჩაძემ აქტიური მოთამაშის კარიერა თბილისის „ლოკომოტივში“ გააგრძელა. ამ გუნდის ღირსებას სამი წელიწადი იცავდა, როცა „ლოკომოტივი“ ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობის მეორე ლიგაში ასპარეზობდა.

ფეხბურთელის კარიერა საკმაოდ ადრეულ ასაკში დაასრულა და საქართველოს ჩემპიონატებში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახლდათ, ვისაც უმაღლეს ლიგაში უმუშავია. ჯერ **ნოდარ აკობიას** ეხმარებოდა თბილისის „შევარდენში“ (იმ დროისთვის, ჯერ 30 წლისაც არ იყო), მერე კი **დავით ყიფიანმა** ჯერ თბილისის „დინამოში“, მერე კი საქართველოს ნაკრებში მიიწვია! ხუთი სეზონი „დინამოში“ გახლდათ, სადაც ყიფიანის მერე **მურთაზ ხურცილავასა** და **იოჰან ბოსკამპის** ასისტენტი იყო. 2000 წელს, გარკვეულ მიზეზთა გამო, „დინამოდან“ წამოსვლა მოუხდა, თუმცა უმუშევარი დიდხანს არ ყოფილა: იმ სეზონში რუსთავის „გორდას“ ძალიან გაუჭირდა და ახალგაზრდა მწვრთნელის დამსახურებაც გახლდათ, ეს გუნდი რომ უმაღლესი ლიგიდან არ გავარდა. ეს იყო პირველი გუნდი მთავარი მწვრთნელის რანგში (იმას არ ვგულისხმობთ, ერთხელ „დინამო“ რომ გაიყვანა მოედანზე) და ორი წლის მერე ისევ „გორდამ“ მიიწვია. სამწუხაროდ, რუსთაული გუნდის და გეგუჩაძის ურთიერთობა მხოლოდ რამდენიმე თვეს გაგრძელდა; სამაგიეროდ მალე „დინამო-2“ ჩაიბარა და 2003-04 წლების სეზონის მიწურულს უკვე ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მთავარ მწვრთნელადაც დანიშნეს. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურილა იყო დარჩენილი და იმ სიტუაციაში მეორე ადგილის დაკავება, ალბათ, მაქსიმალური შედეგიც გახლდათ. ამასთან, „დინამომ“ საქართველოს თასის ფინალში სწორედ გეგუჩაძის ხელმძღვანელობით შეძლო ქუთაისის „ტორპედოს“ დამარცხება და საპატიო პრიზიც დაისაკუთრა. მაგრამ, მთავარი იმ თვე-თვენახევარში მაინც „საკადრო რევოლუცია“ იყო: გეგუჩაძემ „დინამო-2“-დან პირველ გუნდში გადმოიყვანა და ძირითადში უყოყმანოდ ანდო ადგილი ყველასთვის უცნობ ახალგაზრდებს: **შოთა კაშიას, შოთა გრიგალაშვილს, ჯაბა დვალს, ლევან ხმალაძესა** და **ჯაბა კანკავას**. სამაგიეროდ, ჯერ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდნენ, მერე კი გუნდის დატოვება მოუხდათ „დინამოს“ ზოგიერთ გამოცდილ ფეხბურთელს, ვინც მანამდე შეუცვლელებად ითვლებოდნენ...

გეგუჩაძის „დინამოში“ მოსვლის მერე შეიცვალა გუნდის ტაქტიკური სქემაც: თუ მანამდე გუნდი, უფრო ხშირად 3-5-2 განლაგებით (იშვიათად 4-4-2) ასპარეზობდა, ამჯერად უკვე იმ დროისთვის ნოვატორული 4-2-3-1 ვიხილეთ.

...2004 წლის ზაფხულიდან „დინამოს“ ტრიუმფული სვლა დაიწყო ევროტურნირებზე: ერთმანეთის მიყოლებით ჩვენმა გუნდმა გზიდან ჩამოიცილა ბელარუსის „ბატე“, ჩეხეთის „სლავია“ და პოლონეთის „ვისლა“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ჩვენმა გუნდმა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გაალწია! „სოშოსთან“, „პანიონისთან“, „სპორტინგთან“ და „ნიუკასლთან“ პაექრობებმა „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს საერთაშორისო გამოცდილება კი შესძინა, მაგრამ გუნდი ორ ფრონტზე ბრძოლისათვის მზად არ აღმოჩნდა. შიდა ასპარეზზე „დინამოს“ პირველი ჩავარდნა შემოდგომაზე ჰქონდა, როცა ზედიზედ ორჯერ დამარცხდა: „თბილისთან“ (0:5) და „ტორპედოსთან (1:2). ამას მერე „ზესტაფონთან“ თასზე გამოვარდნა მიემატა. უარესი მოხდა ზამთრის პაუზის მერე - „დინამომ“ ხუთ შეხვედრაში სამი წააგო და ჩემპიონობის შანსი შეუმცირდა. 2005 წლის 12 მარტს, სკა-ს სტადიონზე „დინამო“-“ზესტაფონის“ მატჩი კი, როგორც აღმოჩნდა, გეგუჩაძისთვის უკანასკნელი იყო მთავარი მწვრთნელის პოსტზე. სტუმართა ნახევარმცველის **გოჩა სულაკაძის**, მართლაც, ეფექტური გოლი იმ შეხვედრაში ერთადერთი იყო და მატჩის მერე გეგუჩაძე „დინამოდან“ წავიდა...

...სამწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ისევ დაუბრუნდა სამწვრთნელო ასპარეზობას. ალბათ, სიმბოლურია, რომ პირველი შეხვედრა იმ კლუბის წინააღმდეგ უნდა ჩაატაროს, სადაც ჩამოყალიბდა როგორც მწვრთნელი და საიდანაც გაიცნო კიდეც საფეხბურთო სამყარომ...

**გია ტუხაშვილი**

ამბები

თანამეგობრობის თასი

## დინამო უარზეა, წილისყრაც ჩაიშალა...

წესით, 17-26 იანვარს მოსკოვში „თანამეგობრობის თასის“ ტრადიციული XVII გათამაშება უნდა გაიმართოს. გუშინ ტურნირის წილისრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩაიშალა - ორგანიზატორებმა მიზეზად ტექნიკური პრობლემები დაასახელეს...

თუმცა ეს ტურნირი ჩვენთვის საინტერესო აღარ არის. საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ „თანამეგობრობის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. როგორც შევიტყვეთ, „დინამოს“ შემცვლელად ტურნირში არც სხვა ქართული აპირებს თამაშს.

სხვათა შორის, წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ბელარუსის, უკრაინისა და უზბეკეთის ჩემპიონებმაც, თუმც ამ ქვეყნებს სხვა გუნდები წარმოადგენენ, თუ გადაწყდა, რომ კვდომის პროცესში მყოფი „თანამეგობრობის თასი“ მაინც გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერები

## ალადაშვილი და მარცვალაძე ანჟიში

### მარცვალაძე ზესტაფონსაც ადასტურებს...

კიევის „დინამოს“ ორმა ქართველმა ფეხბურთელმა, შესაძლოა, კარიერა მახაჩყალის „ანჟიში“ გააგრძელოს. როგორც შევიტყვეთ, **კახა ალადაშვილის** ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია, **ოთარ მარცვალაძისა** კი გადაწყვეტის პროცესშია. ინფორმაცია თავად მარცვალაძესთან გადავამოწმეთ.

*„დიახ, ალადაშვილის საკითხი თითქმის მოგვარებულია. ალბათ, მეც „ანჟიში“ ვითამაშებ. პრინციპში, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ჩემი ტრანსფერიც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, ოღონდ, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. „ანჟი“ ჩემგან ელის თანხმობას. ახლა კლუბებს შორის მოლაპარაკება მთავრდება და თუ საბოლოოდ შეთანხმდნენ, დაღესტნელები ჩემსა და ალადაშვილის ტრანსფერს გამოისყიდიან. მოკლედ, არენდაზე ლაპარაკი არ არის. იმედაშვილი კი, ჯერჯერობით, კიევის „დინამოში“ ვარჯიშობს“.*

მარცვალაძემ დაადასტურა ის ინფორმაციაც, თითქოს მისი დამატება „ზესტაფონს“ სურდა, თუმცა იქვე დასძინა - სერიოზული მოლაპარაკება არ გვქონიაო. ჩვენი ინფორმაციით კი, „ზესტაფონი“ მზად იყო, საქართველოს ნაკრების ფორვარდში ნახევარი მილიონი დოლარი გადაეხადა, მაგრამ ოთარმა საქართველოში დაბრუნება არ ისურვა...

**მერაბ მამულაშვილი**

ახალი თაობა?

## პორტუში ორი ქართველს გამოცდიან

„ფონდი არველაძე“ პორტუგალიაში მცხოვრებ 16 წლის **გიორგი დიასამიძეს** ერთ-ერთ იქაურ გრანდში რომ უპირებდა სტაჟირებაზე მივლინებას, ადრეც გაუწყეთ. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ დიასამიძესთან ერთად, „პორტუში“ გასინჯვაზე კიდევ ერთი ქართველი ჭაბუკი მივა - **ავთანდილ ებრალიძე**. ისიც 16 წლისაა და პორტუგალიაში ცხოვრობს.

დიასამიძესა და ებრალიძეს „პორტუში“ პირველად გუშინ უნდა ევარჯიშათ. სინჯები, სავარაუდოდ, ათ დღეს გასტანს. რაც შეეხება საქართველოს 19 და 21-წლამდელთა შემტევ **ზაქარია ბეგლარიშვილს**, „ფონდი არველაძის“ დახმარებით ის ხელმეორედ არის მიწვეული ამსტერდამის „აიაქსში“ და ტრანსფერის საკითხიც დადებითად უნდა გადაწყდეს. მას იქ საშობაო არდადეგების შემდეგაც ელიან და აიაქსელებს ჩვენებური რომ არ მოსწონდეთ, ამდენ ხანს თავისთან რატომ გააჩერებდნენ?

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

მიხეილ აშვეთია

# პრემიერლიგისთვის უკვე ბებერი ვარ

## აშვეთია დაკარგულ წლებზე ნანობს...



**მიხეილ აშვეთია**, ერთ დროს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრების ექსფორვარდი მახაჩყალის „ანჟის" საუკეთესო მეგოლეა - სეზონში 18 გოლი გაიტანა, მშვენივრად ათამაშდა და, თითქოს, „მეორე სუნთქვა" გაეხსნა. თუმცა 31 წლის თავდამსხმელისთვის, რომელსაც გოლები გააქვს, ეროვნული ნაკრების კარი დაკეტილია. საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე თავად აშვეთია...

**- დავიწყოთ იმით, რომ „კარლ ცაისის" ფეხბურთელი რუსეთის პირველი ლიგის „ანჟიში" ამოჩნდით. როგორ მოხდა ეს?**

- გერმანიაში კონტრაქტი დამიმთავრდა, განსაკუთრებული პირობებიც არ იყო. მერე ამას ისიც დაემატა, რომ „კარლ ცაისი" რუსებმა ვერ იყიდეს და დარჩენა არ ღირდა.

**- ამბობენ, აშვეთიას კარგი ხელფასი რომ არ ჰქონდა, რალფ მინგეს დამსახურებააო. რამდენად მართალია, თითქოს, ტოპმიოლერის ყოფილ თანაშემწეს თქვენი და გიორგი ლომაიას ტრანსფერების ჩაშლა უნდოდა?**

- ჩემზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ლომაია ცუდად დაახასიათეს... თუმცა გიორგი მაინც აიყვანეს გუნდში.

**- კლაუს ტოპმიოლერთან უსიამოვნება რატომ მოგივიდათ?**

- არ მათამაშებდა. ვკითხე - თუ არ ვარ საჭირო, რატომ მიძახებ-მეთქი? ფარერებთან რომ არ გათამაშებს მწვრთნელი, ხომ გასაგებია, რომ არ სჭირდები? ისიც ვუთხარი, ჩემს გამოძახებას, ჯობს, ახალგაზრდები მიიწვიოთ, სტიმული მაინც გაუჩნდებათ-მეთქი...

**- ეს ულტიმატუმი ხომ არ იყო?**

- არა, რომელ ულტიმატუმზეა ლაპარაკი?! ვგრძნობდი, არ სურდა, რომ მეთამაშა. როცა ფორმაში არ ვიყავი, მაინცდამაინც მაშინ მათამაშა - იტალიასთან რომ გამომიძახა, „რუბინში" მიღებული ტრავმა ახალი მოშუშებული მქონდა, არადა, ძირითადში დამაყენა. მზად არ ვიყავი, თან იტალიას ვეთამაშებოდით და სახუმარო ამბავი ხომ არ იყო? რა ტაქტიკა ჰქონდა, ვის რისთვის ათამაშებდა ან არ ათამაშებდა, ვერ ვხვდებოდი.

**- არადა, იტალიასთან თითქოს ურიგოდ არ გითამაშიათ...**

- გასაგებია, რომ იტალიაა და სულ სხვაგვარი მოტივაციით თამაშობ. თუმცა, ხომ გითხარით, ვარჯიში ახალი განახლებული მქონდა და ძალიან გამიჭირდა, მეორე ტაიმში ძალიან დავიღალე.

**- წელან თქვით, ტოპმიოლერის არჩევანი და ტაქტიკა გაუგებარი იყოო. იტალიასთან ლამის ტრავმიანი რომ დაგაყენათ, ეტყობა, იმ მომენტისთვის სხვა გამოსავალი არ ჰქონდა...**

- არ ვიცი, უბრალოდ, ნაკრების მწვრთნელი თავის საქმეს უნდა აკეთებდეს, ფედერაციის პრეზიდენტი კი თავისას და ასე შემდეგ. ერთმანეთის საქმეში არ უნდა ერეოდნენ...

**- ერეოდნენ?**

- ზოგადად ვამბობ. ჩემი აზრით, ასე უკეთესი იქნება. კუპერი საქართველოში ჩამოდის, ცხოვრობს და ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს რეგულარულად ესწრება. ტოპმიოლერს კი საერთოდ არ აინტერესებდა აქაური თამაშები. აბა, ვინ უნდა შეერჩია? წარმოიდგინეთ, კუპერი თამაშებზე დადის და მაინც უჭირს საქართველოში კარგი მოთამაშეების მონახვა.

**- წელს რუსეთის პირველი ლიგისთვის საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენეთ - 18 გოლი. იქაურ პრემიერლიგაში აღარ გიწვევენ?**

- „ანჟისაც" სურს, კონტრაქტი რომ გავაფორმო, მაგრამ ვნახოთ, მოსაფიქრებელია. ისე, თავისუფალი აგენტი გავხდი და შემიძლია, გუნდი შედარებით იოლად შევარჩიო.

**- მაინც არ გვეუბნებით, პრემიერლიგის რომელიმე კლუბი გიწვევთ?**

- არის წინადადებები, მაგრამ ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. რუსეთის ჩემპიონატისთვის 31 წლის მოთამაშე უკვე ბებერია - ასე მიაჩნიათ იქ და ეს მაფიქრებს სწორედ, ღირს თუ არა რუსეთის მთავარ ლიგაში თამაში? ევროპაში წასვლა კი ნამდვილად აღარ მსურს, რუსეთს უკვე ძალიან მივეჩვიე.

**- გიფიქრიათ, ალბათ, ოდესმე - შეგეძლოთ კარიერის უკეთ აწყობა?**

- რა თქმა უნდა, შემეძლო, აქეთ-იქით ხეტიალში ბევრი დრო რომ არ დამეკარგა. განსაკუთრებით, 1996 წელი ჩამივარდა, როცა მართალა საუკეთესო ფორმაში ვიყავი... მერე „ლოკომოტივში" ორჯერ მივიღე ტრავმა და კონდიციების აღსადგენად მთელი წელი დამჭირდა. ასეთ დროს, ამბიციური კლუბი ნამდვილად არ დაგელოდება.

**- ტრავმები გასაგებია, მაგრამ დანიაში რომ ვერ ითამაშეთ, ეს ვისი ბრალია?**

- შანსი არ მოუციათ და როგორ უნდა გამომეჩინა თავი? იქ ერთი სამხრეთაფრიკელი ფორვარდი თამაშობდა - სიბუსისო ზუმა. სხვათა შორის, ახლახან აღმოვაჩინე, რომ თურმე, გასულ სეზონში „არმინიაში" ყოფილა. მართლა კარგი თავდამსხმელი იყო, თუმცა დანიის იქით ვერსად გაითქვა სახელი.

**- „ანჟიზე" ვისაუბროთ. რა გუნდია, რა პერსპექტივა აქვს?**

- რუსული პრესაც აღიარებდა, რომ პრემიერლიგაში გადასვლას ვიმსახურებდით. თუმცა რუსეთში ამის გაკეთება ძნელია, თუ დიდი ფული არ გაქვს. ამიტომაც გვაჯობა „ყუბანმა".

**- რუსეთის პირველ ლიგაში მსაჯობაზე ლეგენდები დადის...**

- განსაკუთრებით გასვლითი შეხვედრების დროს ხდება ხოლმე სასწაულები...

**- ისიც გავიხსენოთ, ულიანოვსკში, „ვოლგასთან" მატჩის შემდეგ, გუნდმა გუნდზე რომ გაიწია, ასეთი რა მოხდა? მართალია, თითქოს ქართველებს აგინებდნენ?**

- დიახ, ტრიბუნებიდან ნამდვილად გვაგინებდნენ, მაგრამ პოლიტიკა იმ ჩხუბთან კავშირში არ ყოფილა. სათამაშო ეპიზოდის გამო ატყდა ყველაფერი...

**- ყველა ფეხბურთელი ამბობს, რომ რუსეთში თავს კარგად გრძნობს. ნუთუ, ქართველების დაცინვა, აბუჩად აგდება და „სკინჰედების" სისასტიკე თქვენ არ გეხებათ?**

- დაღესტანში ნაკლებად აინტერესებთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, იქ მართლა მშვიდად ვართ.

**- ომარ თეთრაძეს როგორ დაახასიათებდით?**

- დინჯი და ჭკვიანი მწვრთნელია, ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ დიდი გამოცდილება და მომავალი აქვს. მახაჩყალაში ომარი ძალიან უყვართ...

**- მახაჩყალელებს გუნდში 8 ქართველის ყოფნა არ აღიზიანებთ?**

- არა, რომელ გაღიზიანებაზეა ლაპარაკი? დაღესტანში ქართველებზე გართულება არავის აქვს. ომის დროსაც ნეიტრალური მხარე ეჭირათ...

**- აგვისტოს ომის შემდეგ ყველაზე რთული რომელ ქალაქში იყო თამაში?**

- რა თქმა უნდა, ულიანოვსკში, სადაც ჩხუბი მოხდა, ან კიდევ ნაბერეჟნიე ჩელნიში, „კამაზთან"... ამ უკანასკნელს 8 აგვისტოს ვესტუმრეთ და სტადიონზე ანტიქართული ბანერები გააკრეს. მართალია, შემდეგ ისინი ჩამოხსნეს, მაგრამ მაინც არასასიამოვნო გარემოში მოგვიხდა თამაში.

**- გული არ გწყდებათ, ევროპის ნაცვლად, რუსეთის პირველ ლიგაში რომ თამაშობთ?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ რას ვიზამ...

**- რა იქნება ფეხბურთის მერე?**

- ჯერ არ ვიცი, მაგრამ ფეხბურთში დარჩენა მინდა. მწვრთნელობასა და მენეჯერობაზე ვფიქრობ. დრო გზას მასწავლის, ვნახოთ... ჯერ, ოთხი-ხუთი წელი კიდევ წინ მაქვს...

**მერაბ მამულაშვილი**

პორტრეტი

ოთარ მარცვალაძე

# კარგი ფეხბურთელი

## ანუ მაკარონით და სალათით დაწყებული ამბავი

**კარგი ფეხბურთელი პრობლემაა. ასეთები საქართველოს ძალიან ცოტა ჰყავს და ამას კიდევ ერთი პრობლემა ემატება - ყველა კარგი ფეხბურთელი კარგად ვერ ვითარდება ან უიღბლობის გამო ფერხდება. ყველა კარგი ფეხბურთელი, როგორც არ უნდა წარიმართოს მისი კარიერა, ყოველთვის კარგ ფეხბურთელად რჩება, რადგან ის, რაც მას აქვს, არ ქრება - კარგი მონაცემები. ამას ვარჯიშით ვერ შეიძენ, ეს ან გაქვს ან - არა...**

კარგი ფეხბურთელი რომ არ იყოს **ოთარ მარცვალაძე**, 19 ნოემბერს რუმინეთს გოლს ვერ გაუტანდა - ყველაფერი კარგად წაიკითხა, ზუსტად შეარჩია დრო და მომენტი, ბოლოს ზუსტადაც დაარტყა. მე მაინც მგონია, რომ ეს ქრესტომათიული გოლი იყო - გამოთავისუფლებული პოზიციის შევსება და გოლის გატანა.

მარცვალაძის ამბავი ჯერ არ დამთავრებულა, 24 წლისაა და მასში იგრძნობა ის ენერგია, სხვა რამედ რომ უნდა გარდაიქმნას - კარგ გუნდში სისტემატიურად მოთამაშე ფეხბურთელად.

*„ფეხბურთის თამაში ქუჩაში დავიწყე, 12 წლისა კი თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში მივედი. 16 წლის რომ გავხდი, უცხოეთში ვცადე ბედი - თელ-ავივის „ჰაპოელის" დუბლებში ექვსი თვე დავყავი. თბილისში რომ დავბრუნდი, სულაქველიძის აკადემიას მივაკითხე, რაღაც თამაში იყო და ჩემს ყოფილ გუნდს დავემატე. თურმე, ამ მატჩს „ვიტ ჯორჯიის" მწვრთნელები აკვირდებოდნენ და მეორე გუნდში ამიყვანეს. ერთი წელიც არ დამჭირდა „ვიტ ჯორჯიის" პირველ გუნდში მოსახვედრად"* - ასე დაიწყო მარცვალაძის საფეხბურთო გზა.

ვიტჯორჯიელ მარცვალაძეს გოლებიც გაჰქონდა და დიდებული დრიბლიორიც გახლდათ. ახალგაზრდული ასაკის გამო პირველ ხანებში სტაბილურობა აკლდა, მაგრამ მერე და მერე ეს ნაკლიც გამოასწორა და ნამდვილი თავდამსხმელი გახდა - თავს ესხმოდა მეტოქის დაცვას და აწიოკებდა, ორ-სამ კაცს ატყუებდა და გოლებიც ასე გაჰქონდა, ის არ იყო საჯარიმოს ფორვარდი - მარცვალაძე მრავალმხრივი თავდამსხმელი გახლდათ.

წარსულში იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ რაც მარცვალაძე საქართველოდან წავიდა, მისი ეს თვისებები ბოლომდე ვერა და ვერ გამოავლინა უკრაინაში. ხან რა გამოხდა, ხან - რა. „ვიტ ჯორჯიაში" კი ის თანდათან მწიფდებოდა ისეთ ფეხბურთელად, უკეთეს გუნდში რომ უნდა გადასულიყო. თურმე, აქაც ზუსტად უნდა შეარჩიო დრო და მომენტი, ქვეყანა და კლუბი...

„ვიტ ჯორჯიაში" მისი პირველი მწვრთნელი **ჯანი კარნევალი** გახლდათ, ენაწყლიანი, მეგობრული იტალიელი, რომელიც ძალიან მკაცრი იყო ფეხბურთელებისთვის საკვების შერჩევისას.

*„მაკარონი და სალათი - კარნევალის აზრით ეს იყო მთავარი საკვები ფეხბურთელებისთვის. ის მკაცრად ითხოვდა მის მიერ შერჩეული რაციონით კვებას, მაგრამ ჩვენ, ფეხბურთელები, საკუთარი რაციონითაც ვიკვებებოდით, მხოლოდ კარნევალის კერძებზე არ ვიყავით დამოკიდებულები. იტალიელის რაციონში ხორცი ძალიან ცოტა იყო"* - იხსენებს მარცვალაძე.

„ვიტ ჯორჯიაში" კარნევალის დრო და ხუშტურები დიდხანს არ გაგრძელდა, მარცვალაძეს კი იქ ყოფნა, ალბათ, გაუგრძელდა - როგორც უნდა იყოს, კარგ გარემოში, კარგ მოედნებსა და კარგი მწვრთნელის ხელში უფრო კარგად იზრდება ახალგაზრდა ფეხბურთელი. 2004 წელს მარცვალაძე საქართველოს ჩემპიონი გახდა და უკვე ყალიბდებოდა გუნდის ერთ-ერთ ლიდერად. კიდევ წელიწადნახევარი დარჩა „ვიტ ჯორჯიაში" და წასვლის დროც დაუდგა...

ახალი გუნდი ოთარს თავად „ვიტ ჯორჯიამ" გამოუძებნა. საქმეში **რევაზ ჩელებაძეც** ჩაერთო და თავისი კავშირებით იმდენი მოახერხა, რომ მარცვალაძე კიევის „დინამომ" იყიდა. ცხადია, ეს ტრანსფერი, პირველ რიგში, ფეხბურთელის დამსახურება იყო - კიევის „დინამოს" ცუდ ფეხბურთელს, აბა, როგორ შეაჩეჩებ? თუმცა მარცვალაძეს სხვა მთხოვნელიც ჰყავდა - თბილისის „დინამო", მაგრამ...

*„დინამოში" ჩემს გადასვლაზე სერიოზული ლაპარაკი იყო, მაგრამ ყველაფერი ფულთან იყო დაკავშირებული, „დინამო" და „ვიტ ჯორჯია" თანხაზე ვერ მორიგდნენ, თორემ შეთანხმების შემთხვევაში თბილისის „დინამოში" გადასვლაზე უარს არ ვიტყოდი".*



უკრაინის უტიტულოვანეს გუნდში არაერთი ქართველი მისულა გასასინჯად - ზოგი აიყვანეს, ზოგიც დაიწუნეს... **კახა კალაძისა** და **გიორგი დემეტრაძის** გარდა იქ ფეხის მოკიდება ყველას გაუჭირდა. შეიქმნა მითი იმის შესახებ, რომ კიევურ „დინამოში ისეთი დატვირთვებია, ისეთ გამძლეობასა და ათლეტიზმს ითხოვენ, რომ ქართველი ფეხბურთელები ასეთ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ.

*„ეს მართლაც მითია და მეტი არაფერი, განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას კიევის „დინამოში" არ ითხოვენ, უბრალოდ, საქართველოს ჩემპიონატიდან იქ რომ მოხვდები, თავიდან მართლაც გაგიჭირდება - ასე დაემართება საქართველოდან უცხოურ გუნდში გადასულ ყველა ფეხბურთელს... მოკლედ, კიევის „დინამო" თანდათან ევროპულ მეთოდიკაზე გადადის, აღარ არის ისეთი ტესტები და დატვირთვები, ვალერი ლობანოვსკის ეპოქაში რომ იყო. მაშინდელ მეთოდიკას მე არ მოვსწრებივარ"* - განგვიმარტა მარცვალაძემ და მერე ესეც დაამატა:

*„კიევის „დინამოში" ჩემი პირველი სეზონით კმაყოფილი დავრჩი, ანატოლი დემიანენკო მენდობოდა, შანს მაძლევდა, მეორე ტაიმში შეცვლაზე მათამაშებდა, უკრაინის თასის ნახევარფინალში სასტარტოშიც დამაყენა... მომდევნო სეზონის დაწყების წინ კი ფეხი ვიტკინე, მერე კოჭი გადამიტრიალდა, შემდეგ კიდევ ერთი ტრავმა... მთავარი მიზეზი იმისი, თუ რატომ ვერ აეწყო კიევის „დინამოში" ჩემი საქმეები, სწორედ ტრავმებია, თორემ გულიანად ვარჯიშსა და რეჟიმის დაცვას არ ვერიდებოდი".*

შარშანდელი სეზონის მეორე წრისთვის „დინამომ" მარცვალაძე „ზაკარპატიეში" გაანათხოვრა. მერე ოთარი ისევ კიევში დაბრუნდა და წლეულს „დინამოს" მეორე გუნდში თამაშობდა. ეს გუნდი კი უკრაინის ჩემპიონატის პირველი ლიგაში გამოდის.

*„ჯერ არ გამოჩნდა ისეთი კლუბი, რომელიც „დინამოდან" ჩემს ტრანსფერს გამოისყიდის. ძნელია იმ თანხის გადახდა, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა ჩემში მოითხოვს, თანაც ახლა მე არ ვითვლები „დინამოს" პირველი გუნდის ფეხბურთელად და ასეთში დიდი ფულის გადახდას სხვა კლუბები ერიდებიან. „დინამოსთან" კიდევ ორი წლით მაკავშირებს კონტრაქტი. შვებულება 5 იანვარს მიმთავრდება და ისევ „დინამოს" მეორე გუნდში მელიან. ვნახოთ, რა და როგორ იქნება".*

სანამ მარცვალაძის მომავალი გუნდი გაირკვევა, მას ისევ კიევურ „დინამოზე" ჩავუკირკიტეთ - მაინც რას წარმოადგენს ახლა ეს კლუბი, რატომ უჭირთ იქ წასულ ქართველებს ფეხის მოკიდება?

*„ამ კლუბს ზედმიწევნით საკუთარი, რთული სპეციფიკა აქვს და ამის სიტყვით სრულად ასახვა შეუძლებელია, კიევის „დინამო" ძალიან განსხვავდება სხვა კლუბებისგან. რაც შეეხება იქ ჩასულ ქართველებს, კიეველებს უფრო მზა ფეხბურთელი სჭირდებათ და არა ისეთი, მერე თავად რომ უნდა გამოზარდონ. საქართველოს ჩემპიონატიდან ამხელა კლუბში უცბად ადაპტირება კი ძნელია. მიუხედავად ამისა, იქ მაინც მიდიან ქართველები და ნებისმიერი ჩვენი მოთამაშისთვის ეს ოცნებაა, ასეთ შანსზე უარს ვერ იტყვი".*

მარცვალაძით **კლაუს ტოპმიოლერიც** დაინტერესდა და ნაკრებში უხმო. გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მარცვალაძემ ორჯერ ისე ჩაუქროლა **იოახიმ ლიოვის** გუნდის დაცვას, „ვიტ ჯორჯიის" დროინდელი მოთამაშე „მარცვალა" გაგახსენდებოდათ.

*„ეს იყო ერთადერთი სანაკრებო მატჩი, ჩემს პოზიციაზე რომ მათამაშეს. მე ისეთი ფორვარდი ვარ, რომელსაც მეწყვილეც უნდა ჰყავდეს, საჩემო განლაგება 4-4-2 გახლავთ. საკუთარ თავს გარემარბად არ მივიჩნევ და როცა ამ პოზიციაზე მათამაშებენ, ძნელია გადაწყობა"* - გვითხრა ოთარმა, რომელშიც **ექტორ კუპერი** მაინცდამაინც გარემარბს ხედავს.

წლევანდელ ზაფხულს მარცვალაძე სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა - ისეთ ავტოავარიაში მოჰყვა, თუ ღმერთმა არ გადმოგხედა, ვერ გადარჩები.

*„ღამე იყო და მანქანა ჯვრის მონასტერთან მომიცურდა. შეჯახების შემდეგ მანქანით ავტობანიდან გადავვარდი. ისე დავშავდი, ხუთი თვე ვარჯიში არ შეიძლებოდა... ეკლესიურად ვერ ვცხოვრობ, რადგან სპორტსმენი ვარ და საამისო პირობები არ გამაჩნია, ისე კი, რა თქმა უნდა, მორწმუნე ვარ. ღმერთის რომ არ მწამდეს, ასეთი ავარიიდან ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი".*

ცხადია, ხუთთვიანი უვარჯიშებლობის შემდეგ მარცვალაძე 19 ნოემბრის მატჩისთვის იდეალურ ფორმაში ვერ იქნებოდა, მაგრამ ის ხომ კარგი ფეხბურთელია და გოლის გატანა მაინც მოახერხა. კარგი ფეხბურთელისთვის კარგი კარიერა ალალია - მარცვალაძემ თუ შესაფერის კალაპოტს მიაგნო, ხელი რაღამ უნდა შეუშალოს? ტრავმები და ხიფათი ხომ უკვე მოილია...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

ზაურ სვანაძე

# გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა...

## სვანაძემ მარცხის მიზეზები დაინახა



რამდენიმე დღის წინ კვიპროსში 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფს უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ასპარეზობდა. სამწუხაროდ, ზაურ სვანაძის გუნდმა ელიტრაუნდში გასვლა ვერ მოახერხა. ორი ფრე და მარცხი ბოლო ტურში, ორი გატანილი და სამი გაშვებული გოლი - ასეთია ჩვენი გუნდის კვიპროსული მონაგარი. საინტერესოა, როგორ აფასებს ამ პერიპეტიებს გუნდის მთავარი მწვრთნელი. სვანაძეს სწორედ ამ მიზნით დავუკავშირდით...

**- ბატონო ზაურ, საუბარი ჯგუფური ეტაპის ზოგადი შეფასებით დავიწყოთ...**

- ძალზე საწყენია, რომ ელიტრაუნდში ვერ მოვხვდით. არადა, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ სამივე მატჩი კარგად ვითამაშეთ, ბიჭებმა თავი გადადეს... ალალად გეუბნებით, სამივე მეტოქეს ვაჯობეთ. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ჯგუფში ყველაზე კარგი გუნდი საქართველოს ნაკრები იყო...

**- ეს შეფასება ვინ გააკეთა?**

- უეფას დელეგატებმა, ტურნირის ორგანიზატორებმა... სხვათა შორის, დანიისა და კვიპროსის გუნდების თავკაცებმაც. დასკვნით ტურში ჩეხებთან გვქონდა თამაში და მეტოქე გუნდის მწვრთნელმაც არ დაიშურა კომპლიმენტები ჩვენი გუნდის მიმართ... მოკლედ, ყველამ კი გვაქო და გვადიდა, მაგრამ რა ხეირი... სახეზეა შედეგი - ჯგუფიდან ვერ გავედით.

**- მოდით, თითოეულ მატჩზე ცალკე ვილაპარაკოთ. დავიწყოთ დანიით...**

- მატჩამდე დანიელებზე გარკვეული წარმოდგენა მქონდა. ბუნებრივია, სათანადოდ მოვემზადეთ და მეტოქე აშკარად დავჯაბნეთ. სწრაფი გოლებით დავწინაურდით. შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით უნდა გავსულიყავით, მაგრამ ტაიმის ბოლოს ჩვენმა მეკარემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, რასაც გოლი მოჰყვა. მაკარიძე ასეთ შეცდომებს არ უშვებს ხოლმე, მაგრამ... გამოსვლისას საჯარიმოს ხაზთან მაღალი ბურთი „მოხსნა", მაგრამ ხელში ვერ შეიმაგრა, დაუვარდა და იქვე მყოფმა მეტოქის ფორვარდმა ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. მეორე ტაიმში კიდევ შეგვეძლო გატანა, მაგრამ ვერ შევძელით. მატჩის მიწურულს მაკარიძე კიდევ ერთხელ შეცდა გამოსვლაზე, ბურთს ვერ მისწვდა და დანიელებმა კიდევ ერთხელ ისარგებლეს - კვლავ ცარიელ კარში გაგვიტანეს. არადა, ხომ გეუბნებით, მთელმა გუნდმა თავი გადადო, ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ფრეს დავჯერდით.

**- მასპინძელ კვიპროსთან უგოლო თამაშს რით ახსნით?**

- პირდაპირ გეტყვით, რომ მთელი მატჩის განმავლობაში კვიპროსელები ჩვენს საჯარიმოში არც კი შემოსულან. ერთი-ორჯერ შორიდან დაგვირტყეს, ეს იყო და ეს, საგოლე მომენტი არ ჰქონიათ. ჩვენ კი შვიდი რეალური შანსი გვქონდა, მაგრამ... ვერ გამოვიყენეთ და კვლავ ქულა ჩავიწერეთ აქტივში.

**- ჩეხეთთან გადამწყვეტ მატჩში არწაგების შემთხვევაშიც კი შეიძლებოდა ელიტრაუნდში გასვლა...**

- ჩეხების წინააღმდეგ პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, საგოლე შანსებიც გვქონდა... ძალზე ძლიერად ჩაატარეს მატჩში შეყილაძემ და ქანთარიამ... ამ უკანასკნელმა, ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე, თავადვე შეიქმნა სამი ბრწყინვალე მომენტი. ერთხელ, პირისპირ გავიდა ჩეხების მეკარესთან და მოატყუა კიდეც, მაგრამ ცარიელ კარს მცირედით ააცილა... სამწუხაროდ, მეორე ტაიმში დალლა დაგვეტყო, თუმცა აქვე დავძენ, რომ მეტოქეს ჩვენს კართან განსაკუთრებული ხიფათი არ შეუქმნია... 70-ე წუთზე ჩეხებმა გრძელი პასი გააკეთეს, მოგერიებული ბურთი მეტოქის მეგოლემ „მაკრატელათი" დაარტყა და გაგვიტანა. ამის შემდეგაც შეგვეძლო თამაშის შემოტრიალება, მაგრამ კვლავ ვერ გამოვიყენეთ მომენტები.

**- თქვენი საუბრიდან ისე ჩანს, თითქოს ელიტრაუნდში ვერგასვლის მიზეზი კონკრეტული მოთამაშეების მიერ დაშვებული შეცდომებია - მეკარე იქნება ეს, თუ ფორვარდი ან ფორვარდები, რომლებმაც უამრავი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს...**

- გუნდი კარგად იყო შეთამაშებული. სელექცია კარგად ჩავატარეთ და ამ ასაკში საუკეთესოები შევარჩიეთ. რაც შეეხება მიზეზს... ალბათ, ერთ-ერთი იყო მეკარის შეცდომები. პირველი მატჩი რომ მოგვეგო, ჩეხებთან დამარცხების შემთხვევაშიც გავდიოდით ელიტრაუნდში... თუმცა მხოლოდ მეკარეს ვერ დავადანაშაულებ, ეს არ იქნებოდა სწორი... უმთავრესი მიზეზი, მე ვფიქრობ, უამრავი საგოლე მომენტის განიავება იყო. საშუალოდ რომ ავიღოთ, თითოეულ მატჩში მინიმუმ ორ-სამ ასპროცენტიან შანსს ვერ ვიყენებდით. ეს იყო სწორედ ჩვენი „აქილევსის ქუსლი".

**- 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მეგოლემ ირაკლი შეყილაძემ კვიპროსამდე გამართული იტალიური შეკრების დროსაც გაიტანა გოლები, ოფიციალურ მატჩებში კი ერთი ბურთიც ვერ შეაგდო...**

- შეყილაძე კარგი ფორვარდი დადგება. მას დიდი პოტენციალი აქვს, მზარდი ფეხბურთელია, გაცილებით მეტი შეუძლია და თუ საკუთარ თავზე იმუშავებს, ბევრს მიაღწევს. გარწმუნებთ, მას შეუძლია მაღალ დონეზე თამაში. დიახ, მას ჰქონდა არაერთი საგოლე მომენტი, თანაც სამივე მატჩში, მაგრამ ვერ გამოიყენა. ხდება ხოლმე ასე - თავდამსხმელებსაც აქვთ წარუმატებელი, ასე ვთქვათ, „მშრალი" პერიოდი.

**- რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

- ფეხბურთი გუნდური თამაშია, გუნდი იგებს და გუნდი აგებს... თან ცალკე რომელიმე მოთამაშის გამოყოფა არ მჩვევია, შეყილაძეზე თქვენ მკითხეთ...

**- ახალგაზრდულ შეჯიბრებებს სელექციონერებიც ესწრებიან ხოლმე. ჩვენი ნაკრები თუ საუკეთესო იყო, მაშინ ზოგიერთი ფეხბურთელიც უნდა მოსწონებოდათ...**

- კი, ვიცი, რომ იყვნენ სელექციონერები, მაგრამ ჩემი საქმე მქონდა და მათთვის ყურადღება არ მიმიქცევია.

**- „მილანის" სელექციონერი გიორგი სალარიძეს უნდა დაჰკვირვებოდა...**

- რამდენადაც ვიცი, ისიც იყო ჩამოსული, მაგრამ რა გადაწყდა სალარიძეზე ან საერთოდ - გადაწყდა თუ არა რამე, ნამდვილად არ ვიცი.

**- თემურ ქეცბაია და სოსო ჭედია რამდენად დაგეხმარნენ?**

- ჩვენ ლარნაკაში ვიყავით დაბინავებულები. ქეცბაია და ჭედიაც ამ ქალაქში ცხოვრობენ და ყოველდღე ჩვენთან იყვნენ. მათ მეტოქეებზე, განსაკუთრებით კი კვიპროსის ნაკრებზე მოგვაწოდეს ინფორმაცია და ამით დიდად დაგვეხმარნენ... მათაც სინანულით აღნიშნეს, რომ ყველაზე კარგი გუნდი მართლაც საქართველოს ჰყავდა... რომ ელიტრაუნდში ჩვენი ვერმოხვედრა უსამართლობა იყო... მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნუგეშია, რეალურად კი გულდასაწყვეტი ამბავი მოხდა...

დავით ცაბაძე

## საქართველოს ჩემპიონატი

### აღმოსავლეთი ზონა

**სიონი 2-დილა 2:1**

1:0 უგრეხელიძე (14), 1:1 ბარამიძე (49), 2:1 [illegible]

[illegible]

**ამერი-ჩიხურა 1:0**

1:0 გვაძაბია (90)

[illegible]

**თბილისი-პერეთი 5:0**

[illegible]

**ნ. დინამო-ვიტ ჯორჯია 2 0:3**

[illegible]

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ადამაძე, კასრაძე, ვეკუა, ვასაძე, კვალინაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე, სვანაძე (62. ღვინიაშვლი), დვალაშვილი (46. გოგიაშვილი), იოსელიანი (72. ფურცელაძე)

სათადარიგოები: იაშვილი, ცხოვრებაძე, ღურბელეიშვილი

მთავარი მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილებები: მიქაბერიძე, ზაქრაძე

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

#### 1 დეკემბერი

გაგრა 2-დინამო 2 2:6

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 14 | 10 | 2 | 2 | 28-9 | 32 |
| 2. ამერი | 13 | 9 | 2 | 2 | 23-7 | 29 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 13 | 7 | 5 | 1 | 22-5 | 26 |
| 4. დინამო 2 | 12 | 7 | 3 | 2 | 21-10 | 24 |
| 5. დილა | 14 | 6 | 4 | 4 | 21-12 | 22 |
| 6. სიონი 2 | 13 | 5 | 3 | 5 | 21-34 | 18 |
| 7. თბილისი | 13 | 4 | 2 | 7 | 20-20 | 14 |
| 8. გაგრა 2 | 14 | 4 | 2 | 8 | 20-33 | 14 |
| 9. კახეთი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-25 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 14 | 1 | 5 | 8 | 15-27 | 8 |
| 11. პერეთი | 13 | 1 | 4 | 8 | 10-27 | 7 |

#### მომდევნო ტური

**3 დეკემბერი, ოთხშაბათი**

ვიტ ჯორჯია 2-თბილისი
დილა-კახეთი
ჩიხურა-გაგრა 2
დინამო 2-სიონი 2
პერეთი-ამერი

ნორჩი დინამო ისვენებს

### დასავლეთი ზონა

**ხობი-ზესტაფონი 2 4:2**

[illegible]

**ქიათურა-გორჯომი 0:1**

[illegible]

## პირველი ლიგა. XV ტური

მთავარი მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

ტორპედო: მიგინეიშვილი, დარსაძე, ბიბილაშვილი, ხარებავა, ჭანკვეტაძე, ბესარაშვილი, გურული, დანელია, კობერიძე (90. კოსტავა), ტიელი[illegible]

[illegible]

**სამტრედია-ბათუმი 1:1**

[illegible]

**გურია-მეშახტე 3:0**

[illegible]

გურია: მ. გოგუაძე, რ. კუკულაძე, ქურიძე, ჯორბენაძე, იმნაძე (60. კვერენჩხილაძე), შენირული (76. ჯაყელი), სულაბერიძე, კილაძე, მგელაძე, ურუშაძე (84. ლ. ციკოლია), ტ. კუკულაძე

სათადარიგოები: ხვედელიძე, ცინცაძე, ფირცხალაიშვილი, კეკელიძე

მთავარი მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

მეშახტე: გიორგაძე, დონაძე, მ. ბოჭორიშვი[illegible]

ლი, წერეთელი, ჯიშიაშვილი, ლომთაძე გ. ქობალია, ჭკუასელი, გვენეტაძე ბ. გვეტაძე (83. რ. კალანდაძე), ავალიშვილი

[illegible]

**ბაია-მერანი 2:2**

[illegible]

კირკიტაძე

სათადარიგოები: ენდელაძე, არდაშელია, შეროზია

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

გაფრთხილებები: ციცხვაია, ლ. ტორაძე წურწუმია, ვაშაკიძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 14 | 10 | 3 | 1 | 25-6 | 33 |
| 2. სამტრედია | 14 | 9 | 2 | 3 | 26-11 | 29 |
| 3. მარტვილი | 13 | 8 | 4 | 1 | 24-11 | 28 |
| 4. კოლხეთი | 13 | 7 | 2 | 4 | 17-10 | 23 |
| 5. ხობი | 14 | 6 | 3 | 5 | 16-20 | 21 |
| 6. ჭიათურა | 14 | 6 | 1 | 7 | 21-19 | 19 |
| 7. ტორპედო 2008 | 14 | 5 | 1 | 8 | 9-10 | 16 |
| 8. გურია | 13 | 4 | 3 | 6 | 18-22 | 15 |
| 9. ზესტაფონი 2 | 13 | 4 | 2 | 7 | 13-21 | 14 |
| 10. ბათუმი | 14 | 2 | 4 | 8 | 13-25 | 10 |
| 11. მეშახტე | 14 | 1 | 1 | 12 | 9-36 | 4 |

### მომდევნო ტური

**3 დეკემბერი, ოთხშაბათი**

ზესტაფონი2-ბაია
მარტვილი-სამტრედია
ბათუმი-ჭიათურა
ტორპედო2008-გურია
მეშახტე-კოლხეთი ფოთი

ხობი ისვენებს

## მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი. XIV ტური

#### 1 დეკემბერი

| | |
|---|---|
| არაგველები-სპარტაკი 2 | 0:2 |
| ალგეთი-IBSU | 0:2 |
| გარეჯი-ამერი 2 | 0:0 |

#### გადატანილი მატჩი

| | |
|---|---|
| დუშეთი-ლიახვი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დუშეთი | 14 | 10 | 1 | 3 | 31-12 | 31 |
| 2. ლოკომოტივი 2 | 13 | 8 | 3 | 2 | 29-14 | 27 |
| 3. სპარტაკი 2 | 14 | 9 | 2 | 3 | 35-20 | 29 |
| 4. ამერი 2 | 14 | 8 | 2 | 4 | 22-11 | 26 |
| 5. გარეჯი | 14 | 7 | 2 | 5 | 21-14 | 23 |
| 6. ბორჯომი 2 | 13 | 7 | 1 | 5 | 18-19 | 22 |
| 7. ერთობა | 13 | 6 | 2 | 5 | 20-20 | 20 |
| 8. სამგორი | 13 | 5 | 5 | 3 | 24-18 | 20 |
| 9. 35 ს.ს. | 13 | 5 | 4 | 4 | 19-21 | 19 |
| 10. პერეთი 2 | 13 | 6 | 1 | 6 | 29-22 | 19 |
| 11. I.B.S.U. | 14 | 6 | 1 | 7 | 26-28 | 19 |
| 12. არაგველები | 14 | 4 | 4 | 6 | 15-17 | 16 |
| 13. იმედი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-20 | 16 |
| 14. ლიახვი | 14 | 4 | 3 | 7 | 19-25 | 15 |
| 15. ალგეთი | 14 | 4 | 2 | 8 | 16-26 | 14 |
| 16. ზოოვეტი | 13 | 3 | 2 | 8 | 17-27 | 11 |
| 17. ალაზანი | 13 | 2 | 2 | 9 | 10-27 | 8 |
| 18. ნ. დინამო 2 | 13 | 1 | 3 | 9 | 8-33 | 6 |

## ჭაბუკთა ლიგა

### 1991-92 წწ. XIII ტური

#### 1 დეკემბერი

| | |
|---|---|
| მგლები-ბორჯომი | 3:1 |
| დინამო-სპარტაკი | 2:0 |
| სიონი-ზესტაფონი | 2:0 |
| ოლიმპი-მესხეთი | 8:2 |
| ვიტ ჯორჯია-გაგრა | 2:1 |
| ლოკომოტივი-U16. ნაკრები | 0:7 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 10 | 1 | 2 | 42-13 | 31 |
| 2. გაგრა | 13 | 9 | 0 | 4 | 42-24 | 27 |
| 3. მგლები | 13 | 8 | 2 | 3 | 33-20 | 26 |
| 4. ზესტაფონი | 13 | 8 | 0 | 5 | 35-17 | 24 |
| 5. ნაკრები U16 | 13 | 7 | 1 | 5 | 43-25 | 22 |
| 6. ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 1 | 5 | 19-14 | 22 |
| 7. სპარტაკი | 13 | 6 | 4 | 3 | 27-15 | 22 |
| 8. ოლიმპი | 13 | 4 | 3 | 6 | 35-32 | 15 |
| 9. ლოკომოტივი | 13 | 4 | 1 | 8 | 16-26 | 13 |
| 10. ბორჯომი | 13 | 3 | 3 | 6 | 16-33 | 12 |
| 11. სიონი | 13 | 3 | 1 | 9 | 13-38 | 10 |
| 12. მესხეთი | 13 | 0 | 1 | 12 | 10-66 | 1 |

### 1993-94 წწ. XIII ტური

#### 29 ნოემბერი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-დინამო | 0:2 |
| ზესტაფონი-სიონი | 1:0 |
| ოლიმპი-მესხეთი | 5:0 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 2:5 |
| ლოკომოტივი-ამერი | 0:1 |

#### 30 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-მგლები | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 1 | 0 | 47-1 | 37 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 2 | 2 | 26-13 | 29 |
| 3. ამერი | 13 | 9 | 1 | 3 | 32-13 | 28 |
| 4. ზესტაფონი | 13 | 7 | 2 | 4 | 12-9 | 23 |
| 5. სპარტაკი | 13 | 6 | 2 | 5 | 17-20 | 20 |
| 6. მგლები | 13 | 5 | 3 | 5 | 31-20 | 18 |
| 7. ლოკომოტივი | 13 | 5 | 3 | 5 | 25-13 | 18 |
| 8. ოლიმპი | 13 | 4 | 3 | 6 | 18-20 | 15 |
| 9. გაგრა | 13 | 3 | 4 | 6 | 16-22 | 13 |
| 10. ბორჯომი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-27 | 11 |
| 11. მესხეთი | 13 | 1 | 2 | 10 | 4-53 | 5 |
| 12. სიონი | 13 | 0 | 2 | 11 | 5-31 | 2 |

### 1995-96 წწ. XII ტური

#### 29 ნოემბერი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-დინამო | 1:1 |
| ზესტაფონი-სიონი | 3:1 |
| ოლიმპი-მესხეთი | 5:1 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| ლოკომოტივი-ამერი | 5:0 |

#### 30 ნოემბერი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-მგლები | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 13 | 11 | 0 | 2 | 42-6 | 33 |
| 2. გაგრა | 13 | 9 | 1 | 3 | 32-8 | 28 |
| 3. ზესტაფონი | 13 | 7 | 2 | 4 | 27-19 | 23 |
| 4. მგლები | 13 | 7 | 2 | 4 | 24-14 | 23 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 2 | 4 | 18-17 | 23 |
| 6. ოლიმპი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-14 | 21 |
| 7. დინამო | 13 | 5 | 6 | 2 | 11-11 | 21 |
| 8. ამერი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-17 | 18 |
| 9. ბორჯომი | 13 | 5 | 1 | 7 | 13-14 | 16 |
| 10. სიონი | 13 | 2 | 2 | 9 | 13-30 | 8 |
| 11. სპარტაკი | 13 | 0 | 4 | 9 | 5-28 | 4 |
| 12. მესხეთი | 13 | 0 | 2 | 14 | 4-40 | 2 |



ლეგენდა

# ფერგიმ გადაიფიქრა

## მხოლოდ მაშინ, როცა ვარჯიშის ჩატარება აღარ მომინდება...

**სერ ალექს ფერგიუსონმა** ფეხბურთში 50 წლის იუბილეს აღნიშვნისას "ტაიმსს" ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა, რაც ასაკში შევდივარ, თანამდებობის დატოვების შიში სულ უფრო მიპყრობსო... ლეგენდარულმა სპეციალისტმა განაცხადა, კიდევ ერთი სეზონიც და მერე პენსიაში გავალო. ამ დღეებში კი მან საპირისპიროსთვის მზადყოფნა დაადასტურა: შესაძლოა, ფერგიუსონი "იუნაიტედში" კიდევ ათი წელიწადი დარჩეს. გთავაზობთ ფერგის მეტად საინტერესო განცხადებას: *"გამუდმებით რატომ უნდა ვიფიქრო იმაზე, თუ როდის წავალ "მანჩესტერ იუნაიტედიდან"? ამით დიდი ხანია ტვინი აღარ გადამიღლია. შეიძლება ითქვას, იდეა ჩემში უკვალოდ გაქრა. არ ვაპირებ საკუთარ თავს ვაიძულო, რომ აღნიშნულზე ხელახლა დაფიქრდეს. თუკი ჯანმრთელობა მიღალატებს, პრობლემას მხოლოდ ეს შემიქმნის. მხოლოდ მაშინ თუ მომიშორებთ ერთხელ და სამუდამოდ... მეორე საქმეა ჩემი გუნდი. თუკი ის კარგად ასპარეზობს, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და სულაც არ მინდა ზაფხულის ერთ დილას ვუთხრა საკუთარ თავს: "ალექს, მგონი საკმარისია!". მშვენივრად მახსოვს, როგორ მოიქცა ბილ მაკნეილი. სეზონის ბოლოს გამოაცხადა, მივდივარ, რადგან ძალზე დაღლილი ვარო, აგვისტოში კი უკვე მიხვდა, რომ საქმე ენატრებოდა და გული ეტკინა საკუთარი გადაწყვეტილების გამო. არ ვიცი, როდის, მაგრამ დადგება დღე, როდესაც დავბრუნდები ზაფხულის შვებულებიდან, ჩავატარებ პირველ ვარჯიშს და მივხვდები, რომ შემდეგის ჩატარება უკვე აღარ მენდომება... წასვლის დროც მხოლოდ მაშინ თუ დადგება. იქამდე, ვიდრე ეს დღე მოვა, საქმეს სიამოვნებით გავაკეთებ, იმიტომ, რომ რასაც ვაკეთებ, ძალიან მიყვარს".*

ჩელსი

# სკოლარი ბოდიშს ელის

## დროგბა არსადაც არ წავა

"ჩელსის" თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** "არსენალთან" დამარცხების შემდეგ პირველად თავის ინგლისურ კარიერაში ალაპარაკდა ფეხბურთში არსებულ ისეთ პრობლემაზე, რისი გადაწყვეტაც ერთი ხელის მოსმით შეიძლება, მაგრამ ფიფას მამების ვირული სიჯიუტის გამო ისევ გადაულახავ ბარიერად რჩება. ლაპარაკია ვიდეორეფერის საშუალებით ელემენტარული სამსაჯო შეცდომების აღმოფხვრაზე. *"პრემიერლიგაში უკვე თხუთმეტი შეხვედრა გავმართეთ, ხუთი თამაში ჩავატარეთ ჩემპიონთა ლიგაში, ვიასპარეზეთ ინგლისის ლიგის თასისა და ინგლისის თასის შეხვედრებშიც... მთელი ამ დროის განმავლობაში ერთი სიტყვითაც არ შევხებივარ მსაჯობის თემას. ახლა კი სხვაგვარ ხასიათზე ვარ. მხოლოდ ერთი რამე მინდა: დღეს, ხვალ თუ ზეგ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, "ჩელსი"-"არსენალის" არბიტრებმა ჩართონ ტელევიზორი, ნახონ თამაში და დააკვირდნენ ვან პერსის პირველი გოლის ეპიზოდს, კარგად დაფიქრდნენ და ისე მიპასუხონ, იყო თუ არა გოლი გასაუქმებელი?! კარგად გამიგეთ, მე არ ვითხოვ სამ ქულას, მხოლოდ ბოდიშის მოსმენა მსურს. მათ დაუშვეს შეცდომა, რისი ფასიც ჩვენ უნდა გადავიხადოთ"*. შეხვედრას 40 წლის არბიტრი **მაიკ დინი** მსაჯობდა.

საინტერესოა, რომ "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ჰალ სიტის" შეხვედრის შემდეგ ბატონ მაიკს არაკვალიფიციურობაში ადანაშაულებდა სერ **ალექს ფერგიუსონიც**, რისი წყალობითაც "ეშმაკების" დამრიგებელმა ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა.

"არისტოკრატთა" აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** არ გამორიცხა, რომ "დიდი ფილი" იანვარში სატრანსფერო ფანჯრის გახსნისას ერთ ან ორ ფეხბურთელს იჯარით აიყვანს. ბატონმა პიტერმა კატეგორიულად გამორიცხა იმის შანსი, რომ კლუბმა **დიდიე დროგბას** იანვარში გუნდის დატოვების უფლება მისცეს. გეხსომებათ, რომ ამისი ეჭვი პრესას ლონდონის პრესტიჟულ სასტუმრო "სანდერსონში" კოტდივუარელი ვარსკვლავისა და "ინტერის" სპორტული დირექტორის **მარკო ბრანკას** შეხვედრის (რომელიც მართლა შედგა თუ არა, არავინ იცის) შემდეგ გაჩნდა. *"დიდიეს ჩვენთან ხელშეკრულება კიდევ 18 თვით აკავშირებს და ის ლონდონიდან ფეხს ვერსად გადგამს, თუკი ჩვენი ნება არ იქნება. პრესის მიერ გავრცელებული ხმები ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს. არ ვიცი, ვინ ვის სად შეხვდა, მაგრამ ვისურვებ, რომ ეს თემა ამიერიდან აღარ იყოს აქტუალური. დროგბას თუნდაც იმიტომ არ გავუშვებთ, რომ ის დიდი ფეხბურთელია და გუნდისთვის ძალზე ბევრს ნიშნავს. გიმეორებთ, იანვარში ის არსადაც არ წავა"*.



პიტერ კენიონი

რახან ლაპარაკი "ჩელსიზე" გვაქვს, აქვე გეტყვით, რომ ლონდონელთა დუბლების 19 წლის ებრაელი მოთამაშე **ბენ საარი** ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ ჯარში გამოიძახა. ამჟამად თავდამსხმელი იჯარის წესით "პორტსმუთში" თამაშობს. ბენს, როგორც წარმატებულ სპორტსმენს, მართალია ჯარში გამოცხადება მოუწევს, მაგრამ მალევე მიეცემა ინგლისში დაბრუნების საშუალება. საჯარისო დისლოკაციის ადგილას ფეხბურთელს მხოლოდ ომის დაწყების შემთხვევაში თუ გამოიძახებენ.

პრობლემა

# პლატინი: ბავშვებით ვაჭრობა აიკრძალება

## ევროკავშირის კანონები თუ ფიფა-უეფა?




**რამდენიმე** დღის წინ ფრანგულ ქალაქ ბიარიცში უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ამ ორგანიზაციის ევროკავშირელი წევრების მაღალჩინოსნებს შეხვდა. მან უამრავ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა, მათ შორის ისეთებზეც, რომლებიც წმინდა სპორტულ ჩარჩოებს სცდება. მისი განცხადებით, აუცილებელია, ევროკავშირის კანონმდებლობაში დაფიქსირდეს ფეხბურთის, როგორც განსაკუთრებული სტატუსის მქონე სოციალური ინსტიტუტის ცნება, რადგან ფეხბურთი არ არის მხოლოდ ბიზნესი, ის ბევრად უფრო ღრმა მოვლენაა. შესაბამისად, განვითარებისთვის განსაკუთრებული პირობები სჭირდება. *"ჩვენ არ ვცდილობთ სპორტის კანონზე მაღლა დაყენებას*, - განუცხადა პლატინიმ მინისტრებს, - *მაგრამ მას თავისი სპეციფიკა გააჩნია. არ შეიძლება ფეხბურთისა და ეკონომიკური საქმიანობის სხვა მოდელების ერთ სიბრტყეში განხილვა. სპორტი, ეს გუნდური სამუშაოა, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა, გამოცდილების გაზიარება, ურთიერთპატივისცემა, ემოცია. ფეხბურთი - ეს თამაშია და არა უბრალოდ პროდუქტი ან ბაზარი. პირველ რიგში, ის სანახაობაა და არა ბიზნესი. როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, გთხოვთ, დაარწმუნოთ ევროკომისია, რომ კანონმდებლობაში ცვლილებათა პროექტი მოამზადოს, რათა მოვახერხოთ სამართლის ჩარჩოში დარჩენა, თანაც ისე, რომ საკუთარი სახე არ დავკარგოთ. წინსვლისთვის აუცილებელია გამჭვირვალე საკანონმდებლო ბაზა"*. ცნობილია, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასა და ფიფა-უეფას წესებს შორის სერიოზული კონფლიქტია, რაც, თავისთავად, უახლოეს ხანებში უნდა მოგვარდეს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ჩანაწერი ფიფას წესებში, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელს კლუბთან დავის შემთხვევაში სამოქალაქო სასამართლოში წასვლა ეკრძალება. საინტერესო იქნება, თუკი ამ წესს განვიხილავთ ფრანგული საკონსტიტუციო სამართლის მაგალითზე. ამ ქვეყნის უმაღლეს კანონში შავით თეთრზე წერია, რომ ძირითადი სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაუშვებელია და თუკი პარლამენტი ასეთ ნაბიჯზე მაინც წავიდა და რომელიმე ეს უფლება (მათ შორის სამართლიანი სასამართლოს უფლება) გააუქმა, კონსტიტუციაც ავტომატურ რეჟიმში გაუქმებულად ითვლება.

გარდა სამართლებრივი ნოვაციებისა, მიშელ პლატინიმ იმედი გამოთქვა, რომ მოახერხებს და უახლოეს პერიოდში არასრულწლოვანი ფეხბურთელებით ვაჭრობას აკრძალავს. *"მსოფლიოში დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელებითა თუ პატარა ბავშვებით ვაჭრობაა გაჩაღებული. დიახ, ამას ვაჭრობა ჰქვია და სხვა არაფერი. სულაც არ ვფიქრობ, რომ უფრო რბილი ფრაზის გამოყენება იყო მართებული. აბა, რა უნდა დაერქვას სიტუაციას, როდესაც 12-13 წლის ბიჭებს მშობლიურ გარემოს წყვეტენ, რათა მათგან ფეხბურთელები გამოადნონ და ამით წლების შემდეგ ფინანსურად იხეირონ. აი, სრული სიმართლე იმისა, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება. ამას წერტილი უნდა დაესვას"*.

**შალვა ბიბილაშვილი**

ტრანსფეროთეკა

# ჰუნტელაარი ხუთი წლით

სამეფო კლუბი სასონარკვეთილებას ებრძვის. „ხეტაფესთან" წაგების შემდეგ **ბერნდ შუსტერის** აქციები კიდევ უფრო გაიაფდა, მაგრამ ახლა გერმანელი სპეციალისტის ბედ-იღბალი არავის აინტერესებს. ყველამ იცის, რომ შუსტერი არცთუ შორეულ მომავალში მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დატოვებს. ახლა მთავარია, „რეალის" ხელმძღვანელობამ დანაპირები შეასრულოს და შემადგენლობის გაძლიერების მიზნით ფეხბურთელები დაიმატოს. როგორც იცით, **რამონ კალდერონმა** მისი და დირექტორატის გეგმა გაახმოვანა. პრეზიდენტის თქმით, მადრიდული გრანდი მომავალი წლის ზაფხულში მსოფლიო დონის ორ ვარსკვლავს შეიძენს. მანამდე კი იანვარში ორ ახალგაზრდა ნიჭიერ მოთამაშეს გადაიბირებს. გუშინ გაირკვა, რომ ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშე **კლაას იან ჰუნტელაარია**. ესპანური გაზეთების მტკიცებით, სამეფო კლუბის ხელმძღვანელებმა „აიაქსის" მესვეურებთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწიეს და ფეხბურთელი ხუთი წლის ვადით გადაიბირეს. კალდერონი დარწმუნებულია, რომ ჰუნტელაარი მის ტრავმირებულ თანამემამულე **რუუდ ვან ნისტელროის** ღირსეულად შეცვლის.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანური გრანდის წარმომადგენლებს ჰოლანდიელ ფორვარდთან გაფორმებული კონტრაქტის ასლიც კი არავისთვის უნახებიათ, „დიარიო ასი" ინკოგნიტო ინფორმატორზე დაყრდნობით სრული სერიოზულობით გვაუწყებს, რომ ჰუნტელაართან ყველა დეტალი გარკვეულია და მის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგებას ეშმაკიც ვერ შეუშლის ხელს. კურიოზულია, მაგრამ სენიორ კალდერონი მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე ჭკუას ვერა და ვერ სწავლობს. მოგეხსენებათ, მან **არიენ რობენი** მოუშუშებელი ტრავმით შეიძინა. ახლა ირკვევა, რომ ჰუნტელაარსაც ტრავმა აქვს და ფეხის მოსარჩენად სულ მცირე 5 კვირა სჭირდება. არადა, ამ ახალგაზრდა კაცმა წესით ვან ნისტელროი უნდა შეცვალოს. გასაგებია, რომ რუუდის გამოჯანმრთელებას ბევრად მეტი დრო სჭირდება, მაგრამ ფაქტია, რომ კალდერონს ტრავმამოუშუშებელი ჰოლანდიელების შეძენა ძალიან ცუდად აქვს დაცდილი.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ესპანიოლი

# მარკესი მანეემ შეცვალა

## კატალონიელებმა ყოფილ მწვრთნელს ზედიზედ ოთხი წაგება არ აპატიეს

„ესპანიოლის" ხელმძღვანელობას კლუბის პერმანენტული წარუმატებლობები ყელში ამოუვიდა და რადიკალურ გადაწყვეტილებამდე მივიდა. წუხელ კატალონიური გრანდის დირექტორთა საბჭო შეიკრიბა და მთავარ მწვრთნელს **ბართოლომეო მარკესს** უსიამოვნო ვერდიქტი გამოუტანა. გამოცდილი სპეციალისტი თანამდებობიდან ვადამდე დაითხოვეს. დირექტორებს მოთმინების ფიალა ზედიზედ ოთხმა წაგებულმა თამაშმა აუვსო.

შეიძლება ითქვას, რომ სენიორ მარკესის გადაყენება მოულოდნელი გადაწყვეტილება არ ყოფილა. კლუბის ხელისუფლება მოვლენათა ამგვარი განვითარებისთვის წესით მზად უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ბატონი ბართოლომეოს გაშვებაზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. ყოველ შემთხვევაში, მისი გადაყენება და „ესპანიოლის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ხოსე მანუელ ესნალის** დანიშვნა ერთი იყო. ამით მტკიცდება, რომ კატალონიელები მანესთან წინასწარ აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. სენიორ ესნალი შეთავაზებას დათანხმდა და „ესპანიოლს" სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი კრიზისს დაძლევს და სეზონის ბოლოს თავმოყვარე ფეხბურთს ითამაშებს ხოსე მანუელ ესნალს კონტრაქტს ორი წლით გაუხანგრძლივებენ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

იტალია. სერია A

# სტაბილურობის ძალა



„გაძეტა დელო სპორტი“ სერია A-ს 20 გუნდს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით აფასებს და თან მოკლე ანოტაციებსაც ურთავს. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს აპენინელ ჟურნალისტთა შეფასებები, როგორც განვლილი ტურის, ისე მთლიანად ჩემპიონატის მასშტაბით...

## ინტერი (7.5 ბოლო ტური, 8.0 ჯამური შეფასება)

„ინტერის“ ძალა სტაბილურობაშია. „ნერაძური“ თანაბრად ძლიერია სეზონის ნებისმიერ მონაკვეთში, შინ თუ გარეთ და ეს წარმატების მთავარი საწინდარია. ბოლო ტურში **მოურინიოს** გუნდმა „ნაპოლი“ დაამარცხა და მდევრებს მთელი ექვსი ქულით გაუსწრო. ამ გადმოსახედიდან „ინტერი“ ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად მოჩანს.

## იუვენტუსი (8.0, 7.5)

ტურინელები მთლიანობაში ძალიან კარგ სეზონს ატარებენ. „იუვეს“ სეზონის სტარტზე ჩავარდნა ჰქონდა, თუმცა კრიზისს თავი დროულად დააღწია და სკუდეტოს მოპოვების რეალურ პრეტენდენტად ითვლება. „ინტერთან“ მარცხმა „ბებერი ქალბატონი“ ვერ გატეხა, რაც „რეჯინასთან“ თამაშმა დაადასტურა. **დელ პიეროს** 250-ე გოლი და მორიგი სამი ქულაა „იუვენტუსის“ აქტივში.

## მილანი (3.0, 6.0)

„მილანის“ მთავარი პრობლემა კვლავაც გასვლითი შეხვედრებია. სერია A-ს საშუალო გუნდებთან „როსონერი“ ხშირად კარგავს დაუგეგმავ ქულებს, რაც გახლავთ კიდეც უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ „მილანს“ იტალიის ჩემპიონატი კარგა ხანია, არ მოუგია. არადა, ანჩელოტის გუნდისგან წელს ცოტა მეტს მოველით, „შავ-წითლები“ ჩემპიონთა ლიგაში არ ასპარეზობენ და მთელი ძალები ეროვნული პირველობისკენ აქვთ გადასროლილი.

## ნაპოლი (6.0, 7.0)

მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლიმ“ ბოლო დროს საგრძნობლად უკლო, შეფასება მაინც მაღალი ეკუთვნის. სამხრეთელები ჯერჯერობით ცხრილში მეოთხე პოზიციაზე არიან, რასაც დაგვეთანხმებით, სეზონის წინ ვერავინ წარმოიდგენდა. სხვათა შორის, უკანასკნელ ტურში **ედი რეიას** გუნდმა არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა, „ინტერს“ მედგრად დაუდგა, მაგრამ ფორტუნამ უმუხთლა და ხელმოცარული დარჩა. შეგახსენებთ, რომ ნეაპოლელები სტუმრად 2:1-ზე დამარცხდნენ.

## ლაციო (4.5, 7.0)

გასულ უიქენდზე „ლაციო“ „ატალანტას“ ესტუმრა და უშანსოდ დამარცხდა, 0:2. „ბიანკოჩელესტე“ არასტაბილურია და შედეგებიც შესაბამისი აქვს. თუმცა უნდა დაგვეთანხმოთ, რომ „ლაციოსგან“ სეზონის წინ ამასაც არავინ ელოდა. დელიო როსის გუნდი ერთი ხანობა სათავეშიც კი ედგა სატურნირო ცხრილს, დღეს კი საპატიო მეხუთე ადგილი უკავია. მომავალ ტურში „ბიანკოჩელესტე“ „ინტერს“ მასპინძლობს და იქნებ გააუმჯობესოს კიდეც ჯამური შეფასება, 7 ბალი.

## ფიორენტინა (6.5, 6.0)

„ვიოლა“ ბოლო ტურში „რომასთან“ დამარცხდა, თუმცა საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა და ქულის აღებაც შეეძლო. სხვა საქმეა, რომ „რომა“ იყო ზედმეტად კარგი და გამარჯვება ნამდვილად დაიმსახურა. **ჩეზარე პრანდელის** კი წინ დიდი სამუშაო ელის, გუნდმა თამაშის ხარისხი კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. დაგვეთანხმებით, ოთხეულში მოსახვედრად დღეს „ფიორე“ საკმარისად ძლიერი არ არის.

## ჯენოა (6.0, 6.5)

მიმდინარე სეზონში „ჯენოას“ მთავარი პლუსი საშინაო კედლებია. თავად განსაჯეთ, გენუელებს საკუთარ მოედანზე 7 თამაშიდან 6 მოგება და მხოლოდ ერთი ფრე აქვთ. ეს ერთადერთი ფრე კი „ჯენოამ“ გასულ ტურში ითამაშა. მასპინძლებმა ქულები „ბოლონიას“ გაუყვეს, რომელსაც **სინიშა მიხაილოვიჩი** ხელმძღვანელობს. მთლიანობაში ჯენოელები საკმაოდ ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რაშიც ლომის წილი გუნდის მთავარ დამრტყმელ ძალას, **დიეგო მილიტოს** მიუძღვის. გენუელებს ევროსაგზურის მოპოვება ნამდვილად ძალუძთ.

## კატანია (6.5, 7.0)

ბოლო ტურში „კატანიამ“ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და ქულები „ლეჩესთან“ გაიყო. მიუხედავად ამისა, ტიფოზებმა გუნდი ტაშით დააჯილდოეს. სიცილიელებს ერთობ მოკრძალებული შემადგენლობა ჰყავთ და ამ ფონზე, ცხრილში მერვე ადგილი და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოგროვებული 22 ქულა, ძალიან კარგი შედეგია. კატანიელები 7 ბალს ნამდვილად იმსახურებენ.

## უდინეზე (4.0, 6.5)

უდინელებმა ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე ამაზრზენად ითამაშეს და ერთ-ერთ აუტსაიდერ „კიევოს“ სამი ქულა გაატანეს. მიუხედავად ამისა, სასეზონო შეფასება საკმაოდ ნორმალურია, 6.5 ბალი. ბუნებრივია, ფრიულელებს ერთი ხელის მოსმით ვერ დავუკარგავთ წარმატებული თამაშების მთელ ციკლს, რომელიც გუნდმა სეზონის სტარტზე გვაჩვენა. ბევრს ისიც ემახსოვრება, რომ გუნდის თავკაცი **პასკუალე მარინო** ამ ჩავარდნას ვარაუდობდა და მიზეზად მოკლე სათადარიგო სკამს ასახელებდა.

## ატალანტა (7.5, 7.0)

ბერგამოელებს სეზონის წინ ბევრი გავარდნას უწინასწარმეტყველებდა. შემადგენლობით „ატალანტა“ ნამდვილად ვერ დაიკვეხნის და ამ ფონზე, შედეგი, მეათე ადგილი და 20 ქულა ძალიან კარგი შედეგია. „ჯენოას“ მსგავსად, „ნერაძური“ განსაკუთრებულად კარგად საკუთარ მოედანზე თამაშობს: 7 თამაში, 5 გამარჯვება, 1 ფრე და მხოლოდ 1 მარცხი.

## პალერმო (9.0, 6.5)

ამ უიქენდზე „პალერმომ“ ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამაში გასაკვირი არაფერია, **დავიდე ბალარდინის** გუნდმა „მილანი“ დაამარცხა და თანაც დამაჯერებლად, 3:1. სიცილიელებმა სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშეს და ტიფოზები აღფრთოვანებაში მოიყვანეს. სეზონის წინ „პალერმო“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და ის, რომ გუნდი არცთუ სტაბილურია, ლოგიკურ მოვლენად გვეჩვენება. გუნდს აქვს პოტენციალი, ეს „იუვენტუსის“ და „მილანის“ დამარცხებამ აშკარად დაგვანახვა - მთავარია, გუნდი ნებისმიერ მეტოქესთან ასეთი შემართული იყოს.

## სიენა (7.0, 6.5)

მოკრძალებული ბიუჯეტის მქონე „სიენა“ მაღალი მიზნებისთვის ვერ იბრძვის, თუმცა ნებისმიერი გუნდისთვის კერკეტი მეტოქეა და ქულებს იოლად არ თმობს. ბოლო ტურში ტოსკანელებმა „ტორინო“ დაამარცხეს და ცხრილში საპატიო მეთორმეტე ადგილზე დამკვიდრნენ. რისთვის უნდა იბრძოლოს „სიენამ“ მიმდინარე სეზონში? - ათეულში მოსახვედრად, ვფიქრობთ, ეს გუნდის მაქსიმუმია.

## კალიარი (7.0, 7.0)

ნებისმიერი ექსპერტისთვის რომ გეკითხათ, თუ ვინ დატოვებდა სერია A-ს მიმდინარე სეზონის ბოლოს, პასუხი იქნებოდა „კალიარი“. სარდინიულ კლუბს ძალიან პატარა ბიუჯეტი და შესაბამისი შემადგენლობა ჰყავს. ამ ფონზე მე-13 პოზიცია ძალიან კარგია და 7 ბალიც სრულიად დამსახურებული. აქედანვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „კალიარი“ სერია A-ში დარჩება.

## რომა (8.5, 4.5)

უკანასკნელ ტურში დედაქალაქელებმა დიდებულად ითამაშეს და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს. თუმცა ჯამური შეფასება მაინც ძალიან დაბალია, რასაც ობიექტური მიზეზები აქვს. „ჯალოროსიმ“ მხოლოდ ახლა გაიღვიძა და ეს სატურნირო ცხრილსაც ეტყობა. მე-14 ადგილი ძალიან ცუდი შედეგია და ვშიშობთ, **სპალეტიმ** და კომპანიამ დაკარგული ველარც აინაზღაურონ.

## სამპდორია (5.0, 4.5)

„სამპდორიისგან“ მეტს ელოდნენ ექსპერტებიც, ჟურნალისტებიც და გულშემატკივრებიც. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ შემადგენლობის გასაძლიერებლად არაფერი იღონა. მხოლოდ **ანტონიო კასანო** გაზაფხულს ვერ მოიყვანს და ეს გენუელებს უნდა ესმოდეთ. რისთვის იბრძოლებს „სამპდორია“? - სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად.

## ლეჩე (6.0, 6.0)

„ლეჩესგან“ არც მეტს ველოდით და არც ნაკლებს. **მარიო ბერეტას** ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს, თუმცა მაღალი კლასის შემსრულებელთა სიმწირე თავისას შვრება და „ლეჩესაც“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად უწევს ბრძოლა.

## ტორინო (4.0, 5.0)

„გრანატა“ წარუმატებელ სეზონს ატარებს და თუ ასე გაგრძელდა, დიდია შანსი, გუნდი სერია A-ს გამოეთხოვოს. კლუბის მესვეურებმა შემადგენლობის გაძლიერებაზე უნდა იზრუნონ და ამის შესაძლებლობა ზამთრის სატრანსფერო ბაზრისას მიეცემათ. ჯერჯერობით, გუნდის მრავალრიცხოვან ტიფოზებს სანუგეშოს ვერაფერს ვეტყვით, ბოლო ტურში „ტორო“ კვლავ დამარცხდა.

## რეჯინა (4.5, 4.0)

კალაბრიელებს ყოველთვის ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავდათ და ძნელი სათქმელია, რა სჭირს „რეჯინას“ მიმდინარე სეზონში. ეს გუნდი მაშინაც კი დარჩა უმაღლეს ლიგაში, როდესაც რვა ქულა დააკლეს და უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენეს. ახლა კი დიდი შანსია გუნდი სერია B-ში დაქვეითდეს, რაც დღევანდელი გადასახედიდან სრულიად დამსახურებულიც იქნება.

## ბოლონია (6.0, 3.5)

„ბოლონიამ“ სეზონი „სან სიროზე“ მოპოვებული სენსაციური გამარჯვებით დაიწყო. გახსოვთ ალბათ, „როსობლუმ“ „მილანი“ დაამარცხა და მთელი იტალია აალაპარაკა. მას შემდეგ კი გუნდი ღრმა კრიზისში ჩავარდა და ჯერაც ცდილობს იქიდან გამოსვლას. უჭირს ახალ მწვრთნელსაც, **მიხაილოვიჩმა** გუნდი ლიგიდან გავარდნას უნდა გადაარჩინოს, თუმცა ვეჭვობთ, რომ მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება.

## კიევო (7.0, 3.5)

ვერონელებმა განვლილ ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს, რითაც ტიფოზებს მომავლის იმედი ჩაუსახეს. ისე კი, „კიევო“ მიმდინარე სეზონში ძალიან სუსტად გამოიყურება, რაც ცხრილში გუნდის პოზიციიდანაც ნათლად ჩანს. ვერონელები ყველა რგოლში მოიკოჭლებენ და თუ უმაღლესში ადგილის შენარჩუნება სურთ, საქმეს უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი.

**ლაშა ნიკლაური**

## პაინცე და ოუენი ენფილდზე

გამოცემა “ფიფლის” ცნობით, “ლივერპულს” სეზონის დასრულების შემდეგ, ივნისში, “რეალის” არგენტინელი უნივერსალი მცველის **გაბრიელ ჰაინცეს** გადაბირება სურს. შეგახსენებთ, რომ თავად მოთამაშეს “ენფილდზე” ასპარეზობის სურვილი 2007 წლის ზაფხულშიც ჰქონდა, მაგრამ **ალექს ფერგიუსონმა** ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მას არ სურდა კონკურენტის გაძლიერება, ამიტომ არგენტინელი მადრიდელებს დაუთმო.

გაგაცნობთ მეორე საინტერესო ინფორმაციასაც: “ნიუს ოფ ზე ვორლდის” ცნობით, მერსისაიდელებს კლუბის ცოცხალი ლეგენდის **მაიკლ ოუენის** გადაბირება სურთ. მაიკლს “ენფილდზე” 8 წელიწადი აქვს გატარებული და გატანილი აქვს 120-მდე გოლი. მან “ბითლზის” ქალაქი 2004 წელს დატოვა და ერთი სეზონით “რეალს” მიაშურა, სადაც კარიერა არ აეწყო და მეორე წელსვე სამშობლოში დაბრუნდა, ამჯერად ნიუკასლში. “კაჭკაჭების” რიგებში ჩარიცხვის შემდეგ მას ქრონიკულმა ტრავმებმა დარია ხელი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, “ოქროს ბიჭუნას” “ენფილდი როუდი” ფეხზე წამომდგარი შეეგებება.

## არსენალისა და კალუს რომანი?

უკვე რამდენჯერმე გაცნობეთ, რომ **არსენ ვენგერს** შეტევის ხაზის გაძლიერება სურს. პრესის მტკიცებით, ლაპარაკია მხოლოდ უმაღლესი კალიბრის ფეხბურთელის შეძენაზე, ისეთებზე როგორიც “ბაიერნის” 23 წლის თავდამსხმელი **ლუკას პოდოლსკია**. კლუბი ფეხბურთელს 15 მილიონად აფასებს, მაგრამ ტრანსფერი, როგორც მინიმუმ ივნისამდე, **იურგენ კლინსმანმა** დაბლოკა. მისი განცხადებით, გუნდს პოლდი სჭირდება. ივნისში ეს შეძენა რეალური იქნება. რაკი ეს ამბავი ჩაიშალა, **ვენგერმა “ჩელსიდან” სალომონ კალუს** შეძენა მოისურვა. კოტდივუარელი ჯერ კიდევ სექტემბერში აცხადებდა, რომ რეგულარული სათამაშო პრაქტიკის გარეშე ის გუნდს დატოვებდა. იმ პირობებშიც კი, როცა **დიდიე დროგბას** ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო უამრავი თამაში გაუცდა, სალომონი ძირითადში სულ ექვსჯერ მოხვდა. წარმოიდგინეთ, რამდენად შესუსტდება კალუს პოზიციები დროგბას ფორმაში ჩადგომის შემდეგ. ზემოხსენებული პირობების გათვალისწინებით, სალომონის მიერ “სტემფორდ ბრიჯის” დატოვება სავსებით რეალური ხდება. რამდენად განხორციელდება იანვარში? ცოტა საეჭვოა კი არის, მაგრამ...

## კავენაგი მამლებში

“ბორდოს” არგენტინელმა ვარსკვლავმა **ფერნანდო კავენაგიმ** სათამაშოდ ინგლისში გადაბარგების სურვილი გამოთქვა. ის “მამლების” წინადადებას ერთადერთ შემთხვევაში დათანხმდება: მას უბრალოდ ხელფასის მომატება კი არა, გაორმაგება სურს. ჟირონდაში ფეხბურთელს ეტყობა მეტისმეტად მცირე ანაზღაურება აქვს. **ჰარი რედნაპი** მზადაა, თავდამსხმელში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს, ზუსტად ორჯერ მეტი იმ თანხაზე, რაც თავის დროზე მოსკოვის “სპარტაკმა” მიიღო ფეხბურთელის სანაცვლოდ. “ეკიპის” ცნობით, “ბორდოს” პრეზიდენტი **ჟან ლუი ტრიო** კავენაგის გასხვისების კატეგორიული წინააღმდეგია. მისი თქმით, გუნდს, რომელიც პარალელურად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის, მაღალი დონის ფორვარდი აუცილებლად სჭირდება.

მიმდინარე სეზონში ფერნანდოს ანგარიშზე 14 შეხვედრაში გატანილი 8 გოლია.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი VS ჰოფენჰაიმი



ისინი არ არიან მეგობრები: ბაიერნის მენეჯერი ული ჰიონესი და ჰოფენჰაიმის მფლობელი დიტმარ ჰოპი

# მაგარი ჯახის მოლოდინში

## ბოსებმა ერთმანეთს უკვე დასცხეს!

„ბაიერნისა“ და „ჰოფენჰაიმის“ დაპირისპირებამდე 4 დღეა დარჩენილი, მაგრამ კულისებს მიღმა ომი უკვე დაიწყო. ფრონტის ხაზზე ცეცხლი პირველად, როგორც მოსალოდნელი იყო, მიუნხენური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, **ული ჰიონესმა** გახსნა. აი, რა თქვა „ბაიერნის“ 56 წლის ბოსმა: *„ცხადია, ჩვენ „ჰოფენჰაიმზე“ ძლიერები ვართ. სხვათა შორის, „ჰოფეს“ ფეხბურთელები იმაზე გაცილებით დიდ ფულს იღებენ, ვიდრე ოფიციალურად ცხადდება. დიტმარ ჰოპი თავის მოთამაშეებს უფრო მეტს უხდის, ვიდრე ჩვენ ვიცით!“*

ეს სერიოზული ბრალდებაა და რა გასაკვირია, რომ ჰიონესის გამოხდომა ჰოფენჰაიმში უპასუხოდ არ დაუტოვებიათ. ულის კოლეგა **იან შინდელმაიზერი**: *„რიბერის, ტონის და კლოზეს ხელფასი რომ დავაჯამოთ, ამ თანხით „ჰოფენჰაიმი“ მთელი თავისი შემადგენლობის დაფინანსებას შეძლებს! სახელფასო ფონდის თვალსაზრისით, ჩვენ „ბაიერნს“ ძალიან ჩამოვრჩებით.“*

მაინც რამხელა ხელფასები აქვთ ჰოფენჰაიმელ ფეხბურთელებს? ოფიციალურად ცნობილია, რომ გუნდის ნიგერიელი თავდამსხმელი **ჩინედუ ობასი ოგბუკე** და ნახევარმცველი **სეიად სალიჰოვიჩი** წელიწადში 2 მილიონ ევროს იღებენ და ისინი გუნდში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეები არიან. მერე მოდის ბრაზილიელი ფლეიმეიქერი **კარლოს ედუარდო,** რომლის ჯამაგირი წელიწადში 1.3 მილიონს შეადგენს. გუნდის და მთლიანად ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირ **ვედად იბიშევიჩს** კი (17 გოლი მიმდინარე სეზონში) წელიწადში მხოლოდ 900 000 ევრო აქვს. მთავარი მწვრთნელის, **რალფ რანგნიკის** თქმით, „ჰოფენჰაიმის“ წლიური სახელფასო ფონდი მხოლოდ 23 მილიონ ევროს შეადგენს.

*„ძალიან მიხარია, რომ „ბაიერნის“ ყოველწლიურ კრებაზე ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ჩვენ ვიყავით. რუმენიგემ თქვა, ნეტა სად იყო „ჰოფენჰაიმი“ ბოლო 100 წლის განმავლობაშიო და დარბაზშიც სიცილი გაისმა. ახლა კი ჩვენს ხელფასებზე ლაპარაკობენ. ძალიან მინდა, რომ პარასკევს „ბაიერნს“ ყველა კითხვაზე პასუხი გავცეთ,“* - ამბობს რანგნიკი.

ჩვენი გერმანელი კოლეგები „ჰოფეს“ მფლობელ **დიტმარ ჰოპსაც** დაუკავშირდნენ. აი, მისი კომენტარიც: *„არ ვიცი, რაში სჭირდება ჰიონესს ასეთი განცხადებები და სხვა გუნდების ხელფასებზე საუბარი. მე მგონი, მას ამ განცხადებებით ჩვენს ბანაკში არეულობის შემოტანა სურს. ჩვენ ნამდვილად არაფერი გვაქვს მოსატყუებელი. სულაც არ მჭირდება იმის დამალვა, რამდენს ვუხდი ჩემს ფეხბურთელებს!“*

მატჩის დღე ახლოვდება და როგორც ხედავთ, ბოსები უკვე ხელჩართულ ბრძოლაში არიან ჩაბმულები...

ექსპერტის მოსაზრება

# მინდა, ჰოფენჰაიმმა მიუნხენში მოიგოს!

## ეს მატჩი გვაჩვენებს, საით მიდის ამ გუნდის გზა



ასე ზეიმობდნენ დემბა ბა, კარლოს ედუარდო და ვედად იბიშევიჩი არმინიასთან გამარჯვებას. ისინი ბაიერნს პარასკევს, ლიდერების რანგში ესტუმრებიან

გიუნტერ ნეტცერი, **ბილდი**

მომავალ პარასკევს მთელი საფეხბურთო გერმანია უდიდესი ინტერესით მიადევნებს თვალს ამ სეზონის პირველ უმნიშვნელოვანეს მატჩს, რომელშიც ერთმანეთს „ბაიერნი“ და „ჰოფენჰაიმი“ დაუპირისპირდებიან. სეზონის წინ ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ **რალფ რანგნიკის** სამწყსო ასეთი სიპათიური გუნდი იქნებოდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჰოფენჰაიმის“ წარმატებები ყველას ახარებს, გარდა „ბაიერნის“ ქომაგებისა, რომლებიც ამ გუნდის სახით სერიოზულ საფრთხეს ხედავენ. ალბათ გადაჭარბებულ ნათქვამად არ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ პარასკევს მეც „ჰოფენჰაიმის“ ფანი ვიქნები. დიახ, მინდა, რომ „ჰოფენჰაიმმა“ „ბაიერნი“ დაამარცხოს და ეს ნამდვილად ბუნებრივი სურვილია!

როგორ წარიმართება მატჩი? ჰოფენჰაიმელთა გადმოსახედიდან, ეს თამაშიც ზუსტად ისე უნდა წარიმართოს, როგორც მათი ყველა მატჩი ამ სეზონში. ბუნდესლიგის სენსაციური დებიუტანტი მიუნხენშიც მაქსიმალურად შემტევი ფეხბურთის ჩვენებას შეეცდება, იმიტომ, რომ სწორედ ეს არის ამ გუნდის სტილი. „ჰოფემ“ უნდა შეუტიოს, რანგნიკს სხვანაირად არ შეუძლია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ გუნდს დაცვითი ან უფრო პრაგმატული ფეხბურთის თამაში არც გამოუვა. იდეის თვალსაზრისით, „ჰოფენჰაიმი“ დღეს უკვე თამაშობს საერთაშორისო ხარისხის ფეხბურთს. ეს კი რანგნიკის დამსახურებაა. თითოეულ მატჩში ჩანს, რომ გუნდს აქვს სოლიდური ფუნდამენტი და წარმატებაც ნამდვილად არ არის შემთხვევითი.

„ბაიერნმა“ კი თავისი რიტმი იპოვა, რაც, თავის მხრივ, **ფრანკ რიბერის** დამსახურებაა. ფრანგმა ნახევარმცველმა მთელი გუნდი აიყოლია და ასეთ დროს „ბაიერნი“ ყველაზე სახიფათოა ხოლმე. შესაბამისად, მატჩიც უალრესად საინტერესო უნდა გამოვიდეს: კარგ ფორმაში მყოფი „ბაიერნი“ „ჰოფენჰაიმს“ პირველ უსერიოზულეს გამოცდას ჩაუტარებს და ჩვენც უკვე ხელებს ვიფშვნეტთ ამ მატჩის მოლოდინში.

რეკორდმაისტერის პრობლემა ის არის, რომ „ჰოფენჰაიმს“ დასაკარგი არაფერი აქვს. რანგნიკის შეგირდებმა იციან, რომ თუ ამ თამაშს მოიგებენ, უფრო მეტ გულშემატკივარს გაიჩენენ, მაგრამ თუ წააგებენ, ეს მათთვის სულაც არ იქნება პრობლემური. დამარცხების შემთხვევაში, „ჰოფეს“ თავზე არაფერი დაემხობა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ეს თამაში „ბაიერნისთვის“ უფრო სახიფათოა, ვიდრე „ჰოფენჰაიმისთვის“.

მიუხედავად ამისა, მე არ ვფიქრობ, რომ „ჰოფე“ რეკორდმაისტერისთვის ერთადერთი სერიოზული კონკურენტია, რადგან ზამთრის დიდმა შესვენებამ, შესაძლოა, ბევრი რამ შეცვალოს. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და შესაბამისად, ვერც ახლა ვიტყვით, რომ მეორე წრეშიც ყველაფერი ისე იქნება, როგორც ახლაა. „ჰოფენჰაიმი“ სეზონის მეორე ნახევარშიც შეეცდება პირველი წრის შედეგების გამეორებას, მაგრამ დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რომ „პროფესორ რალფის“ შეგირდები ამას აუცილებლად მოახერხებენ.

ცხადია, „ჰოფენჰაიმის“ ფეხბურთელები უკვე მოექცნენ ევროპული გრანდების ინტერესის სფეროში. სხვანაირად წარმოუდგენელიც კი იყო, რადგან **დემბა ბა, სეიად სალიჰოვიჩი, ვედად იბიშევიჩი, ობასი ოგბუკე** და სხვები, მართლაც შესანიშნავად თამაშობენ. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ მათ ამ ყველაფრის გამო კონცენტრაცია დაკარგონ, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, რანგნიკის გუნდს ასეთი საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ „ჰოფე“ ყოველი გამარჯვების შემდეგ კიდევ და კიდევ ძლიერდება. მაგრამ აქ უნდა დაისვას ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც: რამდენად არ მოექცევიან „სოფლელები“ წნეხის ქვეშ, როდესაც სეზონის ბოლო მოახლოვდება? დავიჯერო, არ ანერვიულდებიან, როდესაც უკვე სერიოზულად იგრძნობენ იმას, რომ გერმანიის ჩემპიონობა მათთვის მართლაც რეალურია? ჯერჯერობით „ჰოფეს“ ნერვიულობის არაფერი ეტყობა. ამიტომაც მგონია, რომ ამ გუნდს ანერვიულებისა და კონცენტრაციის დაკარგვის საფრთხე კიდევ დიდხანს არ დაემუქრება.

ისე, თუ ვინმე ფიქრობს, რომ გერმანიის ჩემპიონატის ბედს პარასკევის მატჩის შედეგი გადაწყვეტს, ძალიან ცდება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს თამაში ზუსტად დაგვანახვებს, საით მიდის „ჰოფენჰაიმის“ გზა...

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# საიდუმლო შეხვედრა მიუნხენში

## ბაიერნმა ტიმოშჩუკთან მოლაპარაკებები დაადასტურა. უკრაინელს წელიწადში 4 მილიონ ევროს სთავაზობენ

წესით და რიგით, „ბაიერნის“ კულისებიდან ამ ინფორმაციას არ უნდა გაეჟონა. დაგეგმილი იყო საიდუმლო შეხვედრა, მაგრამ გაზეთ „ბილდს“ ხომ არაფერი გამოეპარება...

„ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ამ უქმეებზე უკრაინის ნაკრებისა და „ზენიტის“ ვარსკვლავ **ანატოლი ტიმოშჩუკთან** მოლაპარაკებები გამართეს და თანაც, ეს მიუნხენში მოხდა. 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი, რომლის გადაბირება რეკორდმაისტერის მთავარ მწვრთნელ **იურგენ კლინსმანს** ძალიან უნდა, ბავარიის მთავარ ქალაქში იმყოფებოდა და გუშინ ისევ რუსეთში გაფრინდა. კვირა დილით, ტიმოშჩუკს მიუნხენური გუნდის ბოსები, **ული ჰიონესი, კარლ ჰოპფნერი** და **კარლ-ჰაინც რუმენიგე** შეხვდნენ. ანატოლის თან ახლდა მეუღლე **ნადია**. რეკორდმაისტერის შეფებმა სასტუმრო შუადღის პირველის ნახევარზე დატოვეს. რუმენიგე: *„ძალიან საინტერესო საუბარი გვქონდა. პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ ლაპარაკი არ არის ზამთარში ტრანსფერზე. ჩვენ ანატოლის გადმობირება ზაფხულისთვის გვაქვს დაგეგმილი. ბევრი რამ უკვე გარკვეულია, ბევრიც - გასარკვევი. ამასთან, ფეხბურთელმა მოსაფიქრებელი დრო ითხოვა.“*

„ბილდმა“ დაადგინა, რომ „ბაიერნი“ ტიმოშჩუკს წელიწადში 4 მილიონ ევროს სთავაზობს. გენერალურ მენეჯერ ჰიონესს კომენტარი არ გაუკეთებია, რადგან ული გაბრაზებული იყო იმის გამო, რომ გასაიდუმლოებული შეხვედრა გამოაშკარავდა და სასტუმროსთან მას ჟურნალისტები დახვდნენ. რუმენიგე კი ამბობს, ანატოლის გადმობირებას მხოლოდ ზაფხულისთვის ვგეგმავთო, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ტრანსფერი ზამთარშივე შედგეს. მაინც, როდის მოირგებს უკრაინელი მიუნხენური გრანდის ფორმას?

ფაქტი ის გახლავთ, რომ რუსეთში სეზონი დასრულებულია და ტიმოშჩუკს კონტრაქტში ჩადებული აქვს პუნქტი, რომლის თანახმადაც, მას 2009 წლის დასაწყისში „ზენიტის“ დატოვება შეუძლია. ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოსურნე გუნდი 14 მილიონ ევროს გადაიხდის. როგორც ირკვევა, ბავარიელები მზად არიან, „ზენიტს“ ეს თანხა ჩაუთვალონ.

რამდენად ესადაგება ტიმოშჩუკი „ბაიერნის“ სტილს? თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არსებობს. ანატოლი ზუსტად ის ფეხბურთელია, რომელიც მიუნხენელებს სჭირდებათ. თანაც, ტიმოშჩუკი „ბაიერნის“ ცოცხალი ლეგენდის, **ლოთარ მათეუსის** ფანია. როგორც იცით, ის „ზენიტის“ კაპიტანი გახლავთ და იმ სამკლავურით თამაშობს ხოლმე, რომელიც თავის დროზე ლოთარს ეკეთა. *„ეს სამკლავური ჩემმა ყოფილმა კო-მწვრთნელმა, ალექსანდრ სპირიდონმა მომცა, რომელმაც ეს სამკლავური მათეუსს ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გამოართვა,“* - აცხადებს ტიმოშჩუკი.

თუკი უკრაინელი „ბაიერნს“ ზამთარში მიაშურებს, გაზაფხულზე გუნდს ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაეხმარება, რადგან „ზენიტის“ რიგებში ამ ტურნირზე უკვე ითამაშა. სამაგიეროდ, ბუნდესლიგაში გუნდს ძალიან გამოადგება. აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეკორდმაისტერის ამჟამინდელ საყრდენებს, **მარკ ვან ბომელსა** და **ზე რობერტოს**, სეზონის ბოლოს „ბაიერნთან“ კონტრაქტები უმთავრდებათ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


ანატოლი ტიმოშჩუკი ბაიერნში? საქმე უკვე სერიოზულადაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერდერი



კლაუდიო პისაროს ამ სეზონში უკვე 10 გოლი აქვს გატანილი

# პისარო თავიდან დაიბადა!

## კაცი, რომელიც ვერდერისთვისაა დაბადებული

თავისდროზე, პერუელი თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** საფეხბურთო მსოფლიომ სწორედ ბრემენის „ვერდერიდან" გაიცნო. აგრესიულ ფორვარდს გოლი გოლზე გაჰქონდა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, რის შემდეგაც, როგორც საერთოდ გერმანიაში ხდება ხოლმე, ის მიუნხენის „ბაიერნმა" გადაიბირა. რეკორდმაისტერში პერუელმა საკმაოდ კარგად დაიწყო, მაგრამ მერე ძალიან აურია. პისა „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში თითქმის მუდმივად თამაშობდა, მაგრამ გოლები ველარ გაჰქონდა. სეზონში საშუალოდ 6 გოლი თავდამსხმელისთვის, რომელიც გუნდის პირველ ფორვარდად მიიჩნევა, ძალიან ცუდი მაჩვენებელია. თუმცა კლაუდიოს ნამდვილად ჰქონდა აფეთქებები და მნიშვნელოვანი გოლებიც გაჰქონდა, მაგრამ საბოლოო შედეგი მაინც უფერული გახლდათ. ამიტომაც იყო, მასზე რომ ამბობდნენ, ხასიათის თავდამსხმელია, როცა უნდა, ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ მისი პრობლემა ის არის, რომ ეს ყოველთვის არ უნდაო. თუ მის პირად სტატისტიკას დავაკვირდებით, იმასაც აღმოვაჩენთ, რომ პისარო მხოლოდ მაშინ იწყებდა გოლების გატანას, როცა მის კონტრაქტს ვადა ეწურებოდა. ანუ, როცა ახალი ხელშეკრულების გაფორმების დრო დგებოდა. იმედია, ეს მომენტი ახსნას აღარ საჭიროებს.

მერე იყო „ჩელსი", სადაც პისარომ ასევე ვერ იპოვა თავისი ადგილი. დღეს კი, კლაუდიო ისევ ბრემენულ კლუბშია, სადაც არენდის წესით დაბრუნდა. წესით, „ვერდერიდან" აღარასოდეს უნდა წავიდეს, რადგან როგორც აღმოჩნდა, ეს ის გუნდია, სადაც პისარო იდეალურად გრძნობს თავს. ბრემენში ის ყოველთვის მონდომებულია, ყოველთვის გააქვს გოლები და ფანებიც ყოველთვის აპლოდისმენტებით აცილებენ.

შაბათს, ფრანკფურტის „აინტრახტს" პისარომ ფაქტობრივად მარტომ მოუგო - 5-დან 3 გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. „მუსიკოსების" მთავარმა მწვრთნელმა **თომას შააფმა** ის 66-ე წუთზე შეცვალა და იოლი წარმოსადგენია, როგორი ოვაციებით გააცილეს პისა „ვეზერშტადიონიდან".

*„კლაუდიო „ვერდერისთვისაა" დაბადებული და ამაში ახლა დავრწმუნდი. მას მერე, რაც „ვერდერიდან" წავიდა, ასეთი შედეგიანი არც ერთ სეზონში არ ყოფილა. ახლა კი დაგვიბრუნდა და ნახეთ, როგორი მონდომებულია, დააკვირდით, როგორ ფორმაშია. დარწმუნებული ვარ, რომ პისა ჩვენთვის კიდევ არაერთ გოლს გაიტანს. კიდევ კარგი, რომ ვინათხოვრეთ,"* - აცხადებს ბრემენული კლუბის გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი**.

...და რა იქნება სეზონის ბოლოს? ალოფსი: *„ჯერჯერობით ამაზე არ ვფიქრობთ, რადგან სეზონის დასრულებამდე ძალიან ადრეა. მინდა გითხრათ, რომ ამ საკითხზე არც ზამთარში ვიფიქრებთ. მერე კი ვნახოთ. დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, პისაროს შენარჩუნება აუცილებელია!"*

ბრემენელებმა „ჩელსისთან" ვაჭრობა იანვრიდან უნდა დაიწყონ. იმისათვის, რომ ბრემენულ კლუბს კლაუდიოს შესაძენი ფული გაუჩნდეს, პისარომ ეს სეზონი საუკეთესოდ უნდა ჩაატაროს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიპოვებენ „მუსიკოსები" ჩემპიონთა ლიგის საგზურს, რაც დამატებითი შემოსავლების გარანტია იქნება.

„აინტრახტთან" შესრულებული ჰეთ-თრიკი პისაროსთვის პირველი იყო 2001 წლის 3 მარტის შემდეგ. მაშინ პისამ სამი გოლი (ასევე „ვერდერის" მაისურით) „ფრაიბურგს" გაუტანა და ის შეხვედრა „მუსიკოსებმა" 3:1 მოიგეს.

ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ, როგორც ჩანს, ბრემენელები კრიზისიდან გამოსვლას იწყებენ. ყოველ შემთხვევაში, „აინტრახტის" განადგურება ამ მხრივ პირველი ნაბიჯია. დაცვის ბურჯი **პერ მერტეზაკერი**: *„ეს გამარჯვება გუნდს ძალიან სჭირდებოდა, მაგრამ ახლა ტენდენცია უნდა შევინარჩუნოთ. პირველი წრის დარჩენილ ორ ტურში აუცილებლად 6 ქულა უნდა ავიღოთ. ასეთ შემთხვევაში, ზამთრის შესვენებაზე მშვიდად ვიქნებით."*

დაბოლოს: კლაუდიო პისარო „აინტრახტთან", რა თქმა უნდა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, რისთვისაც პრემიის სახით 500 ევრო მიიღო. ეს თანხა პისამ მაშინვე „ბილდის" აქციას „დავეხმაროთ უპატრონო ბავშვებს" გადაურიცხა...

**გოტფრიდ ლენცი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ევრო 2012

# ოლიმპიისკის ბედი საბოლოოდ გაირკვა

## უეფა კიდევ უფრო მაღლა აწევას გეგმავს

რამდენიმე დღის წინ კიევში ხელი მოეწერა შეთანხმებას სტადიონ "ოლიმპიისკის" დირექციასა და კომპანია "კიევგოსსტროის" შორის. კონტრაქტის თანახმად, ფირმა საკუთარ თავზე იღებს ევრო 2012-ისთვის დღევანდელი მოძველებული სტადიონის თანამედროვე არენად ქცევას. აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს. მინისტრმა **იური პავლენკომ** დარწმუნებით განაცხადა, რომ ისეთი დიდი შესაძლებლობების ფირმა, როგორიც "კიევგოსსტროია", შეძლებს სტადიონის იდეალურ კონდიციებამდე მიყვანას, თანაც ისე, რომ უეფას მიერ დადგენილი სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა არ დაირღვეს. ბატონმა პავლენკომ იქვე დაამატა, რომ დანარჩენი სარემონტო სტადიონების (დონეცკის, ლვოვის, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვისა და ოდესის არენები) სამუშაოებზეც მხოლოდ და მხოლოდ უკრაინული ფირმები იმუშავებენ. *"ეს არ არის მხოლოდ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს ჩვენი ფირმების მხარდაჭერის აქტი. ჩვენი აზრით, ეს, პირველ რიგში, უკრაინის პრესტიჟზე ზრუნვა გახლავთ"*, - განაცხადა მინისტრმა. აქვე გეტყვით, რომ აღნიშნულმა ფირმამ უკრაინის ყველაზე დიდ სტადიონზე უკვე ორჯერ ჩაატარა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პირველად 1979 წელს, ხოლო მეორედ - 1996-ში, როცა მხოლოდ ტრიბუნები გარემონტდა.

წელს ანრი დელონეს თასი ესპანეთის ნაკრებმა მოიგო, მაგრამ უეფას სანაკრებო ტურნირების კომიტეტის დასკვნაში წერია, რომ ევრო 2008 უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, ინფრასტრუქტურაც იდეალურ მდგომარეობაში გახლდათ. ასე რომ, ეს მხოლოდ ავსტრია-შვეიცარიის კი არა, მთელი ევროპული ფეხბურთის გამარჯვება იყო. რასაკვირველია, უკრაინასა და პოლონეთს არ სურთ, ვინმეზე ნაკლები შეფასება დაიმსახურონ. შესაბამისად, ამ ორ ქვეყანაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს მთელი ევროპის ღირსეულად სამასპინძლოდ. კონტინენტის მომავალი პირველობისთვის მზადება მხოლოდ ახლა იღებს ტემპს, მაგრამ უეფაში უკვე მოხაზეს ევრო 2016-ის კონტურები. მასში მონაწილეობა უკვე 24-მა გუნდმა უნდა მიიღოს.

*"ევროპულმა ფეხბურთმა წლევანდელ ზაფხულს კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, - განაცხადა უეფას სანაკრებო ტურნირების კომიტეტის თავმჯდომარე* **ჟილბერტუ მადაილმა**, *ვინც პარალელურად პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი და უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრიც გახლავთ. – ყველანი უმაღლესი დონის ფეხბურთს ვუყურებდით. საორგანიზაციო და ლოგისტიკური თვალსაზრისით კი, კომენტარიც კი ზედმეტია. სპორტულ მხარეზე უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება ფინანსურ დეტალებს, გეტყვით ერთს: ევრო 2000-ის ჩათვლით თითქმის ყველაფერი ერთფეროვნად მიდიოდა. 2004 წელს პორტუგალიაში ევროპამ დიდი ნაბიჯი გადადგა, ხოლო წელს, ავსტრია-შვეიცარიაში კიდევ უფრო შთამბეჭდავი შედეგები გვქონდა. ახლა უკრაინისა და პოლონეთის იმედი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, თამასა უფრო მაღალზე დაიდება.*

*ევრო 2016-ისთვის ჩასატარებელი სამუშაოები შეუდარებლად მოიმატებს. საორგანიზაციო საკითხებიც კიდევ უფრო გართულდება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უნდა გაუხარდეთ ისეთ გუნდებს, რომელთაც შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის მეტი შანსი მიეცემათ. ასეთ ქვეყნებს საერთო-ევროპულ ზეიმში მონაწილეობის შანსი ეძლევათ".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ფეხბურთი და ავტო




# პატარა სიტროენი დიდი ფეხბურთელებისთვის

ფრანგული საავტომობილო ფირმა „სიტროენი" ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი გრანდის, „არსენალის" პარტნიორი გახდა. ასეთი კავშირი შემთხვევითი არაა, რადგან გუნდში ბევრი ფრანგი ფეხბურთელია, პლუს ამათ, მთავარი კაციც - **არსენ ვენგერი**. შეიძლება, აქ საფრანგეთისადმი ნოსტალგიასთანაც გვქონდეს საქმე. ახლა, მომავალი სამი სეზონის განმავლობაში, გუნდი და მისი მომსახურე პერსონალი, „სიტროენის" ფირმის ავტომობილებით ინავარდებს. ამასთან, მხარეებმა გაახმოვანეს, რომ კორტეჟში ჩაებმება როგორც რესპექტაბელური მოდელები, ისე მცირელიტრაჟიანებიც, მაგალითად, „სიტროენ C4-პიკასო", „სიტროენ C5" და „სიტროენ C1". ალბათ, მცირელიტრაჟიან მოდელს განსაკუთრებული მოვალეობა დაეკისრება - ბუცების, ბურთებისა და სხვა ეკიპირების გადატანა.

ჯერ უცნობია, ყველა ფეხბურთელს მხოლოდ „სიტროენით" გადაადგილება დაევალება, თუ არა. თუ ასე მოხდა, მაშინ **თეო უოლკოტს**, „არსენალისა" და ინგლისის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს, მოუხდებოდა „სიტროენ C2 VTS", რადგან მხოლოდ ამ ავტომობილს შეუძლია გაეჯიბროს ფეხბურთელს მოხერხებულობაში, მანევრირებასა და სისწრაფეში. „სიტროენის" სამოდელო რიგში არის სპეციალური ავტომობილიც **სამირ ნასრისთვის**. შემტევმა ნახევარმცველმა უნდა შეძლოს ბევრი საჭირო ნივთის (ბურთები, მაისურები) გადაზიდვა, რათა შემდეგ ის გარშემო ყველას დაურიგოს. ამიტომ, ნასრისთვის ზედგამოჭრილი იქნება „სიტროენ C3 გრან პიკასო".

რამდენად სიამოვნებთ ფეხბურთელებს ამგვარი პარტნიორობა, ძნელი სათქმელია. საკითხავია, „ეკადრებათ" თუ არა მალალანაზღაურებად ვარსკვლავებს საშუალო ფრანგისთვის განკუთვნილი ავტომობილები? ამ დროს, მათი კოლეგები „მილანიდან" თუ „ბაიერნიდან" „აუდის" სუპერმოდელებით მოგზაურობენ და დიდი სიამოვნებით ასრულებენ კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა პირობას...

**დავით ჩუბინიძე**

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ

სამხრეთამერიკული ფეხბურთი

# იქ, დესავლეთ ნახევარსფეროში...

## არგენტინაში ისევ კლავენ

### პოლიცია სიტუაციას ვერ უმკლავდება, ინჩასები კი ერთმანეთს უსწორდებიან

უკვე ზედიზედ მეორე კვირაა, არგენტინულ ფეხბურთში გამეფებულ ძალადობაზე გვიწევს საუბარი. წინა კვირაში ვწერდით, რომ ბუენოს აირესსა და სანტა ფეში მომხდარ არეულობებს ორი გულშემატკივრის სიცოცხლე შეეწირა. ორივე მათგანი დანით იყო მოკლული. ამჯერად კი საქმეში ცეცხლსასროლი იარაღი ფიგურირებს. არგენტინის ჩემპიონატის მეორე ლიგის შეხვედრა, რომელშიც „კორდობა“ და „ტირო ფედერალი“ თამაშობდნენ, კრიმინალური ანგარიშსწორების მიზეზი გახდა. პოლიციის მეცადინეობით უშუალოდ მატჩის მსვლელობისას მეტ-ნაკლები სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც პაექრობა დასრულდა და გულშემატკივრებმა ტრიბუნები დატოვეს, საშინელება დაიწყო. დაპირისპირებული ბანაკების ინჩასებმა ერთმანეთს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ მუშტიკრივზე გადავიდნენ, ბოლოს კი ცეცხლსასროლი იარაღიც ამოიღეს. არგენტინული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ორმხრივი სროლისას 18 ადამიანი დაიჭრა. მათგან სამის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. „კორდობას“ 30 წლის ქომაგი ღვიძლშია დაჭრილი. ექიმები ამბობენ, რომ მას მხოლოდ ღმერთი თუ გადაარჩენს. სიკვდილს ებრძვის „ტირო ფედერალის“ ინჩასიც. 21 წლის ახალგაზრდას ტყვიამ ფილტვში გაუარა. კიდევ ერთ დაზარალებულს, 28 წლის **ხოსე მარიას** კი ბარძაყის არტერია დაუზიანდა და დიდი ოდენობით სისხლი დაკარგა. ექიმები დაჭრილების ახლობლებს, ვერანაირ გარანტიას ვერ აძლევენ. ისინი სულ იმას იმეორებენ, რომ სამივე პაციენტის ბედი ღმერთზეა დამოკიდებული.



მორიგმა ვანდალიზმმა არგენტინულ თუ მსოფლიო პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. საფეხბურთო ასოციაციის მესვეურები და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობაზე გაუთავებლად ლაპარაკობენ, მაგრამ სიტუაცია დღითიდღე მძიმდება. **ხულიო გრონდონა** სასოწარკვეთილია. საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი ველარ ხვდება, გამოსავალი სად ეძებოს: *„ათასი მეთოდი ვცადეთ. სტადიონებზე პოლიციელების რაოდენობა გავასამმაგეთ, უსაფრთხოებისთვის ფულსა და ენერგიას არ ვზოგავთ, მაგრამ სიტუაცია არ იცვლება. უბრალოდ, შეუძლებელია, თამაშზე მოსული 70-80 ათასი ადამიანი საგულდაგულოდ გაჩხრიკო. არადა, როგორც ვხედავთ, ეს აუცილებელია. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს განგსტერული ფილმი ვიხილე. როგორ შეიძლება ფეხბურთის გამო ადამიანს ტყვია ესროლო? ვინც ეს ჩაიდინა, ნაძირალა და არაკაცია. უამრავი სირთულის მიუხედავად, ვალდებული ვართ, გამოსავალი ვეძებოთ და პრობლემა როგორმე მოვაგვაროთ. ამ დღეებში ფიფაში წავალ და ევროპულ გამოცდილებას კიდევ უფრო კარგად გავეცნობი.“*



## ბრაზილია სენტიმენტალურ ქვეყნად რჩება

### პელეს ავტორიტეტი მილიონობით დოლარს ამჯობინეს

1970 წელს მასეიოში 30 ათასიანი სტადიონი ააშენეს. მაშინ მას „ტრაპიჩაო“ დაარქვეს, მაგრამ მოგვიანებით სახელი შეუცვალეს და ასეთი სახელწოდება უწოდეს - „ესტადიო რეი პელე“ (მეფე პელეს სტადიონი). მას შემდეგ თითქმის 50 წელი გავიდა და ფეხბურთის მეფის ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ დადგა. საქმე ის არის, რომ მასეიოს მუნიციპალიტეტში ძალიან საინტერესო წინადადება შევიდა. ერთ-ერთი უმდიდრესი ბრაზილიური კომპანია მზადაა, ქალაქის ხელმძღვანელობასთან ს.სპონსორო ხელშეკრულება გააფორმოს, მაგრამ ამისათვის ერთი მნიშვნელოვანი პირობა აქვს. სტადიონს სახელი უნდა გადაერქვას და კომპანიის სახელი ეწოდოს. საქმე იმდენად დიდ ფულს ეხება, მუნიციპალიტეტში ცდუნებამ ძალიან ბევრი ადამიანი შეიპყრო და **პელეს** უკვდავებას მართლაც საფრთხე დაემუქრა. საკითხი კენჭისყრაზე დადგა. მუნიციპალიტეტის არჩევითმა ორგანომ სტადიონის საკითხს კენჭი უყარა. 15 ხმით 6-ის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ სტადიონს სახელი არ შეეცვლება. პელეს ავტორიტეტმა მრავალმილიონიანი კონტრაქტი მაინც დაჩრდილა. მასეიოს მერი ამ საკითხთან დაკავშირებით ასე საუბრობს: *„ქალაქის ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. იმისათვის, რომ მუნიციპალურმა სამსახურებმა წარმატებით იმუშაონ, სერიოზული თანხებია საჭირო. ჩვენ მდიდარი ინვესტორი გამოგვიჩნდა და გადავწყვიტეთ, მათი წინადადება საზოგადოებრივი განსჯის საგნად გვექცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს საინვესტიციო ჯგუფი სტადიონისა და ირგვლივ მდებარე ობიექტების სერიოზულ რეკონსტრუქციას აპირებდა, ჩვენი ქალაქის არჩევითმა ორგანომ არაკომერციულ პროექტს დაუჭირა მხარი. ასე ვთქვათ, რომანტიზმმა პრაგმატიზმზე გაიმარჯვა. გულწრფელად გეტყვით, მერჩივნა, პირიქით მომხდარიყო, მაგრამ თავს უფლებას არ მივცემდი, რომელიმე დეპუტატს დაველაპარაკებოდი და ჩემს მხარეს გადმობირება მეცადა. დემოკრატიულმა პროცედურამ ასეთი შედეგი მოგვიტანა.“*

მოგვიანებით, ბრაზილიური გაზეთების ინტერნეტპორტალებზე პელეს განცხადება გამოქვეყნდა. ფეხბურთის მეფე დეპუტატების ერთგულებით აღფრთოვანებული დარჩა: *„საიმისო პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს, რომ ჩემ გამო რომელიმე ქალაქმა ან სტადიონმა ინვესტორი დაკარგოს, მაგრამ არ დაგიმალავთ, მესიამოვნა, რომ ასე დამაფასეს. ხუმრობა ხომ არ არის, მილიონობით დოლარს ჩემი სახელი და ავტორიტეტი ამჯობინეს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბრაზილია რომანტიკულ და სენტიმენტალურ ქვეყნად რჩება.“*

## პერუს მთავრობა უკან არ იხევს

### თუ ფიფა სანქციას გააუქმებს, ფედერაციის პრეზიდენტი თანამდებობიდან წავა

ფიფას მიერ პერუს ფეხბურთის ფედერაციის დისკვალიფიკაციის ფაქტი ფაქტად რჩება და სანქცია არ გაუქმებულა. შეგახსენებთ, **ზეპ ბლატერის** ორგანომ პერუს ფეხბურთი საერთაშორისო სარბიელიდან მოკვეთა. ყველა კლუბსა და ყველა ასაკობრივ ნაკრებს საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობა აეკრძალა. დაგვეთანხმებით, ფეხბურთისთვის ამაზე დიდი საშინელება არ არსებობს. სრული იზოლაცია სიკვდილის წინაპირობაა.

ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა პერუს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ძალიან აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ დისკვალიფიკაციის მიზეზი ფედერაციის საქმეებში მთავრობის ჩარევა გახდა, პერუს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მანუელ ბურგა** მზადაა დათმობაზე წავიდეს და თანამდებობიდან გადადგეს: *„ის, რაც ახლა ჩვენს ფეხბურთში ხდება, კატასტროფა და აპოკალიფსია. სამწუხაროდ, დაპირისპირებამ სერიოზული მასშტაბი შეიძინა. მინდოდა, მაგიდასთან დავმსხდარიყავით და მოგველაპარაკა, მაგრამ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ და საქმეში ფიფა ჩაერთო. მე ვაფრთხილებდი ჩემს ოპონენტებს და გულწრფელად ვეუბნებოდი, შეიძლება თქვენ არ იცით, მაგრამ ფიფა მთავრობის მიერ ფედერაციის საქმეებში ჩარევას არასოდეს შეეგუება-მეთქი. როგორც ჩანს, არ დამიჯერეს და კონფრონტაციის გზით სიარული ამიტომ გადაწყვიტეს. ფიფამ კი მართლაც არ დაგვინდო და ყველა ტურნირიდან მოგვკვეთა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, მაგრამ მთავრობიდან უკან დახევის ნიშნებს ვერ ვხედავ. ამასობაში, ჩვენი საყვარელი ფეხბურთი ილუპება. მე პერუს ნაკრებისა და ყველა კლუბის ფანი ვარ, ამიტომ მათ გადასარჩენად რადიკალური გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. თუ ჩემი გადადგომით სიტუაცია განიმუხტება და ფიფა სანქციას გააუქმებს, თანამდებობიდან დღესვე წავალ, მიუხედავად იმისა, რომ მანდატის ვადა 2011 წლის ბოლოს მეწურება. სავარძელს არ გამოვეკიდები.“*

მანუელ ბურგას განცხადებამ საზოგადოებაში არაერთმნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა. მიმომხილველთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ეს კაცი პოპულისტია, რადგან მშვენივრად იცის, ფიფა სანქციას მისი გადადგომის მიუხედავად მაინც არ გააუქმებს. ამ კონფლიქტში მთავრობამ უნდა დაიხიოს უკან, თორემ ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ვინ იქნება, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. არსებობს საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ მანუელ ბურგა გულწრფელი ადამიანია და პრესტიჟულ თანამდებობას სამი წლით ადრე მხოლოდდამხოლოდ მშობლიური ფეხბურთის სიყვარულის გამო ემშვიდობება.

## დუნგა და სანტა კლაუსი

### მაჩუქეთ სიბრძნე ფეხბურთელებისთვის!

**კარლოს დუნგას** მისი გუნდის უსახური თამაშების გამო ძალიან ხშირად აკრიტიკებენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად „სელესაოს“ მთავარი მწვრთნელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ფრიად კურიოზული შემთხვევის გამო მოექცა. ევროპასა და სამხრეთ ამერიკაში შობა-ახალი წლისთვის მზადებას ძალიან ადრე იწყებენ ხოლმე. ახლა იქ უკვე საშობაო ბაზრობები, ფიესტები და ათასგვარი ღონისძიება იმართება. ყველაზე წინდახედულმა ადამიანებმა „გაუგებრობების“ თავიდან აცილების მიზნით სანტა კლაუსს საშობაო სურვილი უკვე შეუთვალეს. დუნგამ პრესკონფერენციაზე სწორედ მის მიერ ჩათქმულ სურვილზე ისაუბრა:

*„იმ ასაკში აღარ ვარ, რომ სანტას ველოსიპედი ან ბურთის მოტანა ვთხოვო, თუმცა ეს იმდენად ლამაზი ტრადიციაა, საშობაო სურვილზე უარს ვერ ვამბობ და სანტა კლაუსს წერილებს ვუგზავნი ხოლმე. ძირითადად ჩემი ახლობელი ბავშვების სახელით, მაგრამ ამჯერად მას პირადად მეც მივწერე. იცით, რა ვთხოვე სანტა კლაუსს? გაგეცინებათ, მაგრამ „სელესაოს“ ფეხბურთელებს ძალა და გონება მიეცი-მეთქი. ზოგჯერ ჩემი ბიჭები ძალიან უტვინოდ თამაშობენ. ბედნიერი ვიქნები, თუ სანტა კლაუსი დაგვეხმარება და ამ ხარვეზს გამოგვასწორებინებს. პრობლემების მოსაგვარებლად მე ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ ვხედავ. იმედია, ლაპლანდიელი მოხუცი საქმეს გაგვიადვილებს“.*

### ამბები

#### აიგბენი სეზონს გამოტოვებს

30 ნოემბერს, კვირას, მთელი ინგლისის ყურადღება ორი მნიშვნელოვანი მატჩისკენ იყო მიპყრობილი. "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსიმ" "არსენალთან" დაყარა იარაღი, ხოლო მანჩესტერულ დერბიში "ალისფერმა ეშმაკებმა" იმარჯვეს. ლონდონში კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა შედგა – "უაით ჰარტ ლეინზე" "ტოტენჰემმა" "ევერტონს" უმასპინძლა და **სტივენ პიენაარის** ერთადერთი გოლის წყალობით დამარცხდა. **დევიდ მოიესის** გუნდს ამ გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია, მაგრამ სამი ქულის ფასს ეს არ აკნინებს. ლივერპულელებს სიხარული არ დასცალდათ: შეხვედრის დებიუტშივე, მე-10 წუთზე უმძიმესი ტრავმა მიიღო გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, ნიგერიელმა **იაკუბუ აიგბენიმ**. ერთ წუთში მინდორზე მის ნაცვლად **ლუის საა** გამოვიდა. შეხვედრის დასრულებისთანავე გაირკვა, რომ აფრიკელი ფორვარდი საყვარელ საქმიანობას სეზონის ბოლომდე ვერ დაუბრუნდება. მერსისაიდელთა ბანაკში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი: აიგბენის გარდა დაშავებულია კიდევ ერთი ფორვარდი **ჯეიმს ვონი**. სულ ახლახან გამოჯანმრთელდა ფრანგი სააც, ასე რომ, ოპტიმალური ფორმისგან ისიც უკიდურესად შორსაა. მოიესის განკარგულებაში ორად ორი კვალიფიციური ფორვარდია: ლუის საა (11 თ, 3 გ) და **ვიქტორ ანიჩებე** (10 თ, 1 გ), ასევე 16 წლის **ჟოზე ბაქსტერი** (3 თ, 0გ) და 19 წლის **ლუკაშ იუტკიევიჩი** (0 თ).

#### კემპბელი გაიყიდება

"პორტსმუთის" თავკაცი **ტონი ადამსი** გუნდიდან ვეტერანი **სოლ კემპბელის** გაშვებას აპირებს. არადა, მათ ერთმანეთთან დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ. ცენტრალურ მცველებს ერთად უთამაშიათ ეროვნულ გუნდშიც და 2001-02 წლების სეზონი "არსენალშიც" ერთად აქვთ გატარებული. სოლი უკვე მესამე სეზონია, რაც "პომპებში" თამაშობს და მას შემდეგ მხოლოდ პრემიერლიგაში 70-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. წელს მის ანგარიშზე 10 შეხვედრაა. ბოლო ტურები ფეხბურთელმა ფეხის თითის მოტეხილობის გამო გამოტოვა. სოლ კემპბელის გაშვების ერთადერთი რეალური მიზეზი მისი მაღალი ხელფასია – ვარსკვლავის ანაზღაურება კვირაში 60 ათასი გირვანქაა. მხარეთა შორის დადებულ შეთანხმებას ვადა სეზონის შემდეგ გასდის. შესაბამისად, კომპენსაციის დაკარგვის შიში რეალურია. კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, რის გამოც ის შეიძლება გაიყიდოს კიდეც, ყოველ შემთხვევაში მესაკუთრე **ალექსანდრ გაიდამაკი** ამ ინფორმაციის უარყოფას არც კი ცდილობს.

#### შირერი მზად არ არის

**ჯო კინეირმა ალან შირერს** სეზონის ბოლომდე (ამ დროს კონტრაქტი თავადაც უმთავრდება) სამწვრთნელო შტაბში მუშაობა შესთავაზა. სინიორ ჯოს ჩანაფიქრით, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს "კაჭკაჭების" ფორვარდებთან უნდა ემუშავა. მოგეხსენებათ, ნიუკასლელ ფორვარდებს სერიოზული პრობლემები აქვთ. არადა, სახელების მიხედვით ასეთი რამ მოულოდნელი იყო – **მარკ ვიდუკა, მაიკლ ოუენი, ობაფემი მარტინსი, შოლა ამეობი** – გამოცდილი და მაღალი კლასის თავდამსხმელები არიან. შირერის განცხადებით, მომავალში მას მართლა სურს "ნიუკასლში" მწვრთნელად მუშაობა, მაგრამ სპეციალური ლიცენზიის მიღების შემდეგ მთელი ყურადღება რადიოში საფეხბურთო ექსპერტობაზე აქვს გადატანილი.

**შალვა ბიბილაშვილი**

წყალბურთი



# ევროპისთვის აქედანვე ემზადებიან

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების ეროვნული ფედერაციის ახალი თავკაცების ინიციატივით წყალბურთისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ამ ორი ორგანიზაციის მესვეურებმა გეზი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებისკენ აიღეს. საამისოდ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. გუშინ საქართველოს ნაკრები (**ნიკა ასათიანი, შალვა ნამორაძე, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, სანდრო რუსიშვილი, ზურაბ რურუა** (კაპ.), **გურამ კოტარია, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გიორგი ბუტიკაშვილი, მიხეილ ბალათურია, გიორგი ჯაფარიძე**, მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**, მწვრთნელი **ჯუმბერ წიკლაური**, ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი**, არბიტრი **ირაკლი კიკალეიშვილი**) საწყლოსნო სახეობების ფედერაციის პრეზიდენტისა და სეოკის გენერალური მდივნის - **ალექსანდრე ბითაძის** ხელმძღვანელობით დნეპროძერჟინსკს გაემგზავრა. ჩვენები ხვალიდან უკრაინის ჩემპიონატის პირველ წრეში ხუთ შეხვედრას გამართავენ.

- გაისად აპრილში ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფის საკვალიფიკაციო ტურნირში ვიასპარეზებთ, - მითხრა საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **დავით რურუამ**. - ჩვენ გარდა, კიდევ 15 გუნდი გამოვა ამ შეჯიბრებაზე და მომდევნო ეტაპის 6 საგზურისთვის ვიბრძოლებთ. უკრაინის ჩემპიონატში მონაწილეობა სწორედ ამ ტურნირისთვის მომზადებას ისახავს მიზნად. ამიტომაც მოვიწვიეთ ნაკრებში უცხოურ კლუბებში მოთამაშე წყალბურთელები -ასათიანი (იტალია), ლაითაძე (საუდის არაბეთი), ბუტიკაშვილი, ჯაფარიძე (ორივე - გერმანია), ბალათურია (რუსეთი). იანვრის ბოლოს - თებერვლის დასაწყისში ეროვნულ ჩემპიონატს დავიწყებთ, რომელშიც 6 კოლექტივი იასპარეზებს. საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რექტორი, პროფესორი **გიგი თევზაძე**) ბაზაზე ერთი გუნდი ჩამოყალიბდა. მწვრთნელსა და სპორტსმენებს ანაზღაურებას, როგორც სტიპენდიას, უმაღლესი სასწავლებელი მისცემს. ეს ფაქტი, იმედია, სხვა ორგანიზაციებისთვის მაგალითი გახდება.

უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე 7 დეკემბერს დამთავრდება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს ჩვენი მეგობარი ქვეყნის პირველობებში ერთხელ მეორე და ორჯერ მესამე ადგილები აქვს დაკავებული. ვფიქრობთ, ქართველი წყალბრუთელები ამჯერადაც გვასახელებენ.

**ვაჟა დანელია**

## განცხადება

27 დეკემბერს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. დასაწყისი 12 საათზე.

ძიუდო

# ლიდერები დაისვენებენ, ელოდეთ სიურპრიზებს

დღეს დილომში, **შოთა ჩოჩიშვილის** სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში, საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის ორასზე მეტი ფალავანი ჩაებმება. შეჯიბრებაში ნაკრების პირველი ნომრები არ იჭიდავებენ, რადგან წლეულს მეტად დაძაბული სეზონი ჰქონდათ და მწვრთნელებმა დასვენების უფლება მისცეს.

ლიდერთა არყოფნით ჩემპიონატს დაძაბულობა არ მოაკლდება. მეტიც, პაექრობები უფრო უშელავათო იქნება საპრიზო ადგილებზე გასასვლელად, რაც იანვარში თბილისის მსოფლიოს თასზე მოხვედრის შანსს იძლევა.

გვესაუბრება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბორის ფირცხელიანი**:

- თითოეულ წონაში ჩემპიონობისთვის 30-მდე ძიუდოისტი იბრძოლებს, როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდები. 60 კილოში კვარცხლბეკზე ასვლის ფავორიტები არიან ბეთქილ შუკვანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, ამირან პაპოშვილი, სამბოში მსოფლიოს და ევროპის შარშანდელი ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი. 66 კილოში სპეციალისტები უპირატესობას უჩა ხუციშვილს, დავით ასუმბანს, ვანო დავითაშვილსა და შალვა ქარდავას ანიჭებენ. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოკვეთილი ლიდერები არიან თენგიზ პაპოშვილი, დავით კობერიძე, ზურაბ დილებაშვილი. ყველაზე დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლები 81 კილოშია მოსალოდნელი. ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად ერთმანეთს დაუპირისპირდებიან საბა გავაშელიშვილი, ხვიჩა ხუციშვილი, ლევან და გიგა წიკლაურები, ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ნიკო კუცია, გრიგოლ შინჯიკაშვილი. უწინ ამ წონაში გამოდიოდა გრიგოლ მამრიკიშვილიც, მაგრამ მან 90 კილოში აინაცვლა და სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ მინდია ბოდაველთან, რევაზ ჩიკოიძესთან, გიორგი ეპიტაშვილთან, ბექა ნავერიანთან და სხვებთან მოუწევს გამკლავება. იცით, რომ ამ წონაში ჩვენებს საერთაშორისო სარბიელზე ბადალი არ ჰყავთ. ირაკლი ცირეკიძე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია, ზურაბ ზვიადაური - ათენის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, ხოლო ვალერი ლიპარტელიანი -ახალგაზრდებში წლევანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი. სამივე სპორტსმენი გამოტოვებს ეროვნულ ჩემპიონატს. ისინი თბილისის მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკზე ასასვლელად იბრძოლებენ ლევან რაზმაძე, დავით ლორიაშვილი, ნოდარ მეტრეველი, მალხაზ ნიჟარაძე, სანდრო თევდორაშვილი.

გამორჩეული იქნება პაექრობები მძიმე წონაშიც, რადგან აქ გამარჯვებული ლაშა გუჯეჯიანთან ერთად 20-21 დეკემბერს საფრანგეთში მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონატზე გამოვა. წარმატების ყველაზე მეტი შანსი აქვთ ადამ ოქრუაშვილს, ზვიად ხანჯალიაშვილს, ალექსი დავითაშვილს, ზვიად ჩინჩალაძეს, მირიან გონჯილაშვილს. თუმცა, ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ საპრიზო ადგილებზე გასვლა ზემოთ დასახელებულ სპორტსმენებს გარანტირებული აქვთ. უამრავი პერსპექტიული ახალგაზრდა ფალავანი გვყავს და მათგან სიურპრიზებს უნდა ველოდოთ.

**- თქვენ ახალგაზრდები ახსენეთ... 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილი ხართ?**

- უდავოდ. მით უმეტეს, რომ ბოლო ორი წელიწადია, ობიექტური მიზეზებით მსგავს შეჯიბრებებში არ გვიასპარეზია. ამჯერად სპორტის დეპარტამენტისა და ძიუდოს ეროვნული ფედერაციის თანადგომით ამის საშუალება მოგვეცა. სამი „ბრინჯაო" ურიგო არ არის, თუმცა, მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. მედალს ველოდი ბეთქილ შუკვანისგან. იგი, მართლაც, კარგად ჩაება ორთაბრძოლებში - ზედიზედ სძლია ჰოლანდიელ რეინვალსა და ფინელ სალმინენს, მაგრამ იპონით დამარცხდა იტალიელ ვერდესთან და საბოლოოდ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა. მისთვის უწინაც შემინიშნავს, რომ, რიგიანად მომზადების მიუხედავად, მესამე-მეოთხე შეხვედრების გამართვა უჭირდა. ექიმების ჩარევით გავარკვიეთ, რომ გლანდები ჰქონია საოპერაციო. ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ამ პრობლემას მოვაგვარებთ და ვფიქრობ, რომ ბეთქილი ამ წონაში ერთ-ერთი ფავორიტი იქნება.

66 კილოში ვანო დავითაშვლმა საქართველოს პირველობაზე მხოლოდ ერთი გაფრთხილებით აჯობა უჩა ხუციშვილს, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელმა უკეთ იასპარეზა ბაქოს მსოფლიოს თასზე - მეორე ადგილი დაიკავა, ამიტომ ხორვატეთშიც მისი წაყვანა ვარჩიეთ. იმედებიც გაგვიმართლა - ვადამდე სძლია იტალიელ კონტეგრეკოს, სერბ კრიჟანს, ბულგარელ ივანოვს. ნახევარფინალში ვაზარით უგებდა რუს ქამალ ხან-მაგომედოვს, მაგრამ ბოლო წუთნახევარში ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, რაც გამოუცდელობის ბრალია, თუმცა ბრინჯაოს მედალს მაინც შესწვდა.



ბორის ფირცხელიანი

თენგიზ პაპოშვილი (73 კგ) და გიორგი ეპიტაშვილი (90) პირველსავე წრეში დამარცხდნენ და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილმა ორი შეხვერა კი მოიგო, მაგრამ ნახევარფნალში უნგრელ ბარნა ბორთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის პაექრობა რუს ანდრეი ვოლკოვთან დათმო და მე-5 ადგილს დასჯერდა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას ზაგრებში ორი ბრინჯაოს მედალი გიგა წიკლაურმა (81 კგ.) და დავით ლორიაშვილმა (100 კგ.) მოუტანეს. დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭები საერთაშორისო სარბიელზე კიდევ არაერთხელ გვასახელებენ...

დღეს ეროვნულ ჩემპიონატზე მედლებისთვის სამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეები იბძოლებენ, ხვალ კი პრიზიორები ოთხ წონაში გამოვლინდებიან.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია წინ მიიწევს



ქალ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგში ჩვენებურთაგან ყველაზე დიდი წინსვლა **სოფიო შაფათავას** და **მანანა შაფაქიძეს** აქვთ. შაფათავასთვის ეს კარიერის მორიგი მიღწევაა. მსოფლიო კლასიფიკაციაში 9 ქართველი ჩოგბურთელია, გაგაცნობთ მათ დღევანდელ მდგომარეობას: 161 (-1) **ანა ტატიშვილი** – 199 ქულა; 219 (+2) **მაკა ჩახნაშვილი** – 13; 246 (+8) სოფიო შაფათავა – 111; 390 (-5) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 56; 650 (-2) **ეკა გორგოძე** – 20; 652 (+9) მანანა შაფაქიძე - 20; 692 (-2) **სოფიო ქვაცაბაია** – 18; 745 (-2) **სალომე დევიძე** – 14; 916 (+4) **სოფიო მელიქიშვილი** – 8.

ვაჟთა შორის, ყველაზე დიდი ცვლილება **ნოდარ ითონიშვილს** შეეხო, რომელმას თითქმის ერთი ასეულით დაიხია უკან. 531 (+3) **ირაკლი ლაბაძე** – 48 ქულა; 920 (-1) **ლაზარე კუხალაშვილი** – 12; 1150 (-5) **ლადო ჩიხლაძე** – 5; 1221 (-) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 4; 1332 (-95) ნოდარ ითონიშვილი – 3; 1567 (-3) **ბექა ბუჩუკური** – 1; 1661 (-5) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1.

სოფიო ქვაცაბაია ქართველთაგან ერთადერთი შემორჩა წლეულს კორტებს. 19 წლის ჩოგბურთელს ერთი წინალობის დაძლევაღა უკლია ვინაროსის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში მოსახვედრად. მეორე საკვალიფიკაციო წრეში ჩვენებურმა ფრანგი **ჯესიკა კოენი** ორ სეტში დაამარცხა – 6:0, 7:5. ქვაცაბაიას მორიგი მეტოქე ჰოლანდიელი **იოსან ვან ბენეკომია** (1079). შეგახსენებთ, რომ ქართველი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნორმად არის განთესილი.

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ბრწყინვალედ ასპარეზობს „ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირში", რომელიც ფლორიდაში მიმდინარეობს და ახალგაზრდული ასპარეზის პირველი კატეგორიის შეჯიბრებაა. ქართველი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრადაა განთესილი. მეორე საკვალიფიკაციო წრეში მან რუსი **მიხაილ ტიტოვი** დაამარცხა – 6:1, 6:2. მესამე წრეში ნიკას მეტოქე ამერიკელი **კაილ მაკმორროუა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

საქმიანი დილა

# თვის და ზამთრის პირველ ორშაბათს...

ქართული სპორტი ვაკიდან იმართება. ისე მოხდა, რომ ერთ მიკროუბანში მოიყარა თავი ქართული სპორტის მმართველობის ძირითადმა სტრუქტურებმა, აქვეა არა ერთი უმთავრესი სპორტული სარბიელიც მ. მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონის ჩათვლით. გასული საუკუნის დასაწყისში ეს ადგილი ქალაქის გარეუბანი იყო, მასობრივი სპორტული გამოსვლებისთვის კი დღევანდელი სტადიონისა და მის მიმდებარე ტერიტორიას იყენებდნენ. დღეს თითქმის ყველა შეეგუა იმ აზრს, რომ მალე აქაურობა შეიძლება ახალ საცხოვრებელ უბნად იქცეს. სპორტის აკადემიის გვერდით პირველი მშენებლობა უკვე დაიწყეს. აკადემიაში ახლა დევნილები ცხოვრობენ შიდა ქართლიდან. ეს თუ გაუხანგრძლივებს ცოტათი დღეებს ამ ყოფილ სასწავლებელს. თუმცა, დაჟინებით ლაპარაკობენ იმაზეც, რომ აკადემიას შეიძლება შენობა კვლავ დაუბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, კომენდანტს უკვე დაუკავება თავისი კაბინეტი...

რაკი აკადემიის კარი გაიხსნა, სტუდენტებსაც ეშველათ - გრძელდება ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობის პროცესი, რასაც გუშინ ჩვენც შევესწარით.

როგორც გვითხრეს, ძირითადად ეს კვირა სპორტის დეპარტამენტში ფედერაციების მომავალი წლის დაფინანსებაზე მსჯელობას დაეთმობა. ფედერაციები შეეცდებიან, რაც შეიძლება სრულად მიიღონ საჭირო თანხები. თუმცა, ამ მხრივ დეპარტამენტს ისეთი დახვეწილი სისტემა და კრიტერიუმები გააჩნია, დაუსაბუთებელი სურვილი ბევრისთვის ალბათ სურვილადვე დარჩება.

„თქვენსკენ როგორაა საქმე?" - ვეკითხებით პირველივე შემხვედრს, ხელბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს **ზურაბ კაკაბაძეს**. როგორც მან გვითხრა, ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ზაზა დოლიძე** საქმეს ენერგიულად შედგომია და პირველი, რასაც მალე ყველა დაინახავს, იქნება ტურნირი 6-8 გუნდის მონაწილეობით, ალბათ, თბილისის მერიის თასზე. ეს კი იმ ტრადიციის აღორძინების საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს, როცა ჩვენ დედაქალაქში სოლიდური საერთაშორისო ასპარეზობა იმართებოდა მაშინდელი ერთ-ერთი გაზეთის პრიზზე.

სპორტის სპეციალისტები, სხვათა შორის, ჟურნელისტებიც, უკვე შეუდგნენ მზადებას წლის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების და გუნდების გამოსავლენად. „სპორტულ უბანში" ყოველდღიური განსჯის საკითხი ახლა ეს თემაცაა.

ყველა ახალი ამბავი უპირველესად მაინც დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამმართველოში იყრის თავს. ჩვენ თვალწინ დაჯილდების ანკეტები გასცეს. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე და პეკინის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებისთვის, იმათ გარდა, ვისაც ქვეყნის პრეზიდენტმა თავის რეზიდენციაში ღირსების ორდენები გადასცა. ამავე ჯილდოს მიიღებენ **ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, თორნიკე სანიკიძე, ხვიჩა სუპატაშვილი; გიორგი გოგშელიძე, ოთარ თუშიშვილი, შოთა ხაბარელი, ზაზა თურმანიძე, ბეგი დარჩია** და **ვახტანგ სალუქვაძე**.

სპორტულ ბაზებზე ყველგან შევხვდით მომეცადინეებს. გუშინ ზამთრისთვის უჩვეულო თბილი დღე იყო და ვარჯიშები, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ობიექტი არ თბება, არსად შეფერხებულა.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● საქართველოს XVIII ჩემპიონატი

# სამწვრთნელო ცვლილება



ზურაბ ტომარაძე

საქართველოს ჩემპიონატი ოქტომბერში დაიწყო. პირველობაში სხვა დებიუტანტებთან ერთად შსს-ც ჩაერთო. ჩემპიონატის პირველი დღიდან მეშვიდე ტურამდე გუნდს **ზურაბ ტომარაძე** ხელმძღვანელობდა, ბოლო ტურის წინ მოხდა სამწვრთნელო ცვლილება: ზურაბ ტომარაძის ადგილი დაიკავა **შალვა ცხვედიანმა**, რომელიც მოთამაშე-მწვრთნელი იქნება.

სეზონის დასაწყისში განხორციელებული ასეთი მოულოდნელი ცვლილების გამო ბატონ ზურას დავუკავშირდით, გვაინტერესებდა მისი აზრი ამ ფაქტთან დაკავშირებით.

მისი კომენტარი ასეთი იყო:

- მწვრთნელის პოსტი ჩემი ინიციატივით დავტოვე, არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია. გუნდის უფროსობამ, რაც თავიდან დაგვპირდა, ყველაფერი ბოლომდე შეასრულა. მეც უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. პირიქით, გუნდის შექმნისთვის და მასზე ზრუნვისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. შსს-ს ქომაგად ვრჩები და წარმატებებს ვუსურვებ.

ზურაბ ტომარაძეს ვკითხეთ, სხვა ვარიანტი ხომ არ გამოჩნდა-თქო, რაზეც მისგან უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

აქვე გვინდა ერთი უზუსტობა გავასწოროთ. გუშინდელ ნომერში შსს-ს გასწვრივ, ჩაგდებულ-მილებული ბურთების შეფარდების გრაფაში - 889 ეწერა, რეალურად შსს-ს სხვაობა -109 ქულას შეადგენს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ინტერვიუ. ზაურ სვანაძე

# ქუთაისს სუპერლიგაში არ ეჩქარება

**2005-06 წლების სეზონის შემდეგ, ქუთაისს საკალათბურთო სუპერლიგაში გუნდი აღარ ჰყავს. საკანდელიძისა და ქორქიას ქალაქში კალათბურთელებს ყოველთვის ჰქონდათ დაფინანსების პრობლემა და ზაურ დოლაბერიძის მიერ ჩამოყალიბებული გუნდი 2006 წელს სწორედ ამ მიზეზის გამო დაიშალა. ქუთაისელი კალათბურთელები სხვადასხვა კლუბში გადანაწილდნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი სპორტიდან საერთოდ წავიდა და სხვა საქმეს მიჰყო ხელი. რიონისპირა ქალაქში კი პრიორიტეტად ბავშვების აღზრდა და ახალი გუნდის ჩამოყალიბება დასახელდა. შესაბამისი სახსრების უქონლობის გამო, გამოცდილი კალათბურთელების მოწვევა და ამ გზით ახალი გუნდის შექმნა თითქმის გამორიცხულია, ქუთათურები ისევ ახალგაზდა კალათბურთელების დაოსტატებას ელოდებიან და ალბათ, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობა მინიმუმ 2 წელი კიდევ დააგვიანდებათ. ქუთაისის საკალათბურთო გუნდის მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ახალგაზრდული გუნდის მთავარ მწვრთნელს ზაურ სვანაძეს ვესაუბრეთ.**

**- საქართველოს სუპერლიგაში „ქუთაისის“ გარდა თითქმის ყველა გუნდი ასპარეზობს. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, წლეულს ჩემპიონატში ბათუმიც თამაშობს და საინტერესოა, ქუთაისში როდის მოხერხდება დიდი გუნდის ჩამოყალიბება?**

- სასუპერლიგო გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. ჩვენ იმ ახალგაზრდა ბიჭების იმედად ვართ, რომლებიც ახლა ასაკობრივ ჩემპიონატებში გამოდიან. ეს კალათბურთელები წამოიზრდებიან, დაოსტატდებიან და სწორედ მათ ბაზაზე შეიქმნება ახალი გუნდი, რომელიც სუპერლიგაში იასპარეზებს. ამისთვის, 2-3 წელიწადი მაინც მოგვიწევს მოცდა. სამაგიეროდ, იმ დროისთვის გუნდის დასაკომპლექტებლად კალათბურთელები საძებარი აღარ გვეყოლება და ადგილობრივი კადრებით მოვახერხებთ ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებას.

**- ადრე გუნდის არყოლის მიზეზად ქუთაისში დარბაზის არარსებობა სახელდებოდა, თუმცა დღეისათვის საკალათბურთო დარბაზის პრობლემა აღარაა, მაგრამ ქუთაისს გუნდი მაინც არ ჰყავს...**

- ახლა უდარბაზობას მართლაც არ ვუჩივით. სპორტთამაშების დარბაზი და სპორტის სასახლეც ჩვენს განკარგულებაშია, ახალგაზრდული გუნდი სწორედ ამ შესანიშნავ დარბაზში მასპინძლობს მეტოქეებს. დარბაზის პრობლემა არ არის, მაგრამ ამ პატარა ბიჭებით სუპერლიგაში ასპარეზობას აზრი არ აქვს. სჯობს 2-3 წელიწადი მოვიცადოთ და ჩემპიონატში უფრო მომზადებული გუნდით ჩავერთოთ.

**- ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც მხოლოდ ბოლო მომენტში გადაწყვიტეთ მონაწილეობის მიღება...**

- საქმე იმაშია, რომ ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს. აქ 19-20 წლის მხოლოდ 4 კალათბურთელია, დანარჩენები 16-17 წლისანი არიან და თავს ვიკავებდით ახალგაზრდულ ჩემპიონატში გამოსვლაზე, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობის თხოვნისა და დახმარების შემდეგ თანხმობა განვაცხადეთ. მართალია, ჯერჯერობით ჩვენი გუნდის თამაში და შედეგი უკეთესის სურვილს აჩენს, მაგრამ აქ ნაჩვენებ შედეგზე მეტად ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ ახალგაზრდებმა გამოცდილება მიიღონ, რაც შემდგომში, სუპერლიგაში ასპარეზობისას დაეხმარებათ. ძალიან კარგი თაობა მოდის, ამათზე უმცროსებში, არც ტექნიკა აკლიათ და არც სიმაღლე. 1993-წლიანები შარშან თავიანთ ასაკში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ამ ახალგაზრდების შეზავებით, სამომავლოდ, კარგი გუნდის მიღება შეიძლება.

**- სანამ ეს ბიჭები წამოიზრდებიან, ძველი გუნდის აღდგენა და ჩემპიონატში გამოსვლა არ აჯობებდა? ასეთ შემთხვევაში ის 2-3 წელიც არ დაიკარგებოდა...**

- იმ გუნდის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. ბევრმა სხვა კლუბი მოძებნა და უკან აღარ დაბრუნდება, ზოგმა კი კალათბურთს საერთოდ დაანება თავი. თანაც გუნდის შექმნა ფინანსებთანაც არის დაკავშირებული, ფულის ტყუილად ხარჯვას ახალგაზრდებთან მუშაობა და რამდენიმე წელიწადში ახალი, უფრო ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება სჯობია.

**- ადრე თქვენ ქუთაისის ქალთა გუნდს წვრთნიდით და საკმაო წარმატებებიც გქონდათ, ვაჟებში კი ძირითადად ზაურ დოლაბერიძე მუშაობდა...**

- ზაურ დოლაბერიძე გამოცდილი მწვრთნელია და ჯანმრთელობა რომ უწყობდეს ხელს, ახლაც ამ საქმით იქნებოდა დაკავებული. სამწუხაროდ, იგი შეუძლოდ არის და გუნდს ვერ ავარჯიშებს. მისი ავადმყოფობის გამო „ქუთაისის“ გაწვრთნა დროებით მე დამავალეს. ჯერჯერობით ქალთა კალათბურთშიც ვრჩები, მაგრამ სამომავლოდ, რომელიმე მათგანზე გავაკეთებ არჩევანს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ლეგიონერები. ესპანეთი



ნიკა ცქიტიშვილი (მარცხნივ)



უტევს ტაირონ ელისი

# ცქიტიშვილისა და ელისის აფეთქებები

**კვირა ღამეს ესპანეთის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების სამმა წევრმა ითამაშა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათთვის მე-11 ტური გამორჩეული იყო. ნიკა ცქიტიშვილმა და ვლადიმერ ბოისამ გამარჯვებები მიითვალეს, ხოლო ტაირონ ელისმა კინაღამ სეზონის მეორე მოგება გაიფორმა – დამატებით დროში დამარცხდა.**

საუბარი ნიკა ცქიტიშვილითა და მისი "ფუენლაბრადათი" დავიწყოთ. მადრიდელებმა მეთოთხმეტე-ადგილოსან "ბრუესას" უმასპინძლეს და შინ ხელმოცარული გაუშვეს – 108:75. ეს გახლდათ "ფუენლას" საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში, აქამდე ასეთი სხვაობით მადრიდელებს არ გაუმარჯვიათ.

საინტერესოა, რომ პირველი პერიოდის მიხედვით მასპინძელთა 33 ქულის სხვაობით გამარჯვებას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რადგან საწყის 10 წუთში ბრუესელები 24:22 დაწინაურდნენ. მეორე მეოთხედში კი ცქიტოს თანაგუნდელებმა 33:13 იმარჯვეს და 33-ქულიან გამარჯვებასაც ჩაუყარეს საფუძველი.

"ბრუესასთან" დაპირისპირება ნიკასთვისაც გამორჩეული იყო, თუმცა არა საუკეთესო. მან ხომ სადებიუტო მატჩში "ბარსელონასთან" 22 ქულა ჩააგდო. კვირას კი სკიტამ 26 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. მატჩის მიმოხილვაში ხაზგასმითაა აღნიშნული ფუენლაბრადელთა შესაშური სროლის სიზუსტე: **ბლანკომ** 7-დან 7 ორქულიანი ჩააგდო, **მაინოლდიმ** 2-დან 2 სამიანი, ხოლო **ცქიტიშვილმა** 3 შორეული ტყორცნა შეასრულა და სამივე მიზანში მოარტყა.

"ბრუესასთან" მატჩის შემდეგ ნიკა ცქიტიშვილის თამაში "ფუენლაბრადას" თავკაცმა **გუილიმ** შეაფასა: *"ნიკა ცქიტიშვილი დაგვიანებით შემოგვიერთდა, მაგრამ ერთ-ერთია იმ კალათბურთელთა შორის, რომელმაც ადაპტაცია მალე გაიარა. ახლა იგი ყველა სათამაშო სქემას იცნობს და მასზე დიდ იმედებსაც ვამყარებთ. ყოველივე ამას ცქიტიშვილმა დაუღალავი ვარჯიშის წყალობით მიაღწია. იგი ყოველი ვარჯიშის შემდეგ დარბაზში რჩება და ინდივიდუალურად ემზადება."*

ესპანური პრესის ვარაუდით, "ფუენლაბრადა" სკიტასთან კონტრაქტს კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებს. შეგახსენებთ, რომ ოქტომბერში გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ნიკა მადრიდულ კლუბში სეზონის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო.

**ვლადიმერ ბოისას** "მენორკამ" მეთერთმეტე პოზიციაზე მყოფ "მანრესას" უმასპინძლა და სეზონში მე-3 გამარჯვება მოიპოვა – 83:67.

ანგარიშის მიხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ კუნძულელებმა იოლად მოიგეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. "მენორკამ" თამაშის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყვიტა – 25:14 გაიმარჯვა.

მატჩის სნაიპერი ხორვატი **მარინო ბაზდარიჩი** გახდა, 17 ქულა ჩააგდო. ვლადიმერ ბოისამ 13 წუთი ითამაშა და ოქმში მის გასწვრივ მხოლოდ ერთიან-ნულიანები ჩაიწერა: თითო აცდენილი სამქულიანი და ორქულიანი, 1 მოხსნა და 0 ქულა.

"გრან კანარია"-"კახასოლის" დაპირისპირების სნაიპერობა საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა ტაირონ ელისმა იკისრა. მან შეუცვლელად 46 წუთი ითამაშა, 24 ქულა მოაგროვა და სწორედ მისი დამსახურებაა აუტსაიდერმა "კახასოლმა" ლიდერ "კანარიასთან" მატჩი ოვერტაიმში რომ გადაიყვანა. საფინალო სირენასთან ერთად ტაირონ ელისმა შორეული სამქულიანით (სულ 9-დან 6 სამიანი) ანგარიში გაათანაბრა – 80:80. ეს ტყორცნა გაზეთ "სოლობასკეტში" ფანტასტიკურ სამქულიანად არის მონათლული. პირველი დამატებით ხუთწუთეულიც ფრედ დასრულდა – 85:85. მეორე ოვერტაიმში მასპინძლებმა იყოჩაღეს და საბოლოოდ 104:92 გაიმარჯვეს.

11 ტურის შემდეგ "კახასოლი" უკანასკნელ, მე-17 ადგილზეა – 1 მოგება (მადრიდში, "რეალთან") და 9 წაგება.

გასავარდნ ზონას (ორი გუნდი ვარდება) მოშორდა ბოისას "მენორკა". მას 3 მოგების წილ 7 წაგება აქვს და მეცამეტე პოზიციაზეა. ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა" კი მერვე ადგილზეა – 5-5 მოგება-წაგება. ესპანეთის პირველობის პლეი ოფში სწორედ 8 გუნდი გადის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ბალტიის ლიგა

# მარცხი ჟალგირისთან



გიორგი ცინცაძე

ბალტიის თასის მეორე ტურში **ვიქტორ სანიკიძისა** და **გიორგი ცინცაძის** "როკმა" ლიტვური გრანდი, "რიტასი" დაამარცხა. ბოლო ტურში როკერებმა მთავარ ლიტვურ კლუბ "ჟალგირისს" უმასპინძლეს და გულშემატკივართან ერთად წარმატების იმედი, ალბათ "როკის" კალათბურთელებსაც ჰქონდათ. თუმცა, თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ მესამე პერიოდში ლიტველებმა 26:14 მოიგეს და გამარჯვებაც კაუნასში წაიღეს – 76:67.

გიორგი ცინცაძე "ტარტუ როკის" სასტარტო შემადგენლობაში იყო, 38 წუთში 13 ქულა, 3 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. სტატისტიკა ნორმალურია, მაგრამ გიორგის ღირებულ თამაშს სხვა კომპონენტი უსვამს ხაზს – "ჟალგირისის" მოთამაშეები ცინცაძეზე 11-ჯერ დაჯარიმდნენ. მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო ვიქტორ სანიკიძე. მან 21 წუთი ითამაშა და 8 ქულას 3 მოხსნა მიამატა.

8 ტურის შემდეგ, ბალტიის ლიგაზე "როკს" 4-4 მოგება-წაგება აქვს და მე-7 ადგილზეა. იგი ბალტიის თასზე მორიგ მატჩს 6 დეკემბერს გამართავს – თანამემამულე "კალევს" უმასპინძლებს. მანამდე ცინცაძესა და სანიკიძეს ევროჩელენჯის მატჩი ელით: 2 დეკემბერს ტარტუში იტალიური "ვირტუსი" ჩადის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარლამენტო მოსმენებისთვის!

# შეგახსენებთ: მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდასა და ბავშვთა სპორტში საგანგაშო მდგომარეობაა




„ლელოს“ გუშინდელ ნომერში პირველად ვახსენეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული "ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის". ამ დოკუმენტში სოლიდურადაა წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდა ცალკე განყოფილებაში. თუ რა წერია შესავალში გუშინ გაეცანით. ახლა ვნახოთ, რა მიზანს ისახავს სასწავლო გეგმა ამ კუთხით. მაშ ასე:

„ფიზიკური აღზრდის ძირითადი მიზანია, მოზარდმა გააცნობიეროს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენს:

- **ფიზიკური კულტურა და სპორტი;**
- **აქტიური შრომა და დასვენება;**
- **რაციონალური კვება;**
- **პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა;**
- **მავნე ჩვევებზე უარის თქმა;**
- **ადამიანებთან ურთიერთობა, თანაცხოვრების პრინციპების დაცვა, უმწეოთა მიმართ თანაგრძნობა.**

ფიზიკურ აღზრდას, როგორც სასწავლო დისციპლინას სკოლის სამივე (დაწყებითი საბაზო და საშუალო) საფეხურზე თავისი სპეციფიკა გააჩნია"...

ამის შემდეგ I-VI, VII-IX და X-XII კლასების მიხედვით გაწერილია სასწავლო გეგმა მუშაობის მეთოდების მითითებით. მოკლედ, ყველაფერი დიდებულადაა ერთი გარემოების გარდა. ის, რაც სახელმძღვანელო დოკუმენტში ქაღალდზე წერია, პრაქტიკულად არ ინერგება. ზემოხსენებული სამივე საფეხურის სკოლაში მუშაობა უკეთეს შემთხვევაში თვითდინებაზეა მიშვებული, უარესში - ნულის ტოლია.

ახლა ვნახოთ, რას გვეუბნება „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ". თავი მეოთხე, მუხლი 12.2. „სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფიზიკური მომზადების ნორმატივების საფუძველზე სასწავლო დაწესებულება ადგილობრივი პირობებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობის ჩატარების ფორმებს, მეთოდებსა და ხანგრძლივობას (არანაკლებ 4 საათისა კვირაში...)

12.3. ფიზიკურად არაჯანსაღთათვის მეცადინეობა ტარდება რეაბილიტაციის ფარგლებში.

12.4. ყველა სასწავლო დაწესებულებაში, პროფილისა და საკუთრების ფორმის განურჩევლად, სპორტი შედის ერთიან სასწავლო პროგრამაში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად."

როგორც ხედავთ, საკანონმდებლო ბაზის არქონა-ნაკლებობას ვერავინ დაიჩივლებს. მაშ რა ხდება? საიდან მოდის ინერტულობა?..

იმედია, ამ და სხვა კითხვებს პასუხი მალე გაეცემა, რადგან საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი (თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე**) უკვე სერიოზულად შეუდგა ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში თავჩენილი პრობლემის შესწავლას.

რაგბი — მსოფლიო თასის წილისყრა

# საქართველო B ან C ჯგუფში მოხვდება




IRB-იმ ლონდონში, 2011 წელს ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის გათამაშების წილისყრა გამართა. შეჯიბრების 12 მონაწილე გუნდის ვინაობა საფრანგეთში ჩატარებული მსოფლიო თასის შედეგების მიხედვით გაირკვა. ისინი რეიტინგის მიხედვით სამ კალათაში გადანაწილდნენ. დანარჩენი რვა გუნდის ვინაობას, როგორც ცნობილია, კონტინენტალური შესარჩევი ტურნირები გაარკვევენ.

საქართველოს ნაკრები ზელანდიაში ასპარეზობის უფლებას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ერთა თასის 2009-10 წლების გათამაშებაში პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებს. არის კიდევ მესამე ვარიანტიც. ერთა თასის მესამე გუნდი ამერიკის მესამე გუნდს შეხვდება პლეი ოფში და გამარჯვების შემთხვევაში ზელანდიაში გაემგზავრება.

წილისყრამ ისე ინება, რომ ევროპის პირველი და პლეი ოფში გამარჯვებული ანუ მესამე გუნდი, B ჯგუფში მოხვდება ინგლისის, არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებ გუნდებთან.

ერთა თასის მეორეადგილოსანი კი C ჯგუფში აღმოჩნდება ავსტრალიის, ირლანდიის, იტალიის და ამერიკის მეორე გუნდთან, სავარაუდოდ, აშშ-ის ნაკრებთან.

**მსოფლიო თასის წილისყრა:**

A ჯგუფი: **ზელანდია, საფრანგეთი, ტონგა, ამერიკა1 (კანადა), აზია1 (იაპონია).**

B ჯგუფი: **ინგლისი, არგენტინა, შოტლანდია, ევროპა1, პლეი ოფი.**

C ჯგუფი: **ავსტრალია, ირლანდია, შოტლანდია, ევროპა 2, ამერიკა 2 (აშშ).**

D ჯგუფი: **ს.აფრიკა, უელსი, ფიჯი, ოკეანეა (სამოა), აფრიკა 1 (ნამიბია).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები



# მაჩხანელის პირველი აჟენური ლელო

საფრანგეთი. სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გამართულ მე-12 ტურის შეხვედრებში, შვიდიდან ხუთ მატჩში გამარჯვებას სტუმრებმა მიაღწიეს. პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი საპლეიოფო ხუთეულის მახლობლად განლაგდა.

დღესდღეობით საუკეთესო მაჩვენებელი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს“ აქვს, რომელიც 31 ქულით მეხუთე ადგილზეა. ვულკანებმა მე-12 ტურში გასვლითი შეხვედრა გამართეს აუტსაიდერ „მონ დე მარსანთან“ და მოულოდნელად მარცხი იწვნიეს მინიმალური ანგარიშით - 11:12. ზირაქაშვილი თამაშში 44-ე წუთიდან ჩაერთო.

„კლერმონს“ სამი ქულით ჩამორჩება **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი“, რომელმაც სტუმრად მოუგო **მამუკა გორგოძის** „მონპელიეს“ - 22:9. გორგოძემ რვა ნომრის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე ითამაშა. ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო. „მონპელიეს“ 27 ქულა დაუგროვდა და მეშვიდე ადგილზეა.

ერთი ქულით მეტი აქვს **გოდერძი შველიძის** „მონტობანს“. ჩვენებურის გუნდი შინ დამარცხდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ, კატალონიურ „პერპინიანთან“ - 6:9. შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.

სტუმრად გაიმარჯვა ასევე მოულოდნელად **დავით ქუბრიაშვილისა** და **გია ლაბაძის** „ტულონთან“ დაპირისპირებაში **ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა“ 13:6. ლაბაძე და გიორგაძე განაცხადში არ იყვნენ. ქუბრიაშვილი კი, თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

აუტსაიდერთა შორისაა **აქსენტი გიორგაძის** „კასტრი“. კასტრელებმა მე-12 ტურში საკუთარ მოედანზე მიიღეს „ბურგუენი“ და 9:23 წააგეს. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთი. I დივიზიონი. XII ტური: **ტულუზი-ბაიონი 32:11, ტულონი-დაქსი 6:13, კასტრი-ბურგუენი 9:23, მონტობანი-პერპინიანი 6:9, მონ დე მარსანი-კლერმონი 12:11, ბიარიცი-სტად ფრანსე 13:32, მონპელიე-ბრივი 9:22.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 43 ქულა, 2. სტად ფრანსე - 40, 3. პერპინიანი - 39, 4. ბაიონი - 37, 5. კლერმონი - 31, 6. ბრივი - 28, 7. მონტობანი - 28, 8. მონპელიე - 27, 9.დაქსი - 25, 10. ბიარიცი - 24, 11. ტულონი - 20, 12. ბურგუენი - 20, 13. კასტრი - 18, 14. მონ დე მარსანი -15.**

მეორე დივიზიონში სატურნირო ცხრილს სათავეში ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდების დუეტი, „ორიაკი“ და „მეტრო რასინგი“ უდგას. მეთერთმეტე ტურში **მალხაზ ურჯუკაშვილის, გიორგი ჟღენტისა** და **ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა“ შინ „გრენობლს“ უმასპინძლა და 29:22 დაამარცხა. ურჯუკაშვილი და დათუნაშვილი განაცხადში არ იყვნენ. ჟღენტი თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

შინ გაიმარჯვა „ალბისთან“ დაპირისპირებაში **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმაც“ - 22:9. ჩხაიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია საკუთარ მოედანზე **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიესთან“ **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენმა“ 36:17. კოპალიანი და ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყვნენ. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და 33-ე წუთზე მეტოქეს ლელო გაუტანა. „აჟენს“ ახლა 28 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა.

საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა „ოშთან“ შეხვედრაში **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა“ - 26:12. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს. სტუმრად დამარცხდა „ბორდოსთან“ **დავით აშვეთიას** „იიონაქსი“ - 9:15. აშვეთია თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით - 14:13 დაამარცხა **გურამ კავთიძის** „ლიონმა“ **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი“. კავთიძე განაცხადში არ იყო. კუთარაშვილი თამაშში მე-40 წუთიდან ჩაერთო და 56-ე წუთზე ათი წუთით გააძევეს.

II დივიზიონი. XI ტური. **აჟენი-კოლომიე 36:17, ორიაკი-გრენობლი 29:22, პო-ბურგ ან ბრესი 35:3, ბორდო-იიონაქსი 15:9, ლიონი-ნარბონი 14:13, ლა როშელი-ბეზიე 33:9, ტარბი-ოში 26:12, მეტრო რასინგი-ალბი 22:9.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ორიაკი - 40 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 39, 3. ლა როშელი - 35, 4. ალბი - 32, 5. პო - 29, 6. აჟენი - 28, 7. იიონაქსი - 27, 8. გრენობლი - 27, 9. ლიონი - 26, 10. ტარბი - 23, 11. ნარბონი - 23, 12. ოში - 22, 13. ბორდო - 22, 14. კოლომიე - 17, 15. ბეზიე - 12, 16. ბურგ ან ბრესი - 11.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ოკეანის გაღმა



ზაზა ფაჩულია მზარეულის ამპლუაში

# ზაზა და მადლიერება

ამერიკელთა დღესასწაულ მადლიერების დღესთან დაკავშირებით "ატლანტა ჰოქსმა" მცირე ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. **ზაზა ფაჩულიას** თანაგუნდელებმა ატლანტას ერთ-ერთი სკოლის ბავშვებთან ერთად "მაკდონალდსს" მიაშურეს. კალათბურთელებმა პატარებისთვის გემრიელი კერძები მოამზადეს და თავადაც გემრიელად მიირთვეს. გვერდით მდებარე ფოტო სწორედ ამ ღონისძიებაზეა გადაღებული.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დეტროიტს კვირა არ უყვარს



"დეტროიტისა" და "პორტლენდის" მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე "პისტონზის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკლ კარიმ** განაცხადა: *"ერთადერთი ისღა დამრჩენია, რომ ლიგის ხელმძღვანელობას თხოვნით მივმართო – კვირაობით აღარ დანიშნოს "დეტროიტის" მატჩები"*. მწვრთნელმა იხუმრა, მაგრამ ფაქტია, რომ "პისტონზმა" ზედიზედ მეოთხე კვირადღეს დატოვა მოედანი დამარცხებულმა. ამჯერად, NBA-ის სამგზის ჩემპიონს წირვა გამოუყვანა "პორტლენდის" ახალგაზრდულმა შემადგენლობამ და თან ეს განსაკუთრებული ცინიზმით გააკეთა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ სტუმრების სასტარტო ხუთეულმა მეტოქის ძირითადის კალათბურთელები სამარცხვინო ანგარიშით – 74:52 დაამარცხა!

**ნეიტ მაკმილანის** გუნდში **როის, ოლდრიჯისა** და **ოდენის** გარდა, აუცილებლად უნდა გამოვყოთ **რუდი ფერნანდესი**. ესპანელს ჯერჯერობით ჩემპიონატის ყველა 18 შეხვედრაში მინიმუმ თითო სამქულიანი აქვს ჩაგდებული. ბოლო 15 სეზონია, ასეთი შედეგი მხოლოდ ორ დებიუტანტს აქვს დაფიქსირებული.

"დეტროიტის" ტრადიციული ლიდერები კი მეტოქის შეთავაზებულ ტემპს ვერ აჰყვნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ სასტარტო მეოთხედში მასპინძლებმა პირველი ცხრა შეტევიდან რვა უშედეგოდ დაასრულეს. ინიციატივის ხელში აღება ვერც უკანახაზელებმა (**აივერსონმა** ცხრა ცდიდან მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო) შეძლეს და ვერც "პისტონზის" მაღლებმა. ამ მატჩში მიჩიგანელთა პრობლემებზე ნათლად მეტყველებს ერთი ასეთი ფაქტი: როგორც წესი, **ტაიშონ პრინსი** მოედანზე 30-35 წუთს ატარებს ხოლმე, ამჯერად კი მხოლოდ 22 წუთი დაყო მოედანზე. *"საშინლად თამაშობდა და მისი შეცვლა მომიხდა"*, - ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება კარიმ...

## საღამოს გმირი: დევინ ჰარისი

"ნიუ ჯერსის" გამთამაშებელმა არიზონელ მეტოქეს მეორე მტკივნეული მარცხი აგემა. ერთი დღით ადრე, "მაიამის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა** "ფინიქს სანზს" 43 ქულა ჩაუგდო, გუშინ კი "ნეტსის" მცველის მონაგარმა 47 (!) ქულა შეადგინა. ამით ჰარისმა შედეგიანობის პირადი რეკორდი გააუმჯობესა, რომელიც მანამდე 38 ქულას უდრიდა. "ფინიქსის" წინააღმდეგ **დევინმა** 25 "ცოცხალი" ტყორცნა შეასრულა და 14 ჩააგდო, 17 ჯარიმის სროლისას კი არც ერთი (!) შეცდომა არ დაუშვია.

"ნეტსის" დამრიგებელმა **ლოურენს ფრენკმა** კარიერაში მე-200 გამარჯვება იზეიმა, "სანზმა" კი პირველად წააგო მატჩი, რომელშიც 100 ქულაზე მეტის დაგროვება შეძლო.

## ტურის გმირი: რონ არტესტი

**კარმელო ენტონის** ტრავმის შემდეგ, **რიკ ადელმანის** ბიჭებს არ უნდა გასჭირვებოდათ "დენვერის" დამარცხება, მაგრამ, როგორც ჩანს, "ჰიუსტონი" ზედმეტმა თვითდაჯერებულობამ დაღუპა. "როკეტსის" რიგებში ყველაზე სუსტად **რონ არტესტი** გამოიყურებოდა, რომელმაც 18-დან მხოლოდ 5 ტყორცნა შეასრულა ზუსტად. **იაო მინი** პირველიდან ბოლო წამებამდე **ნენეს, მარტინისა** და **ანდერსონის** მარწუხებში მოექცა, წინა ტურის გმირმა **ჰედმა** კი საერთოდ, ცხრა "გასროლიდან" მხოლოდ ერთი მოათავსა მიზანში. ამიტომაც, ეჭვი აღარავის შეჰპარვია "დენვერის" დამსახურებულ გამარჯვებაში.

## ტურის ციფრი: 15

სწორედ 15 წელი ვერ ახერხებდა "ფინიქსის" სტუმრად დამარცხებას "ნიუ ჯერსი ნეტსი". ახლა კი დევინ ჰარისის ძალისხმევით, შეწყდა ლიგის ისტორიაში ხანგრძლივობის მიხედვით მეხუთე სერია.

"ფინიქსმა" თავი იმით უნდა დაიმშვიდოს, რომ **სტივ ნეში** შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (6917) **გაი როჯერსს** გაუტოლდა და ახლა ყველა დროის სიაში მე-14 ადგილს იკავებს.

## ტურის ფრაზა

*"ადგილობრივ გაზეთში ვიღაცამ დაწერა, რომ კობის 38 ქულა ჰყოფნის იმისთვის, რათა გახდეს ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, ვისაც კარიერაში 22 ათასი ქულა ექნება დაგროვილი. თანაც ავტორმა ისიც გაიხსენა, რომ ბრაიანტს თვით უილტ ჩემბერლენის რეკორდის გაუმჯობესება შეეძლო... ამ პუბლიკაციამ ძალიან გამაბრაზა: რეკორდზე ფიქრის გამო, კობის შესაძლოა მთელი თამაში გაეფუჭებინა ჩვენთვის"*, - ამბობდა "ტორონტოსთან" მატჩის შემდეგ **ფილ ჯექსონი**. მაგრამ "ლეიკერსის" მთავარ მწვრთნელს ნერვიულობის საბაბი არ გასჩენია – კალიფორნიელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს "რეპტორზი". ცნობისთვის, რეკორდი არ შედგა: როგორც კი მატჩის ბედი გაირკვა, ფილმა თავისი გუნდის ლიდერი სათადარიგოთა სკამზე დასვა. ჩემბერლენის შედეგის გამეორებამდე კობის 16 ქულა დააკლდა...

**დეტროიტი-პორტლენდი 85:96**

13:25, 29:25, 22:20, 21:26

**დ:** ჰემილტონი (18), სტაკი (15+6 მოხსნა+5 პასი), რ. უოლასი (11), პრინსი (10), ა. ჯონსონი (8+8 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (27), როი (19+5 პასი), ოდენი (11+13 მოხსნა+3 დაფარება), ბლეიკი (10+7 პასი), ბატუმი (7+7 მოხსნა).

**ფილადელფია-ჩიკაგო 92:103**

34:24, 21:28, 11:31, 26:20

**ფ:** ბრენდი (21+12 მოხსნა), ტ. იანგი (17), ა. მილერი (15+10 პასი+3 ჩაჭრა), გრინი (12), იგუოდალა (8+6 პასი), სპეიტსი (6+7 მოხსნა).

**ჩ:** გორდონი (21), როუზი (18+10 პასი), გუდენი (20+12 მოხსნა), ჰიუზი (16).

**დენვერი-ჰიუსტონი 104:94**

21:21, 27:23, 30:22, 26:28

**დ:** ბილაპსი (28+10 პასი), სმიტი (19), ნენე (17+10 მოხსნა), მარტინი (15+4 დაფარება).

**ჰ:** იაო მინი (18+11 მოხსნა+3 დაფარება), ალსტონი (16+6 პასი+3 ჩაჭრა), ბრუკსი (15), არტესტი (13).

**ფინიქსი-ნიუ ჯერსი 109:117**

35:24, 27:32, 23:18, 24:43

**ფ:** ნეში (26+9 პასი), სტაუდმაიერი (25+12 მოხსნა), ბარნსი (18+8 მოხსნა), ბელი (13).

**ნ-ჯ:** ჰარისი (47+7 მოხსნა+8 პასი), კარტერი (28), იი იანლიანი (14), ბ. ლოპესი (12+7 მოხსნა).

**ლეიკერსი-ტორონტო 112:99**

32:27, 29:24, 29:30, 22:18

**ლ:** პ. გასოლი (24+9 მოხსნა), ბრაიანტი (23+7 პასი), ბინუმი (18+10 მოხსნა), არიზა (14), ოდომი (3+10 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა).

**ტ:** ე. პარკერი (19), ბარნიანი (14+11 მოხსნა+4 დაფარება), კალდერონი (12+12 პასი), ბოში (12), მუნი (11+3 ჩაჭრა), კაპონო (11).

ახალი ამბები

# ნიქსი ნეშსაც უმიზნებს

ამერიკული პრესა კიდევ ერთ მოსალოდნელ ტრანსფერზე საუბრობს, რომელშიც „ნიუ იორკ ნიქსი" მიიღებს მონაწილეობას. როგორც ჟურნალისტები ამტკიცებენ, ამ გუნდში „ფინიქს სანზის" ძირითადი გამთამაშებლის **სტივ ნეშის** გადასვლა დროის საკითხია და „ნიუ იორკის" მთავარი მწვრთნელი **მაიკ დ'ენტონი** თავის საყვარელ კალათბურთელს ჯერ კიდევ 2010 წლამდე მიიღებს.

სხვათა შორის, ნეშს ნიუ-იორკში საკუთარი სახლი აქვს. ის ამ ქალაქში სეზონებს შორის არდადეგებს ატარებს და მანჰეტენის საფეხბურთო ლიგაში თამაშობს. ნეშმა ისიც აღიარა, რომ ეს ქალაქი მას, როგორც კულტურული ცენტრი აინტერესებს და აქ კინოს გადაღების სურვილიც აქვს.

შეგახსენებთ, რომ მაიკ დ'ენტონი და ნეში რამდენიმე წელი „ფინიქსში" თანამშრომლობდნენ.

# ნეტსის ჩინელი გადაკეთებული პასპორტით თამაშობს

ჩინეთის სპორტის სამინისტრომ 22 კალათბურთელი გამოავლინა, რომლებსაც დაბადების თარიღი აქვთ გადაკეთებული.

ქვეყნის კალათბურთის ასოციაციამ ამ მოთამაშეების დაბადების თარიღები პოლიციის საარქივო მონაცემებს შეადარა, რის შემდეგაც სპორტსმენებმა აღიარებითი ჩვენება მისცეს ასოციაციის ოფიციალურ წარმომადგენლებს.

თითქმის ყველა მხილებული მოთამაშე სინამდვილეში ოთხი წლით უფროსი ყოფილა. გადაკეთებული დოკუმენტების მქონე ზოგიერთი კალათბურთელი ჩინეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა და სავარაუდოდ, ამ გუნდს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ნაჩვენებ შედეგებს გააუქმებენ.



ყველაზე ცნობილი ჩინელი კალათბურთელი, რომელიც დაბადების თარიღის გაყალბებაშია ეჭვმიტანილი, „ნიუ ჯერსი ნეტსის" ფორვარდი **იი იანლიანი** გახლავთ. როგორც აღმოჩნდა, ის 1984 წელს ყოფილა დაბადებული და არა 1987-ში, როგორც ეს დოკუმენტებშია მითითებული.

ადრე, დოკუმენტების გაყალბებაში ეჭვმიტანილნი იყვნენ ჩინეთის სპორტული ტანვარჯიშის ქალთა ნაკრების წევრები, რომლებმაც პეკინის ოლიმპიადაზე გუნდურ პირველობაში ოქროს მედალი მოიპოვეს. მაშინ საქმის გარჩევა თვე-ნახევარი გაგრძელდა, მაგრამ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ ვერ იპოვა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ოლიმპიადის დროს ჩინელი ტანმოვარჯიშეები 16 წელზე ნაკლები ასაკისა იყვნენ. ტანვარჯიშის წესებით, 16 წლამდე ტანმოვარჯიშეს ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება არ აქვს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## დეკემბრის კალენდარი

**1 დეკემბერი**
გოლდენ სტეიტი-მაიამი
ბოსტონი-ორლანდო
შარლოტი-მინესოტა

**2 დეკემბერი**
სან ანტონიო-დეტროიტი
დენვერი-ტორონტო
დალასი-კლიპერსი
ინდიანა-ლეიკერსი
ნიუ იორკი-პორტლენდი
ჩიკაგო-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
საკრამენტო-იუტა

**3 დეკემბერი**
მილუოკი-ჩიკაგო
ბოსტონი-ინდიანა
ჰიუსტონი-კლიპერსი
ფილადელფია-ლეიკერსი
ნიუ ორლეანი-ფინიქსი
ვაშინგტონი-პორტლენდი
იუტა-მაიამი
კლივლენდი-ნიუ იორკი
ორლანდო-მინესოტა
ატლანტა-მემფისი
შარლოტი-ოკლაჰომა

**4 დეკემბერი**
დალასი-ფინიქსი
დენვერი-სან ანტონიო

**5 დეკემბერი**
კლივლენდი-ინდიანა
იუტა-ტორონტო
ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი
მემფისი-კლიპერსი
ვაშინგტონი-ლეიკერსი
ბოსტონი-პორტლენდი
ატლანტა-ნიუ იორკი
დეტროიტი-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-მინესოტა
ორლანდო-ოკლაჰომა
მილუოკი-შარლოტი

**6 დეკემბერი**
დალასი-ატლანტა
შარლოტი-კლივლენდი
სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი
მინესოტა-კლიპერსი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-ვაშინგტონი
საკრამენტო-დენვერი
ფინიქსი-იუტა
ნიუ ორლეანი-მემფისი
მაიამი-ოკლაჰომა

**7 დეკემბერი**
ნიუ იორკი-დეტროიტი
ლეიკერსი-მილუოკი
ტორონტო-პორტლენდი
ინდიანა-ბოსტონი

**8 დეკემბერი**
ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი
კლიპერსი-ორლანდო
მემფისი-ჰიუსტონი
მაიამი-შარლოტი

**9 დეკემბერი**
ჰიუსტონი-ატლანტა
ვაშინგტონი-დეტროიტი
ფინიქსი-მილუოკი
კლივლენდი-ტორონტო
საკრამენტო-ლეიკერსი
ჩიკაგო-ნიუ იორკი
პორტლენდი-ორლანდო
დალასი-სან ანტონიო
მინესოტა-იუტა

**10 დეკემბერი**
სან ანტონიო-ატლანტა
ფილადელფია-კლივლენდი
ტორონტო-ინდიანა
გოლდენ სტეიტი-მილუოკი
ლეიკერსი-ფინიქსი
ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი
დენვერი-მინესოტა
ოკლაჰომა-მემფისი
ნიუ ორლეანი-შარლოტი

**11 დეკემბერი**
იუტა-პორტლენდი
ვაშინგტონი-ბოსტონი
დალასი-შარლოტი

**12 დეკემბერი**
მემფისი-ჩიკაგო
ბოსტონი-ნიუ ორლეანი
მაიამი-ატლანტა
დეტროიტი-ინდიანა
ნიუ ჯერსი-ტორონტო
პორტლენდი-კლიპერსი
ლეიკერსი-საკრამენტო
ფინიქსი-ორლანდო
კლივლენდი-ფილადელფია
გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი
მინესოტა-სან ანტონიო

**13 დეკემბერი**
ატლანტა-კლივლენდი
შარლოტი-დეტროიტი
მილუოკი-ინდიანა
დენვერი-გოლდენ სტეიტი
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
საკრამენტო-ნიუ იორკი
იუტა-ორლანდო
ფილადელფია-ვაშინგტონი
კლიპერსი-ჰიუსტონი
დალასი-ოკლაჰომა

**14 დეკემბერი**
ტორონტო-ნიუ ორლეანი
მემფისი-მაიამი
ლეიკერსი-მინესოტა
სან ანტონიო-ოკლაჰომა

**15 დეკემბერი**
ვაშინგტონი-ინდიანა
მაიამი-მილუოკი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ფინიქსი-ნიუ იორკი
გოლდენ სტეიტი-ორლანდო
დალასი-დენვერი
საკრამენტო-მინესოტა
ბოსტონი-იუტა
ატლანტა-შარლოტი

**16 დეკემბერი**
შარლოტი-ჩიკაგო
მემფისი-ნიუ ორლეანი
ოკლაჰომა-კლიპერსი
პორტლენდი-საკრამენტო
ლეიკერსი-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-დენვერი

**17 დეკემბერი**
მინესოტა-კლივლენდი
ფილადელფია-მილუოკი
ინდიანა-გოლდენ სტეიტი
ჩიკაგო-კლიპერსი
ატლანტა-ბოსტონი
დეტროიტი-ვაშინგტონი
ტორონტო-დალასი
ნიუ ორლეანი-სან ანტონიო
ნიუ ჯერსი-იუტა

**18 დეკემბერი**
პორტლენდი-ფინიქსი
ორლანდო-სან ანტონიო

**19 დეკემბერი**
ბოსტონი-ჩიკაგო
დენვერი-კლივლენდი
ნიუ იორკი-მილუოკი
ოკლაჰომა-ტორონტო
ატლანტა-გოლდენ სტეიტი
ინდიანა-კლიპერსი
მაიამი-ლეიკერსი
ჰიუსტონი-საკრამენტო
ვაშინგტონი-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-დალასი
დეტროიტი-იუტა
მემფისი-შარლოტი

**20 დეკემბერი**
ფილადელფია-ინდიანა
სან ანტონიო-ტორონტო
შარლოტი-გოლდენ სტეიტი
მილუოკი-კლიპერსი
ორლანდო-ლეიკერსი
ნიუ ორლეანი-საკრამენტო
ნიუ ჯერსი-მაიამი
ფინიქსი-დენვერი
მინესოტა-ჰიუსტონი
ჩიკაგო-იუტა

**21 დეკემბერი**
ოკლაჰომა-კლივლენდი
ატლანტა-დეტროიტი
ბოსტონი-ნიუ იორკი
ვაშინგტონი-დალასი

**22 დეკემბერი**
კლიპერსი-ტორონტო
ორლანდო-გოლდენ სტეიტი
მემფისი-ლეიკერსი
დენვერი-პორტლენდი
სან ანტონიო-საკრამენტო
ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი

**23 დეკემბერი**
დეტროიტი-ჩიკაგო
მაიამი-გოლდენ სტეიტი
ნიუ ორლეანი-ლეიკერსი
ინდიანა-ნიუ ჯერსი
ბოსტონი-ფილადელფია
შარლოტი-ვაშინგტონი
პორტლენდი-დენვერი
კლივლენდი-ჰიუსტონი
სან ანტონიო-მინესოტა
მილუოკი-იუტა
დალასი-მემფისი
ატლანტა-ოკლაჰომა

**25 დეკემბერი**
ორლანდო-ნიუ ორლეანი
ლეიკერსი-ბოსტონი
კლივლენდი-ვაშინგტონი
პორტლენდი-დალასი
ფინიქსი-სან ანტონიო

**26 დეკემბერი**
მაიამი-ჩიკაგო
მემფისი-ინდიანა
საკრამენტო-ტორონტო
გოლდენ სტეიტი-ბოსტონი
დენვერი-ფილადელფია
იუტა-დალასი
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
ნიუ იორკი-მინესოტა
დეტროიტი-ოკლაჰომა
ნიუ ჯერსი-შარლოტი

**27 დეკემბერი**
ატლანტა-ჩიკაგო
მილუოკი-დეტროიტი
პორტლენდი-ტორონტო
შარლოტი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-ორლანდო
ჰიუსტონი-იუტა
სან ანტონიო-მემფისი
ვაშინგტონი-ოკლაჰომა

**28 დეკემბერი**
ინდიანა-ნიუ ორლეანი
ლეიკერსი-გოლდენ სტეიტი
საკრამენტო-ბოსტონი
კლივლენდი-მაიამი
კლიპერსი-დალასი
ნიუ იორკი-დენვერი

**29 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო
გოლდენ სტეიტი-ტორონტო
ოკლაჰომა-ფინიქსი
დეტროიტი-ორლანდო
იუტა-ფილადელფია
ჰიუსტონი-ვაშინგტონი
ატლანტა-დენვერი
მინესოტა-მემფისი

**30 დეკემბერი**
ინდიანა-ატლანტა
მაიამი-კლივლენდი
სან ანტონიო-მილუოკი
საკრამენტო-კლიპერსი
მემფისი-ფინიქსი
პორტლენდი-ბოსტონი
შარლოტი-ნიუ იორკი
ნიუ ორლეანი-ვაშინგტონი
დალასი-მინესოტა

**31 დეკემბერი**
ჰიუსტონი-მილუოკი
ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-ორლანდო
კლიპერსი-ფილადელფია
ტორონტო-დენვერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1

# დიდი ცირკი გერმანიის გარეშე

პირველად უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, გერმანია, შესაძლოა, ფორმულა 1-ის ეროვნული გრანპრის გარეშე დარჩეს. დღეს ორი გერმანული ტრასა რიგრიგობით მასპინძლობს ფორმულის ერთ-ერთ ყველაზე ძველ ეტაპს. გაისად, გერმანიის გრანპრი "ნიურბურგრინგზე" უნდა გაიმართოს, 2010 წელს - "ჰოკენჰაიმზე". სწორედ ამ ტრასასთან დაკავშირებით შეიქმნა პრობლემები. კერძოდ, ბადენ-ვიურტემბერგის მიწის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ ფინანსური კრიზისის გამო არ შეუძლიათ გრანპრის დაფინანსება.



"2008 წელს გამართულმა ეტაპმა სერიოზული ფინანსური ზარალი მოგვიტანა – ლაპარაკია დაახლოებით 5.3 მილიონ ევროზე. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ადგილობრივი მთავრობა არ აპირებს ამ ზარალის ანაზღაურებას. მე ვიცი, რომ "ნიურბურგრინგზეც" აქვთ ანალოგიური პრობლემები. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ გარედან დაფინანსების დაკარგვის შემთხვევაში, ჩვენი ხარჯებით ვერ შევძლებთ რბოლის გამართვას. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა პირობებს წამოგვიყენებს ჩემპიონატის ხელმძღვანელობა, თუმცა სუბსიდირების გარეშე, პრობლემა მეტად მწვავედ დგას დღის წესრიგში. თუ ორი წლის შემდეგ გერმანია დატოვებს ფორმულა 1-ს, ჩათვალეთ, რომ სულ მალე სხვა ევროპულ ეტაპებსაც აზიაში გადაიტანენ", - ამბობს "ჰოკეინჰაიმის" დირექტორი **კარლ-იოზეფ შმიდტი**.

გერმანული სააგენტო DPA-ის ჟურნალისტებმა "ნიურბურგრინგის" პრესოფისს მიაშურეს და იმის გაგება სცადეს, "ჰოკენჰაიმის" უარის შემთხვევაში, შეძლებს თუ არა ეს ტრასა 2010 წლის ეტაპის მასპინძლობას, რაზეც "ნიურბურგრინგის" გენერალურმა დირექტორმა **უოლტერ კაფიცმა** უპასუხა: "არა, ჩვენ არ გვაქვს ასეთი ფუფუნების საშუალება".

თუ 2010 წლის კალენდრის შედგენის პროცესში ამ პრობლემის მოგვარების გზები არ მოიძებნა, ჩემპიონატს გერმანიის გრანპრი დატოვებს, არადა დღეისთვის ფორმულა 1-ში ოთხი გერმანელი პილოტი და ამ ქვეყნის ორი მსხვილი ავტოკონცერნი – "მერსედესი" და BMW მონაწილეობს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი

### NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-ფლორიდა 0:4**

0:0, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 პელტონენი-3 (დვორაკი-5, სკრასტინსი-2), 0:2 უეისი-3 (ფროლიკი-2, მაკეიბი-7), 0:3 გ. კემპბელი-4 (დვორაკი-6, ბოუმისტერი-11), 0:4 ფროლიკი-2 (უეისი-11, სკრასტინსი-3).

**ატლანტა-სენტ ლუისი 2:4**

2:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ბეკსი-4 (კრომბინი-5, ვოივიტკა-3), 1:1 კ. არმსტრონგი-4 (ჰეინსი-10), 2:1 ჰაველიდი-1 (ვიაჩ. კოზლოვი-9, ტ. უაიტი-14), 2:2 ტკაჩუკი-11 (ბრიუერი-4, ბერგლუნდი-6), 2:3 ბოიესი-12 (კოლაიაკოვო-2, ვოივიტკა-4), 3:3 მაკლემანი-1 (ბოიესი-8).

**დალასი-ედმონტონი 4:3**

2:0, 0:1, 2:2

**გოლები:** 1:0 რიბეირო-3 (მოდანო-8, ბ. რიჩარდსი-14), 2:0 პეტერსენი-1 (ნისკანენი-2, კონერი-1), 2:1 ჰემსკი-7 (ჰორკოფი-10, სურეი-9), 2:2 ბროძიაკი-3 (სურეი-10, მორო-6), 3:2 ეიჯერი-3 (ნილი-3, დელეი-6), 3:3 ბროძიაკი-4 (სურეი-11), 4:3 მოდანო-9 (ბ. რიჩარდსი-15, ლ. ერიქსონი-8).

**კაროლინა-ანაჰაიმი 1:4**

1:1, 0:0, 0:3

**გოლები:** 0:1 გეტცლაფი-10 (რაიანი-4), 1:1 კულენი-6 (ივსი-4, ბაიდა-5), 1:2 სელიანე-13 (პრონგერი-12, გეტცლაფი-20), 1:3 რ. ნიდერმაიერი-4 (მოენი-5, მორისონი-4), 1:4 რ. ნიდერმაიერი-5 (გეტცლაფი-21, ს. ნიდერმაიერი-10).

### დეკემბრის კალენდარი

**1 დეკემბერი**
ბაფალო-ნეშვილი
კოლამბუსი-ვანკუვერი
დეტროიტი-ანაჰაიმი
მინესოტა-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ტორონტო

**2 დეკემბერი**
ფილადელფია-ტამპა ბეი
ვაშინგტონი-ფლორიდა
მონრეალი-ატლანტა
კალგარი-დალასი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ტორონტო

**3 დეკემბერი**
ოტავა-ატლანტა
რეინჯერსი-პიტსბურგი
მინესოტა-სენტ ლუისი
ჩიკაგო-ანაჰაიმი
ედმონტონი-დალასი

**4 დეკემბერი**
მონრეალი-რეინჯერსი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-აილენდერსი
კაროლინა-პიტსბურგი
ტამპა ბეი-ბოსტონი
ფლორიდა-ბაფალო
დეტროიტი-ვანკუვერი
ნეშვილი-კოლორადო
ფინიქსი-ტორონტო
სან ხოსე-კოლამბუსი

**5 დეკემბერი**
მინესოტა-ვანკუვერი
სენტ ლუისი-კალგარი
დალასი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ედმონტონი

**6 დეკემბერი**
ტორონტო-ვაშინგტონი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
ოტავა-პიტსბურგი
აილენდერსი-ატლანტა
კაროლინა-ფილადელფია
ფლორიდა-ბოსტონი
დეტროიტი-ჩიკაგო
ტამპა ბეი-ბაფალო
ნეშვილი-მინესოტა
სენტ ლუისი-ფინიქსი
სან ხოსე-ედმონტონი
ლოს ანჯელესი-კოლამბუსი

**7 დეკემბერი**
კაროლინა-ვაშინგტონი
რეინჯერსი-კალგარი
ჩიკაგო-ფინიქსი
კოლორადო-ვანკუვერი
ანაჰაიმი-კოლამბუსი

**8 დეკემბერი**
ბოსტონი-ტამპა ბეი
ტორონტო-აილენდერსი
ოტავა-ფლორიდა
პიტსბურგი-ბაფალო
სენტ ლუისი-ნეშვილი

**9 დეკემბერი**
ფილადელფია-აილენდერსი
მონრეალი-კალგარი
ნეშვილი-ვანკუვერი

**10 დეკემბერი**
ბაფალო-ტამპა ბეი
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
ვაშინგტონი-ბოსტონი
ატლანტა-რეინჯერსი
დეტროიტი-კალგარი
ჩიკაგო-ოტავა
დალასი-ფინიქსი
კოლორადო-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-სენტ ლუისი

**11 დეკემბერი**
ფილადელფია-კაროლინა
კოლამბუსი-ნეშვილი
მონრეალი-ტამპა ბეი
პიტსბურგი-აილენდერსი
ედმონტონი-ფლორიდა
ფინიქსი-მინესოტა
ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი
სან ხოსე-ანაჰაიმი

**12 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
ვაშინგტონი-ოტავა
ბაფალო-ტორონტო
ატლანტა-ბოსტონი
დალასი-დეტროიტი
კოლორადო-ჩიკაგო
კალგარი-ფლორიდა

**13 დეკემბერი**
ფილადელფია-პიტსბურგი
ლოს ანჯელესი-მინესოტა
ბოსტონი-ატლანტა
მონრეალი-ვაშინგტონი
ოტავა-ტამპა ბეი
ნიუ ჯერსი-ბაფალო
რეინჯერსი-კაროლინა
კოლამბუსი-აილენდერსი
ნეშვილი-დალასი
ფინიქსი-დეტროიტი
ედმონტონი-ვანკუვერი
სან ხოსე-სენტ ლუისი

**14 დეკემბერი**
ჩიკაგო-კოლამბუსი
ანაჰაიმი-მინესოტა
ვანკუვერი-ფლორიდა

**15 დეკემბერი**
დეტროიტი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**16 დეკემბერი**
აილენდერსი-ვაშინგტონი
ფილადელფია-კოლორადო
კაროლინა-მონრეალი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
ოტავა-ატლანტა
სენტ ლუისი-კალგარი
დალასი-ფინიქსი
ედმონტონი-ჩიკაგო
ანაჰაიმი-რეინჯერსი

**17 დეკემბერი**
ბაფალო-ნიუ ჯერსი
კოლამბუსი-სან ხოსე
მინესოტა-კალგარი
ვანკუვერი-ედმონტონი
ლოს ანჯელესი-რეინჯერსი

**18 დეკემბერი**
ბოსტონი-ტორონტო
ვაშინგტონი-სენტ ლუისი
კაროლინა-ფლორიდა
ატლანტა-პიტსბურგი
მონრეალი-ფილადელფია
ტამპა ბეი-კოლორადო
დეტროიტი-სან ხოსე
დალასი-კოლამბუსი
ფინიქსი-ნეშვილი

**19 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-ოტავა
ბაფალო-ლოს ანჯელესი
მინესოტა-აილენდერსი
კალგარი-ჩიკაგო
ედმონტონი-ანაჰაიმი

**20 დეკემბერი**
ბოსტონი-კაროლინა
ფილადელფია-ვაშინგტონი
მონრეალი-ბაფალო
ოტავა-დალასი
პიტსბურგი-ტორონტო
ატლანტა-ტამპა ბეი
დეტროიტი-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-აილენდერსი
სენტ ლუისი-მინესოტა
ფინიქსი-კოლამბუსი
ვანკუვერი-ჩიკაგო
სან ხოსე-რეინჯერსი

**21 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
ფლორიდა-კოლორადო
სენტ ლუისი-ბოსტონი
მონრეალი-კაროლინა

**22 დეკემბერი**
ბაფალო-პიტსბურგი
ატლანტა-ტორონტო
ედმონტონი-ფინიქსი
ვანკუვერი-ანაჰაიმი

**23 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
აილენდერსი-ატლანტა
რეინჯერსი-ვაშინგტონი
ფილადელფია-ოტავა
კოლამბუსი-ლოს ანჯელესი
ტორონტო-დალასი
პიტსბურგი-ტამპა ბეი
ფლორიდა-ნეშვილი
დეტროიტი-სენტ ლუისი
მინესოტა-კაროლინა
კოლორადო-ფინიქსი
კალგარი-ანაჰაიმი
სან ხოსე-ვანკუვერი

**26 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
აილენდერსი-ტორონტო
ვაშინგტონი-ბაფალო
ატლანტა-კაროლინა
ფლორიდა-ტამპა ბეი
ნეშვილი-დეტროიტი
ჩიკაგო-ფილადელფია
ვანკუვერი-ედმონტონი
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**27 დეკემბერი**
ბაფალო-აილენდერსი
პიტსბურგი-მონრეალი
კაროლინა-ბოსტონი
კოლამბუსი-ფილადელფია
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
ტამპა ბეი-ფლორიდა
დალასი-ანაჰაიმი
სენტ ლუისი-სან ხოსე
კოლორადო-დეტროიტი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი
კალგარი-ოტავა

**28 დეკემბერი**
ატლანტა-ბოსტონი
სენტ ლუისი-ანაჰაიმი
მინესოტა-ჩიკაგო
ვაშინგტონი-ტორონტო
ედმონტონი-ნეშვილი
ვანკუვერი-ოტავა

**29 დეკემბერი**
რეინჯერსი-აილენდერსი
ფლორიდა-მონრეალი
დალასი-სან ხოსე
კოლორადო-ნეშვილი
კალგარი-მინესოტა
ლოს ანჯელესი-კოლამბუსი

**30 დეკემბერი**
ბაფალო-ვაშინგტონი
ტორონტო-ატლანტა
პიტსბურგი-ბოსტონი
ტამპა ბეი-მონრეალი
დეტროიტი-ჩიკაგო
სენტ ლუისი-ნიუ ჯერსი
ედმონტონი-ოტავა
ვანკუვერი-ფილადელფია

**31 დეკემბერი**
აილენდერსი-ფლორიდა
მინესოტა-სან ხოსე
კაროლინა-ატლანტა
ფინიქსი-კოლორადო
დალასი-ნიუ ჯერსი
ანაჰაიმი-კოლამბუსი
კალგარი-ედმონტონი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ვესტ ჰემი | 0:0 |

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| რედინგი-ქოვენთრი | 3:1 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ტრიესტინა-ტრევიზო | 0:0 |

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| რავენა-პროპატრია | 1:0 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფრანქფურტი-მაინცი | 1:4 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანსი-სედანი | 1:3 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| პორტუ-აკადემიკა | 2:1 |
| ბენფიკა-სეტუბალი | 2:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ორჰუსი-ოდენსე | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აუსტრია (კ)-შტურმი | გადაიდო |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| სტ. გალენი-ლუგანო | 2:1 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პიერიკოსი-ეთნიკოსი | 2:1 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მანისა-კარსიაქა | 2:2 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აპეპ-აპოლონი | 1:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ბანიკი-იაბლონეცი | 3:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| გლორია (ბის)-გლორია (ბუზ) | 2:0 |
| კლუჟი-გაზ მეთანი | 2:1 |
| სტიაუა-უნირეა | 1:0 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (ს)-სლავია | 0:1 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ბეითარი-ბნეი საჰნინი | 0:0 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავანგარდი-ბარისი | 2:5 |
| ტორპედო-აკ ბარსი | 3:4 |
| დინამო (მ)-მეტალურგი (მ) | 5:6 |
| სპარტაკი-ს. იულიაევი | 1:5 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კიეკო-ტპს | 6:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ბრიუნესი | 2:2 |
| სიოდერტალე-ფერიესტადი | 3:1 |
| ჰვ71-როგლე | 3:2 |

## TV სპორტი

**2 დეკემბერი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-პსჟ.
09:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:15 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
15:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-იუვენტუსი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:25 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
01:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
05:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-იუვენტუსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
12:50 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
14:35 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. მალაიზია.
17:10 სპორტის სამყარო.
17:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-შალკე.
19:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
21:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-რეჯინა.
01:10 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
01:40 სპორტული პროგრამა.
02:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:05 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. მალაიზია.
04:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ვესტ ჰემი.
06:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-დალასი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ჩილე.
16:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
17:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ჩილე.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ფიგურული სრიალი. ტურინი. იტალია.
00:00 პროფესიული კრივი. იტალია (LIVE).
02:00 მოტორბოლა. გასული სეზონის მიმოხილვა.
03:00 კატერები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესპანეთი.
03:30 კატერები. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
04:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. I ტური. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ვილერბანი (საფრანგეთი).
14:00 ახალი ამბები.
14:30 მოტოფრისტაილი. პრაღა. ჩეხეთი.
15:30 ახალი ამბები.
16:15 სერფინგი. აშშ.
16:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. I ტური. რიგა (ლატვია)-დინამო (რუსეთი).
18:00 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. I ტური. ხიმკი (რუსეთი)-ჰავრი (საფრანგეთი).
19:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. II ტური. ტუროვი (პოლონეთი)-შარლერუა (ბელგია) (LIVE).
23:15 სერფინგი. აშშ.
23:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
00:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
00:30 კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ტურნირი. II ტური. გრან კანარია (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
02:45 სერფინგი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

სამთო-სათხილამურო სპორტი

*მსოფლიოს თასი*

# ლეგენდარული ჰერმინატორის დაბრუნება

## რისკის გარეშე გამარჯვება არ მოდის


ჰერმან მაიერი

ლეგენდარულ ავსტრიელს **ჰერმან მაიერს** 2006 წლის იანვრის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული მსოფლიოს თასის ეტაპი. ბოლო ორი წარუმატებელი სეზონის გამო ბევრმა ხაზი გადაუსვა ვეტერანს, რომელსაც ამ კვირას 36 წელს შეუსრულდება. მაგრამ "ჰერმინატორმა" ლეიკ ლუისში დაამტკიცა, რომ ჯერაც შეუძლია ახალგაზრდა კოლეგებისთვის კონკურენციის გაწევა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ავსტრიელმა მსოფლიოს თასზე თავის 54-ე გამარჯვებას დიდი უპირატესობით მიაღწია - მან უახლოეს მდევარს 59 მეასედი წამი მოუგო. გარდა ამისა, ჰერმანი ერთადერთი იყო სუპერგიგანტის 69 მონაწილეს შორის, ვინც დისტანცია წუთსა და 30 წამზე ნაკლებ დროში დაფარა.

*"ამ გამარჯვებას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მის მისაღწევად რისკზე წასვლაც კი დამჭირდა. რისკის გარეშე გამარჯვება არ მოდის"*, - განაცხადა ფინიშის შემდეგ მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელმა.

კანადური პუბლიკის კუმირის **ჯონ კუჩერას** მიერ ნაჩვენები დრო, კარგა ხანი რჩებოდა ორიენტირად ეტაპის დანარჩენი მონაწილეებისთვის. კანადელ მოთხილამურეს მეათე სასტარტო ნომერი ჰქონდა და საბოლოოდ, მისი შედეგის გაუმჯობესება მხოლოდ ჰერმინატორმა შეძლო. სხვათა შორის, კუჩერას ორი წლის წინ ამავე ტრასაზე მოგებული აქვს სუპერგიგანტის ეტაპი.

ამჯერადაც არ გაუმართლა მსოფლიოს თასის მოქმედ მფლობელს **ბოდე მილერს**. ამერიკელმა დისტანციის შუაში თხილამური დაკარგა და ეტაპს გამოეთიშა.

მერვე ადგილზე გავიდა შვეიცარიელი **დანიელ ალბრეხტი**, რის წყალობითაც მან შეინარჩუნა საერთო ჩათვლაში ლიდერობა, თუმცა მას მხოლოდ 16 ქულით ჩამორჩება **დიდიე კუში**.

■ ■ ■

ამერიკის კურორტ ასპენში ქალთა ზედიზედ მეორე ეტაპიც მოულოდნელი შედეგით დასრულდა. შაბათის გმირის, ფრანგი **ტესა ვორლის** მსგავსად, კარიერაში პირველი ეტაპი მოიგო ჩეხმა **სარკა ზაჰრობსკამ**.

ეს მოთხილამურე უკვე მეშვიდე წელია მსოფლიოს თასის ეტაპებზე ასპარეზობს, ჯამში 114-ჯერ გასულა სტარტზე, მაგრამ აქამდე მხოლოდ სამი მეორე და ორი მესამე ადგილით იწონებდა თავს, ამიტომაც ასპენში მოპოვებული გამარჯვებით ზაჰრობსკამ უზომოდ გაიხარა.

ჩეხმა საერთო ჩათვლაში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერი კი კვლავინდებურად ფინელი **ტანია პოუტიაინენი** გახლავთ, რომელიც რეგულარულად ხვდება საპრიზო სამეულში და ამ სტაბილურობის ხარჯზე უსწრებს კონკურენტებს.

გია **თვალაბეიშვილი**

### კაცები. სუპერგიგანტი

#### ლეიკ ლუისი (კანადა)

1. **ჰერმან მაიერი** (ავსტრია) - 1:29.84; 2. **ჯონ კუჩერა** (კან) - 1:30.43; 3. **დიდიე კუში** (შვეიც) - 1:30.52; 4. **მიხაელ ვალხოფერი** (ავსტრია) - 1:30.63; 5. **მარკო სალივანი** (აშშ) - 1:30.71; 5. **დიდიე დეფაგო** (შვეიც) - 1:30.71.

**საერთო ჩათვლა:** 1. **დანიელ ალბრეხტი** (შვეიც) - 156; 2. **დიდიე კუში** (შვეიც) - 140; 3. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - 122; 4. **ბოდე მილერი** (აშშ) - 121; 5. **კარლო იანკა** (შვეიც) - 119; 6. **ჰერმან მაიერი** (ავსტრია) – 114.

### ქალები. სლალომი

#### ასპენი (აშშ)

1. **სარკა ზაჰრობსკა** (ჩეხ) - 1:39.32 (48.92+50.40); 2. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 1:39.55 (49.52+50.03); 3. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 1:40.29 (49.64+50.65); 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:40.73 (49.87+50.86); 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:40.75 (49.02+51.73); 6. **მარია რიში** (გერ) - 1:41.04 (49.36+51.68).

**საერთო ჩათვლა:** 1. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 260; 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 229; 3. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 196; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 190; 5. **სარკა ზაჰრობსკა** (ჩეხ) – 143; 6. **მარია რიში** (გერ) - 95.

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!
„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის" ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი"
„დიდი საოჯახო ენციკლოპედია"
„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"



მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის განმავლობაში | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com
მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში. წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს ხაბითუმთ გაქრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი
თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!